პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. ალი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის ლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღ. 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 1-76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 1-80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- საარის ოლქის არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს.
- ამერიკა გერმანიისაგან მოითხოვს ომის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.
- ლიტვა-გერმანიის დამოკიდებულების გამწვავება მემელის საკითხის გამო.
- შეტაკება ფაშისტებსა და წითელფრონტელებს შორის გერმანიაში.
- ევროპის ეროვნულ უმცირესობათა ყრილობის მოწვევა.
- ფეიქართა გაფიცვა ტოკიოში.

პარასკევი, 24 ივნისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 142 (1887)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ხელისუფლების სათანადო ორგანოები უკვე კარგა ხანია შეუდგენ 1927—28 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის გატარებას. ამჟამად მიმდინარეობს საგადასახადო ობიექტების აღრიცხვა,—რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ კამპანიისათვის.

წარსულ წლების გამოცდილებით და მიმდინარე საგადასახადო კამპანიის დაკვირვებიდან ვიცით, რომ ობიექტების სწორად აღრიცხვის საქმეში, ჩვენს აპარატს მრავალი დაბრკოლებები ელობება წინ. თავისთავად ცხადია, რომ დასაბეგრ ობიექტების შემცირებასა და გადამალვაში ყველაზე მეტად დაინტერესებულია სოფლის შეძლებული მოსახლეობა. აქედან აშკარაა, რომ აღმრიცხველი აპარატი თავის მუშაობაში უნდა ეყრდნობოდეს ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის დახმარებაზე. ამისათვის საჭიროა, რომ პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა მიიღონ ყოველივე ზომები სას.-სამ. გადასახადის კანონის პოპულიარიზაციისათვის.

როგორც ვიცით, წელს საგადასახადო კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი, რომელიც ამარტივებს და მეტ გეგმაშეზომილობის ხასიათს აძლევს მას. შემოღებულია ღარიბი გლეხკაცობის გადასახადისაგან განთავისუფლების ახალი წესი, დაწესებულია ბეგარა იმ შემოსავალზედაც, რომელსაც გადამხდელი ღებულობს სასოფლო მეურნეობის გარეშე წყაროებიდან, შემცირებულია გადასახადი მცირერიცხოვან ოჯახებისათვის, დაწესებულია შეღავათი ტექნიკურ კულტურაზე და მესაქონლეობაზე, მომატებულია შეკრებილ გადასახადისაგან ადგილობრივ საჭიროებისათვის გადასარიცხს თანხის ნორმა და სხვა.

საჭიროა ამ ცვლილებათა დეტალები საკმაოთ, მკაფიოთ განემარტოს გადამხდელ მოსახლეობას. ამისათვის პირველყოვლისა თვით ადგილობრივი პარტორგანოები უნდა გაერკვენ ამ საკითხებში. მათ თავიანთ დღის წესრიგში უნდა დასვან საკითხი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, უნდა დაამუშაონ ის და ამის შემდეგ გადაიტანონ უპარტიო გლეხთა კრებებზე.

წარსული საგადასახადო კამპანიის მნიშვნელოვან ნაკლს სხვათა შორის ისიც შეადგენდა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები: პარტია, კომკავშირი, კოოპერაცია, გლეხკომები და სხვა არ ღებულობდენ მხურვალე მონაწილეობას გადასახადის ჩატარებაში. ეს საქმე უმთავრესად მიტოვებული იყო სათანადო გადასახადის შემკრებ ორგანოების ხელში, რომელნიც, გარდა იმისა, რომ მოკლებულნი იყვნენ მასის აქტიურ დახმარებას, მოიკოჭლებდენ ტექნიკურ პერსონალის კვალიფიკაციის მხრივაც. ამის გამო იყო შემთხვევები, როცა დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა ხელახლა უხდებოდა საგადასახადო ორგანოებს, რაც იწვევდა ზედმეტ ხარჯებს, აბანდებდა მუშა-ძალებს და მატერიალურადაც აზარალებდა სახელმწიფოს.

წელს ასეთი შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს, რადგან ადგილობრივი ორგანიზაციები უშუალოთ დაინტერესებულნი არიან საგადასახადო კამპანიის წარმატებით ჩატარებაში. შემოსულ თანხის საგრძნობი ნაწილი ადგილობრივ სალაროშივე რჩება. იმ საერთო ფინანსიური ხელმოკლეობის პირობებში, რომელშიაც უხდებათ სამეურნეო და კულტურული მუშაობის წარმოება ადგილობრივ საბჭოებს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან შემოსულ წვლილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათთვის.

გარდა ამისა გადასახადის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია შვებულებაში და საზაფხულო არდადეგებზე მიმავალ მუშა-მოსამსახურეებს და მოწაფე ახალგაზრდობას. ამ მიზნით ქალაქის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უნდა გადასდგან შესაფერი ნაბიჯები. გამოცდილებით ვიცით, რომ შვებულებაში მიმავალთა შორის ბევრია ისეთები, რომელნიც საკმაოთ კარგათ ერკვევიან „მაღალი პოლიტიკის" საკითხებში, მაგრამ ამავე დროს მათ წარმოდგენაც არა აქვთ სოფლის საჭირბოროტო პრაქტიკულ საკითხებზე. ასეთი ამხანაგები ადვილათ შეითვისებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს, თუ ამაზე იზრუნებენ ქალაქების პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

ამასთან ერთად საჭიროა აქედანვე იქნას გადადგმული სათანადო ნაბიჯები, რათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი თავის დროზე და უკლებლივ იქნას აკრეფილი. წინა წლებში ეს საკითხი მუდამ იდგა საგადასახადო ორგანოების წინაშე, როგორც კამპანიის ერთ ერთი შემაფერხებელი გარემოება. რომ ამ დაბრკოლებას თავი დავაღწიოთ, ამისთვის საჭიროა დროზე იქნას დასრულებული დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა: უნდა დაუგვიანებლივ შეუდგეთ თვით გადასახადის შეგროვებას და, რაც უმთავრესია, ვეცადოთ, რათა დასაბეგრი ობიექტები სწორათ იყვეს აღრიცხული, რომ ამის გარშემო არ წარმოიშვას გაუგებრობანი და ამან არ შეაფერხოს გადასახადის აკრეფის ნორმალური მსვლელობა.

1927—28 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი თავისი მოქნილობით და კლასიური პრინციპის დაცვით, გაცილებით უფრო გარკვეულია, ვიდრე წინა წლების ასეთივე კანონები. ეს იმის ზედმეტ გარანტიას წარმოადგენს, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი წელს უფრო წარმატებით ჩატარდება, ვიდრე წინათ. ამას ხელს უწყობს აგრეთვე მშრომელი მასის პოლიტიკურ თვითშეგნების საერთო ზრდა. საგადასახადო აპარატის და საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანოების უნარზეა დამოკიდებული ამ ხელსაყრელ პირობის სათანადო მოხერხებით გამოყენება და ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ამოცანის ღირსეულათ გადაწყვეტა.

რევოლიუციონური პროცესი და „მერყეობის ძალა"

იმ ტემპის სისწრაფეში, რომლითაც ვითარდებიან ამბები ჩინეთში; ყველაზე უფრო ნათლად სჩანს რევოლიუციის სიღრმე და გაქანება. წელიწადნახევარზე მეტი არ არის მას შემდეგ, რაც დაიწყო ჩრდილოეთის ლაშქრობა, რომელმაც ნაციონალური არმია გუანდუნის განაპირა მხარიდან გამოიყვანა იან-ცზის ნაპირით სრულიად ჩინეთის ფართო ასპარეზზე. რამდენი ამბავი მოხდა ამ ცოტა ხნის განმავლობაში, რა დიდი გადაჯგუფება მოხდა კლასიურ ძალთა განწყობილებაში, როგორ გაიზარდენ და შეიცვალენ მასშტაბები, რომლითაც ჩვენ ეხლა ვუდგებით მდგომარეობის შეფასებას. ამ ხნის განმავლობაში ზედი-ზედ განადგურებულ იქნენ უ-პეი-ფუ, სუნ-ჩუან-ფანი და ჩჟან-ცზუნ-ჩანი. მუშების და გლეხების ახალი მრავალმილიონიანი მასები ჩაებენ რევოლიუციაში. ერთის მხრივ, მუშათა კლასის და გლეხობის მოძრაობის შეუჩერებელმა ზრდამ და, მეორეს მხრივ, იმპერიალისტების აშკარა და ძლიერმა ზეგავლენამ დააჩქარეს დიფერენციაცია ნაციონალურ-რევოლიუციონურ ბანაკში. ჩან-კაი-შიმ ჩაიდინა ღალატი და მასთან ერთად კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადავიდა ბურჟუაზია, რომელიც მანამდე ხელმძღვანელ როლს თამაშობდა. ჰეგემონია სულ უფრო მეტად და თვალსაჩინოდ გადადის მუშათა კლასის ხელში, მაგრამ ამასთან ერთად საგრძნობლად რთულდება მისი ბრძოლის მეთოდები. უხანის მთავრობა და გომინდანი ეხლა იძულებული არიან იბრძოლონ არა ერთ, არამედ ორ ფრონტზე: ერთ და იმავე დროს იერიშები უნდა მიიტანონ პეკინზედაც და ნანკინზედაც. ამავე დროს აგრარულ საკითხის რევოლიუციონურად გადაჭრას, რასაც გლეხთა კავშირები სჩადიან ქვევიდან, შედეგად მოჰყვება შემდგომი ფენებად დაყოფა უხანის რიგებში. მოხდა ოფიცრების კონტრ-რევოლიუციონური აჯანყება ჩანშაში.

ეს ამბების და მდგომარეობის სწრაფი ცვლა ხდება უაღრესად ჭრელ ფონზე იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალისტური ექსპლოატაციის უახლეს და თანამედროვე მეთოდებთან ერთად კიდევ არსებობენ ფეოდალიზმის ველური ნაშთები, სადაც მეტად რთულ სისტემაში თავსდებიან სულ სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო ურთიერთობანი. შანხაისა და რომელიმე სიჩუანს ერთმანეთს აშორებს არა მარტო რამდენიმე ათასი კილომეტრი მანძილი, არამედ აგრეთვე ეკონომიური განვითარების საუკუნეები. ეს არსებულ საზოგადოებრივი ფორმების უაღრესი სიჭრელე, ცალკე პროვინციების და ცალკე ოლქების განვითარების სხვადასხვაობა, უდიდესი განსხვავება იმპერიალისტებისაგან, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ბაზრისაგან დამოკიდებულებაში, საერთოდ სოციალურ ნაშთების ძალისა და მნიშვნელობის სხვადასხვაობა,— ყოველივე ეს იწვევს ინტერესთა დიდ სიჭრელეს და სულ სხვადასხვა. საშუალო ჯგუფებსა და ფენების სიმრავლეს. ეს არის ისეთი მომენტი, რომელიც განსაკუთრებით გათვალისწინებული უნდა იქნეს განვითარების ეხლანდელ ხანაში, როცა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა კლასიურ ძალთა გადაჯგუფება.

წვრილი ბურჟუაზიის ძალა ეს არის „მერყეობის ძალა". ლენინის ამ დებულების შეფარდება თანამედროვე ჩინეთისადმი ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩან-კაი-შის ჩამოშორება არის უკანასკნელი და რომ მისი კონტრ-რევოლიუციის მხარეზე გადასვლით საბოლოოდ გაიმიჯნენ ერთმანეთისაგან ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის მომხრეები და მოწინააღმდეგენი. პირიქით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციის შინაარსი ღრმავდება და ყალიბდება დღითი-დღე. ეს სავსებით აუცილებელს ხდის შემდგომ დიფერენციაციას უხანის ბანაკში. გომინდანის ინტელიგენტურ და რადიკალურ ბურჟუაზიულ ელემენტებს თავისი კლასიური ბუნებით არ შეუძლიათ არ გამოიჩინონ მერყეობა, არ შეუძლიათ ქონდეთ და გაატარონ გადამჭრელი და მტკიცე ხაზი. ამიტომ მზად უნდა ვიყვეთ ახალ ღალატისა და ახალი განდგომის შემთხვევებისათვის. ამ პერსპექტივაზე თვალის დახუჭვა ისეთივე „მანილოვშჩინა" იქნებოდა, როგორც ამის გამო პანიკაში ჩავარდნა.

ჩან-კაი-შიმ აშკარად ღალატი ჩაიდინა, მაგრამ მასთან ახლო მდგომი ფენები ჯერ კიდევ მოიპოვებიან გომინდანის რიგებში. მუშათა და გლეხთა მოძრაობის შემდგომმა გაღრმავებამ და ქვევიდან აგრარული რევოლიუციის ფართოდ განვითარებამ უნდა გამოიწვიოს იმ ჯგუფების ჩამოცილებაც, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან ბურჟუაზიასთან. ოფიცრების აჯანყება ჩანშაში ამ მხრივ უაღრესად სიმპტომატიურია. უხანის არმიის ოფიცრები გამოვიდენ რევოლიუციონური გლეხების წინააღმდეგ, რომლებმაც გადასწყვიტეს მიწების და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ამ გამოსვლის სოციალური და პოლიტიკური აზრი უმთავრესად იგივე იყო, რაც ჩან-კაი-შის გადატრიალების აზრი.

წვრილი ბურჟუაზიული მერყეობისა, გაუბედაობისა და უნებისყოფობისათვის მეტად დამახასიათებელია ის, რომ გომინდანმა და უხანის მთავრობამ ვერ შესძლეს ერთბაშად ძირშივე აღმოეფხვრათ კონტრ-რევოლიუცია შანხაიში, როცა საჭირო გახდა არა სიტყვით, არამედ საქმით აგრარული რევოლიუციის დასაცავად გამოსვლა,— წვრილ ბურჟუაზიულმა ბელადებმა თვალსაჩინოდ ცხადჰყვეს, რომ მათი ძალა მერყეობის ძალაა. და ამაში მდგომარეობს ყველაზე სერიოზული საფრთხე ჩინეთის რევოლიუციისათვის.

უხანის პოლიტიკურ და განსაკუთრებით სამხედრო მოღვაწეების დიდი ნაწილის „მერყეობის ძალა" ღრმავდება კიდევ შემდეგი გარემოებით. ჩრდილოეთის ლაშქრობა დაიწყო ბურჟუაზიასთან კავშირის დაჭერით, უკანასკნელის ხელმძღვანელობით. მისი მიზანი იყო ბრძოლა იმპერიალიზმისა და ჩრდილოელ მილიტარისტების წინააღმდეგ. ხოლო დიფერენციაცია ნაციონალურ ბანაკში და ბურჟუაზიის ღალატი მოხდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ეს საერთო ამოცანა გადაიჭრებოდა. უხანი ებრძვის ნანკინსაც და პეკინსაც, მაგრამ ამავე დროს უხანი და ნანკინი ებრძვიან პეკინს. მიზნების ფორმალური განუყოფლობა, რაც გათიშვის შემდეგ დარჩა, ჩამოსწოლია გომინდანის ზოგიერთ გენერლის გონებას და შესაფერ მომენტში ეს შესაძლოა მათ გამოადგეთ ხელსაყრელ საბაბათ და შირმათ ჩან-კაი-შისთან ბლოკისა და რევოლიუციის ახალი ღალატისათვის.

ახალი ღალატის და მისი საფრთხის შესაძლებლობას აღრმავებს ის სპეციფიური ფორმები, რომლებშიაც ვითარდება ბრძოლა ჩინეთში. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და დაგვიწერია, რომ ჩინეთის რევოლიუციის თავისებურობა მდგომარეობს იმაში, რომ თვითეულ მომქმედ ჯგუფს ყავს თავისი მთავრობა და თავისი არმია. ეს თავისებურობა ისტორიული პირობაა. მას რასაკვირველია, აქვს დიდი პლიუსები, მაგრამ აქვს აგრეთვე მინუსებიც. მთავარი მინუსი მდგომარეობს იმაში, რომ მართვა-გამგეობის ძველი აპარატი და აგრეთვე სამხედრო აპარატი პირველადვე არ [illegible] მსხვრევია რევოლიუციას და არ [illegible] მნია სამაგიეროდ რევოლიუციონური აპარატები. ძველი მოხელეები და [illegible] ლი ოფიცრები ჯერ კიდევ მაგრად [illegible] დან თავთავიანთ ადგილებზე. ისინი[illegible] თუოდ ძალას წარმოადგენენ თვით[illegible] ნის ჯარების და უხანის ტერიტორ[illegible]; მათ ყოველთვის შეუძლიათ გამოვიდნენ, როგორც კონტრ-რევოლიუციონ[illegible] ძალა. ჩანშაში მომხდარი აჯანყება ყველაზე უფრო ნათლად მოწმობს ამ[illegible].

ჩან-კაი-შის აშკარა და სავსებით ჩამოყალიბებულ კონტრ-რევოლ[illegible] უნდა დაუპირისპირდეს არა მე[illegible] მტკიცე და თანამიმდევარი რევოლიუციონური პოლიტიკა გომინდანის[illegible]: ან აგრარული რევოლიუციის მხ[illegible] ან მის წინააღმდეგ! ან გლეხთა მოძრაობის მხარეზე ან მის წინააღმდეგ! მუშათა ორგანიზაციების მხარეზე ან მის წინააღმდეგ!

ყველა ეს საკითხები ეხლანდელ განვითარების ხანაში არ ითმენენ არავითარ მერყეობას, არავითარ ორჭოფობას, მათ პასუხი უნდა გაეცეს არა სიტყვით, არამედ საქმით.

აგრარული რევოლიუციის გაფართოება, მუშებისა და გლეხების მასის მოძრაობის განვითარება და დარა[illegible] ერთად-ერთი გზაა გამარჯვებისაკენ. აგრარული საკითხის პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობის ხაზგასმით აღიარ[illegible] რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმ სამხედრო ამოცანების [illegible] ნას, რომელიც უხანის წინაშე [illegible]. მაგრამ გომინდანის სამხედრო და პოლიტიკურ ამოცანების ერთმანეთისადმი დაპირისპირება არა თუ თავიდან [illegible] შემცდარია, არამედ ობიექტურად წყალს უშვებს კონტრ-რევოლიუციის წისქვილზე. როცა ლაპარაკობენ „ჯერ რევოლიუციის გაფართოება, შემდეგ მისი გაღრმავება", ეს ობიექტურად იწვევს არა მარტო გომინდანის მოცილებას მუშურ-გლეხურ მასებისაგან, არამედ საბოლოო ანგარიშით [illegible] ებს იმ იდეოლოგიურად მერყევ ელემენტებს, რომელთაც ჯერ კიდევ [illegible] ჩან-კაი-შის სახით ხედავდენ მოკავშირეს ჩან-ძო-ლინთან ბრძოლაში. მაგრამ [illegible], როცა ჩვენს ოპოზიციონერებს გომინდანის პოლიტიკურ ამოცანებს [illegible] ვენ სამხედრო ამოცანები, ამით არა თუ სახავენ [illegible] ხაზს, არამედ [illegible] ჩან-კაი-შის, [illegible] უწყო- [illegible] თავი ჩრდილოეთ მილიტარისტებთან ბრძოლის ერთად-ერთ ცენტრად.

ჩინეთის რევოლიუციის პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები არ შეიძლება განხილულ იქნეს ერთმანეთისაგან გამოყოფილად. თუ არ დაეყრდნო მასებს, თუ არ დარაზმა და არ შეიარაღა ისინი. გომინდანი ვერ გამოვა გამარჯვებული იმპერიალიზმთან, ჩრდილოელ მილიტარისტებთან და ჩან-კაი-შისთან ბრძოლაში. გომინდანის ხელმძღვანელთა ზოგიერთ წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების მიერ ამის შეუგნებლობა, წვრილ ბურჟუაზიულ ბელადებისათვის დამახასიათებელი შიში მასებისადმი, დაძლეული უნდა იქნეს.

ჩინეთის პროლეტარიატის და მისი კომუნისტური პარტიის ისტორიული დანიშნულება ამჟამად უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ მან გამოიყენოს ქვევიდან მასების ამოძრავება, მან უნდა დარაზმოს ეს მასები, უნდა გამოასწოროს გომინდანის ხვეულები სწორ რევოლიუციონურ ხაზათ.

რადიკალურ-ბურჟუაზიულ ზედაფენების მერყეობაში გომინდანთან კავშირის გაწყვეტისა და მისგან გამიჯვნის საბაბის დანახვა, როგორც ამას ჩადის ოპოზიცია, განვითარების ეხლანდელ ხანაში იქნებოდა ლიკვიდატორობა და ფაქტიურად უარის თქმა ფართო მასიურ რევოლიუციონურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობაზე. პროლეტარულ რევოლიუციონერების ამოცანა ჩინეთში მდგომარეობს მემარჯვენე მიმდინარეობის დაძლევაში იმაში, რომ საქმით განახორციელონ გლეხობისადმი რევოლიუციონური ხელმძღვანელობა და, რასაკვირველია, არა იმაში, რომ მოსწყდენ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას.

აგრარულ რევოლიუციის განვითარებამ შექმნა ისეთი მდგომარეობა, როცა მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია გამოვიდეს ნაციონალურ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლიუციის ჰეგემონად. თავის ჰეგემონიას პროლეტარიატი და მისი პარტია დაიპყრობენ პირველ ყოვლისა მასებზე დამყარებით, მათი ბრძოლისათვის დარაზმვით; პროლეტარიატი უნდა გამოვიდეს როგორც ერთათ ერთი და ბოლომდე ამ მასების ინტერესების მტკიცედ დამცველი.

წინ გვიდგას კიდევ ბევრი ღალატი, ბევრი დამარცხება, რევოლიუციონური ტალღის ხშირი აზვირთება და დაცხრომა, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს, უახლოესი ხვეულები, მუშათა კლასის, კომპარტიის ხელმძღვანელობით და მსოფლიო პროლეტარულ — რევოლიუციონურ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირით ჩინეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს.

„პრავდა"
მოსკოვი, 23 ივნისი.

რევოლიუციონური მოძრაობა საფრანგეთის ჯარში
კამპანია ლორდთა პალატის რეორგანიზაციის წინააღმდეგ
ცელენსი რუს მონარქისტების „მუშაობის" შესახებ ბალტიის ქვეყნებში
რუმინეთში გრძელდება მთავრობის კრიზისი—ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო ბრატიანუს

არეულობა საფრანგეთის ჯარში

პარიზი, 22 ივნისი. განმეორებით სწავლებაზე გამოწვეულმა სათადარიგო ჯარისკაცებმა ბელფორში და ბეზანსონში მოახდინეს დემონსტრაცია ინტერნაციონალის სიმღერით.

ვალდაგონში რეზერვის გუნდმა ნიშნად პროტესტისა მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ უარი განაცხადა წასულიყო სწავლებაზე; ყველა ჯარისკაცებმა თავი გამოაცხადეს ავადმყოფებად. ბუეში (?) წარსულ კვირას რეზერვის ჯარის კაცებმა მოახდინეს დემონსტრაცია იმის საპროტესტოთ, რომ ერთი ჯარის კაცი დასჯილ იქნა სალამის მიუცემლობისათვის. დემონსტრაციის მონაწილენი ყაზარმის ეზოში მღეროდენ ინტერნაციონალს. (ადს)

ლორდთა პალატის რეფორმა

მუშათა პარტიის პოზიცია

ლონდონი, 22 ივნისი. გენერალურ საბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც შესდგა თემთა პალატაში, მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ილაშქრებს მთავრობის წინადადების წინააღმდეგ ლორდთა პალატის რეფორმის შესახებ და უარყოფს ყოველგვარ კომპრომისებს ამ საკითხში. რეზოლიუცია საჭიროდ სთვლის ზედა პალატის მოსპობას. (ადს)

ლიბერალების დამოკიდებულება

ლონდონი, 22 ივნისი. როდესაც ლორდთა პალატაში ირჩეოდა მთავრობის წინადადებები პალატის რეფორმის შესახებ, ლიბერალების ლიდერმა ვოშასნმა განაცხადა, რომ ლიბერალები იძულებული არიან წავიდენ მთავრობის წინადადებათა წინააღმდეგ, რამდენადაც უკანასკნელნი ითვალისწინებენ მუდმივ კონსერვატიულ უმეტესობას. პალატა აგებული უნდა იყოს სახალხო წარმომადგენლობის საფუძველზე. ლიბერალები მხარს დაუჭერენ შესწორებას, რომელიც მოითხოვს საყოველთაო არჩევნების დანიშვნას მთავრობის წინადადების გა[illegible]ლად. (ადს)

ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება
რუს მონარქისტებთან ბრძოლის საჭიროების შესახებ

რეველი, 22 ივნისი. გაზეთი „რახვა სენა" აქვეყნებს საუბარს ესტონეთში მყოფ ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრ **ცელენსთან**.

შეკითხვაზე, იჩენენ თუ არა რუსი-მონარქისტები აქტივობას ლატვიაში, ცელენსმა განაცხადა: „რეაქციონური მონარქისტული წრეები დიდ აქტივობას იჩენენ არა მარტო ლატვიაში, არამედ ბალტიის სხვა სახელმწიფოებშიაც. როგორც სჩანს, **მათ მიიღეს დირექტივები იმ წრეებისაგან, რომლებიც დაახლოვებული არიან რუსეთის ტახტის პრეტენდენტებთან და აიძულებენ მათ უფრო ენერგიულად იმოქმედონ.**

ლატვიის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულია ზომები, რათა დიდი ყურადღებით იქნეს წარმოებული მეთვალყურეობა ამ ბნელი „მოღვაწეებზე" და აღკვეთილ იქნეს ყოველგვარი არასასურველი გამოსვლები.

ბალტიის ყველა სახელმწიფოებმა ერთგვარი ზომები უნდა მიიღონ რუს-მონარქისტების წინააღმდეგ, ვინაიდან ბალტიის სახელმწიფოების ინტერესს წარმოადგენს, რომ ამ ბნელმა ძალებმა ვერსად ვერ გამოიწვიონ არევ-დარევა და არ დაარღვიონ მშვიდობიანობა".

შეეხო რა ლატვია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას, ცელენსმა განაცხადა: „ამჟამად მთავრობის ფეხ-ქვეშ ნიადაგია განმტკიცდა, **რაც უეჭველად გამოწვეულია სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით. ამ ხელშეკრულების დადებას საზოგადოებრივი აზრი სთვლის მთავრობის მნიშვნელოვან დამსახურებად**, რითაც აიხსნება მთავრობის მომხრეთ რიცხვის ზრდა სეიმში". (ადს)

მთავრობის კრიზისი რუმინეთში
უშედეგოდ დამთავრებული მოლაპარაკება

ვენა, 22 ივნისი. რუმინეთში გრძელდება მთავრობის კრიზისი. მეფის სურვილის თანახმად მოხდა თათბირი ლიბერალების ლიდერ **ბრატიანუსა** და ეროვნულ-გლეხურ პარტიის ლიდერ **მანიუს** შორის. შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.

ეროვნულ-გლეხურმა პარტიამ წამოაყენა შემდეგი მოთხოვნილებები: კანონიერების აღდგენა, საარჩევნო კანონის შეცვლა, ლიბერალების ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა, კოალიციონური მთავრობის შედგენა თანაბარი უფლებებით და მომავალ არჩევნებზე დამოუკიდებელი სიებით გამოსვლა, მხოლოდ იმ გარანტიით, რომ მანდატები თანაბრად განაწილდ ორივე პარტიას შორის.

ამ მოთხოვნილებათა სამაგიეროდ ბრ ტიანუმ შესთავაზა მანიუს 4 პორტფელ მომავალ კაბინეტში და 100 მანდატი რლამენტში, მაგრამ დაჟინებით მოითხ ვა საერთო სიებით გამოსვლა.

კაბინეტის შედგენა მეფემ ბრატიან მიანდო, მაგრამ მოსთხოვა მას, რომ ცდევ შეეცადოს მანიუსთან შეთანხმე ამის გამო ბრატიანუ კიდევ განუმეორ ეროვნულ-გლეხურ პარტიას თავის წ დადებას, მაგრამ უკანასკნელი მტკი ადგია გადაწყვეტილებას—უარყოს ბერალების წინადადება. (ადს.

ბავშვებისაც ეშინიათ

ნ. საკლატვალას შეკითხვა

ლონდონი, 22 ივნისი. თემთა პალატაში კომუნისტმა საკლატვალამ შეიტანა კითხვა, თუ რა საბუთით იქნა უარყოფილი ხუთი ინგლისელი ბავშვის მშობლის შუამდგომლობა, რომ ბავშვებს მისცემოდა პასპორტები კონტინენტზე გასამგზავრებლად კაკილონის და გალახერ თანხლებით, მაშინ როდესაც ბოისკტების ჯგუფს ამასწინად მიეცა პასპორტები გერმანიაში გასამგზავრებლად.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლ[illegible]ონმა უპასუხა, რომ ბავშვების რუსეთ გამგზავრება ეწყობოდა კომუნისტ პროპაგანდის მიზნით, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

პრესის გამოძახილი

ლონდონი, 22 ივნისი. სალამოს პრესა სავალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს ცნობას ინგლისელ ბავშვების მოსკოვში გამგზავრების შესახებ. კონსერვატიული „[illegible] ნიუს" სწერს: „გარეშე საქმეთა სამინისტროში უკმაყოფილებაა, ვინაიდან მის მოხელეებს დავთარი აურია შინაგან საქმეთა სამინისტრომ. იმ შემთხვევაში, თუ შინაგან საქმეთა მინისტრს კანონის მიხედვით არა აქვს უფლება აკრძალოს ბავშვების გამგზავრება, მისი თხოვნა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადოს პასპორტების გაცემაზე — წარმოადგენს ფარსს. გარეშე საქმეთა სამინისტრო იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ინციდენტის გამო".

ბავშთა დელეგაციის მდივანი, მის ჰაერ პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებაში ბავშების საბჭოთა კავშირში გამგზავრების მიზნების შესახებ, სწერს: „ბავშთა დელეგაცია მოუწოდებს ინგლისელ მუშების შვილებს განაგრძონ ბრძოლა მთავრობის ანტისაბჭოთა კამპანიის და სამხედრო სამზადისის წინააღმდეგ, რათა წინააღუდგენ ომს, რომლის გამოწვევას სცდილობს მთავრობა". (ადს)

შეტაკება ფაშისტებსა და წითელფრონტელებს შორის

ბერლინი, 22 ივნისი. ვილჰელმსჰაფენში ნაციონალ-სოციალისტების [illegible] გამო მოხდა სერიოზული შეტაკება მათსა და წითელ ფრონტელთა კავშირის წევრებს შორის. 30-მდე ნაციონალ-სოციალისტი დილის 4 საათზე თავს დაესხა 17 კაცისაგან შემდგარ წითელფრონტელთა რაზმს. ფრონტელები მძიმედ [illegible]რენ და როდესაც ორმა პოლიციელმა სცადა ერთი მათგანის დაცვა, მათაც სცემეს. როცა ფრონტელებს მოუვიდათ ცოტაოდენი დახმარება, მოხდა სერიოზული შეტაკება, რომლის დროსაც ნაციონალ-სოციალისტებმა მიმართეს ჯოხებს, რეზინის მათრახებს და ცეცხლმსროლელ იარაღსაც კი. წითელი ფრონტელები, რომლებიც ბევრად უფრო ნაკლები იყვნენ რიცხვით ფაშისტებზე, მედგრად იცავდენ თავს. შეტაკება ფაშისტებსა და მუშებს შორის მოხდა აგრეთვე რანდოდორფში, ფრიდრიხსჰაფენში და რავენშტეინ-მიულში (ადს).

სამ სახელმწიფოს კონფერენცია

უთანხმოებამ იჩინა თავი

ბერლინი, 22 ივნისი. როგორც ჟენევიდან იუწყებიან, იაპონიის დელეგაციის მეთაურმა საზღვაო განიარაღების კონფერენციაზე განუცხადა ამერიკის დელეგაციას, რომ იაპონია თანახმაა წავიდეს დათმობაზე სხვა საკითხებში, მაგრამ არ შეუძლია დაეთანხმოს, რომ პროპორცია 5:5:3 გავრცელდეს სხვა კატეგორიის გემებზედაც, ვინემ ეს დაწესებულია ვაშინგტონის კონფერენციის მიერ. იაპონია იძულებულია შეათანხმოს თავისი ფლოტის მშენებლობა სპეციალურ საჭიროებებთან, რომელნიც გამომდინარეობენ იაპონიის მდგომარეობიდან (ადს).

იაპონიის პრესა

ტოკიო, 22 ივნისი. ყველა გაზეთები დიდი ყურადღებით ეკიდებიან სამთა კონფერენციას საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ.

გაზეთები ერთსულოვნად პროტესტს აცხადებენ ამერიკის წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს სამხედრო ფლოტის დამხმარე გემების მიმართ პროპორციის—5:5:3 გაწესებას

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 22 ივნისი. დუდვეილერის (საარის ოლქი) საოლქო საბჭოს არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ მიიღო .221 ხმა ნაცვლად წინა არჩევნებში მიღებულ 3.600-სა. საოლქო საბჭო იანვარში დათხოვილი იყო მთავრობის კომისიის მიერ კომუნისტური უმრავლესობის გამო.

ამ არჩევნებზე კომუნისტებმა 38 მანდატიდან მიიღეს 19; წინად ჰქონდათ 16. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 740 ხმა წინანდელ 1.137-ის ნაცვლად და მხოლოდ ორი მანდატი წინანდელ ხუთის სამაგიეროდ.

არჩევნებს წინ უძღოდა ყველა პარტიების გაცოფებული კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ. კომუნისტების მიერ მოწვეულ კრებებს პოლიცია კრძალავდა. (ადს)

ოსმალეთი „ბალკანეთის ლოკარნოს" წინააღმდეგ

ანგორა, 22 ივნისი. უკეთებს რა კომენტარიებს ჩემბერლენის განცხადებას, რომ აუცილებლად საჭიროა ოსმალეთის თანხმობა ბალკანეთის ლოკარნოში მონაწილეობაზე, „რეპიუბლიკ" აცხადებს: „ლოკარნოს მიზანი იყო დასავლეთის მთლიანი ფრონტის შექმნა აღმოსავლეთის წინააღმდეგ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ევროპისა — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ოსმალეთს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ბალკანეთის ლოკარნოში, რამდენად თვით იდეია ლოკარნოსი **აგრესიულია საბჭოთა რუსეთის მიმართ, რომელთანაც ოსმალეთს სურს მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება**". (ადს)

საბჭოთა პრესა
მუშათა საზოგადოებრივობის დასაცავად

მუშათა მასების საზოგადოებრივობის აქტივობა ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა. ეს, სხვათა შორის, პოულობს გამოხატულებას მოწინავე მუშების მიერ საფაბრიკო-საქარხნო ცხოვრებაში არსებულ ნაკლულევანებათა აღნიშვნაში, საქარხნო ადმინისტრაციის ამა თუ იმ უკანონო მოქმედების კრიტიკაში. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ადმინისტრაციის ცალკე წარმომადგენლები აღმაცერად უყურებენ ასეთ მუშებს და ცდილობენ მათ თავიდან მოშორებას.

გაზ. „ტრუდ" სწერს ამის გამო:

„თუ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა წყობილების ხასიათს და ჩვენ საქარხნო კონსტიტუციას, საზოგადოებრივად აქტიურ მუშების პირდაპირი და აშკარა დევნა სახიფათო საქმეა: შეიძლება მეტად დიდი უსიამოვნება შეხვდეთ სწორედ იმათ, ვინც დევნას აწარმოებს. ამიტომ უშუალო და ნიღაბ-აუფარებელ დევნის შემთხვევები ძალიან იშვიათია. სამაგიეროდ არც ისე იშვიათად ხდება, რომ ადმინისტრაციის მოქმედების ყველაზე უფრო მედგარ „კრიტიკოსებს" ისეთი მოხერხებით უსწორდებიან, რომ ძნელია რამეზე ხელის ჩავლება. დევნის არსენალი მეტად მდიდარია: დაწყებული უსაფუძვლო ჩხირკედელობიდან სამუშაოზე და გათავებული დათხოვნით „შტატების შემცირების გამო". და იშვიათი არ არის მოვლენა, რომ მას შემდეგ, რაც საწარმოო თათბირებზე და საერთო კრებებზე ესა თუ ის მუშა რამოდენიმეჯერ პირდაპირ და მოურიდებლად გამოვიდა ადმინისტრაციის ან მის ცალკე წარმომადგენლის წინააღმდეგ,— ამის შემდეგ ხვდება პირველ შემცირებაში. ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რომ ეს სისტემაა. მაგრამ ასეთ ფაქტებს ადგილი აქვთ. როგორც წესი, ამგვარ დევნას აწარმოებენ არა იმდენად წარმოების ხელმძღვანელები, რამდენად საქარხნო აპარატი თავის უფრო ბიუროკრატიულ წარმომადგენლების სახით.

თუნდაც იშვიათად ხდებოდეს ეს ფაქტები, ისინი სერიოზულ მუქარას ქმნიან მუშათა საზოგადოებრივობის ზრდისა და განვითარებისათვის წარმოებებში. თუ მუშების მოწინავე ელემენტებს არც ისე ეშინიათ დევნის, რადგან მათ იციან, რომ აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს გამოექომაგებიან და რომ ისინი შესძლებენ ყველა შემთხვევაში თავის დაცვას,— მუშების ნაკლებად შეგნებულ და ჩამორჩენილ ნაწილზე ადმინისტრაციის მოქმედების კრიტიკისათვის დევნის შემთხვევები მეტად დიდ გავლენას ახდენენ".

სათანადო ორგანოებმა, პირველ ყოვლისა პროფკავშირებმა გადაჭრილი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ აქტიურ მუშების დევნას. თავის თავად საზოგადოებრივი აქტივობა მუშას არავითარ პრივილეგიას არ უნდა აძლევდეს წარმოებაში, ან დათხოვნის დროს, მაგრამ ეს აქტივობა ყოველნაირად უნდა იქნას დაცული ბიუროკრატიული თავდასხმისაგან, ეს ერთი ძირითადი პირობათაგანია მუშათა მასების აქტივობის განსავითარებლად, რაც ასე აუცილებელია სოციალისტურ მშენებლობის წარმატებისათვის.

უკანასკნელი ცნობები

მიმართვა გომინდანის ცეკას

ლონდონი, 23 ივნისი. გომინდანის ხანკოუს ცეკას მიერ დიდი ბრიტანეთის მუშებისა და ინტელიგენციისადმი გაგზავნილ მიმართვის საპასუხოდ, ინგლისის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა მთელმა რიგმა, მეცნიერებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, გაგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ჩვენ გვინდა იცოდეთ თქვენ, რომ ინგლისში თქვენ თანაგრძობენ არა მარტო ორგანიზაციულად შეკავშირებული მუშები, არამედ ბევრი სხვა მამაკაცები და დედაკაცები; მათ ესმით თქვენი განთავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა, მოითხოვენ ჩინეთის სამართლიან მოთხოვნილებათა ცნობას და მოლაპარაკების გამართვას თანასწორუფლებიანობის ნიადაგზე, რათა დადებულ იქნას ახალი ხელშეკრულებები, რომლებიც თავისუფალი იქნებიან იმ ძალების მუქარისაგან, რომელთაც ამ ჟამად უკავიათ თქვენი ტერიტორია". ხელს აწერს 34 პირი, მათ შორის კუკი, ლენსბერი, მექსტონი, პერსელი, საკლატვალა, ჰერბერტ უელსი და სხვ. (ადს).

კაშენის დაპატიმრება?

პარიზი, 23 ივნისი სამინისტრო უარყოფს პრესის ცნობას, რომ ბარტუმ აცნობა პალატას სამინისტროს გადაწყვეტილება კაშენის დაპატიმრების შესახებ. პრესა ამტკიცებს, რომ სამინისტრომ დაამზადა პალატისათვის გადასაცემად წერილობითი განცხადება, რომელიც „იუმანიტე"-მ გადასწყვიტა გამოექვეყნებია მანამდე, სანამ მას ხელს მოაწერდენ. (ადს).

ურჩევენ გამგზავრებას

ლონდონი, 23 ივნისი. „დეილი ექსპრეს"-ის ცნობით, ლონდონში არკოსის საბჭოთა თანამშრომლები ინახულეს „ოხრანკის" აგენტებმა, რომლებმაც განუცხადეს მათ, რომ მთავრობის დადგენილებით ყველა საბჭოთა მოსამსახურეებმა უნდა დასტოვონ ინგლისი; აგენტებმა დაასახელეს ვადა, რომლის შემდეგ „ურჩევენ" თანამშრომლებს გამგზავრებას (ადს).

არციბაშევის ქვრივი კავერდაზე ზრუნავს

ვარშავა, 23 ივნისი. გაზეთების ცნობით, არციბაშევის ქვრივმა თავის თავზე იკისრა მზრუნველობის გაწევა ციხეში მყოფ კავერდასათვის. კავერდას გაეგზავნა ციხეში წიგნები, რომ მან შესძლოს მომზადება სიმწიფის ატესტატის ჩასაბარებლად. (ადს).

ენ-სი-შანის ორმაგი პოლიტიკა

პეკინი, 23 ივნისი. ენ-სი-შანს ჯერ კიდევ არ უპასუხნია ანგოციზიუნის ლიდერების დეპეშაზე, რომლებიც მას წინადადებას აძლევდენ მხარი დაეჭირა ჩან-ძო-ლინის უმაღლეს მმართველად დანიშვნისათვის, რაც მათ შორის ბადებს ეჭვებს ენ-სი-შანის მიმართ. მეორეს მხრივ ფინ-იუი-სიანიც მოითხოვს ენ-სი-შანისაგან, რომ აშკარად გამოარკვიოს თავისი პოზიცია და გაატაროს პროვინცია შან-სიზე სახალხო არმიები (ადს).

ჯამაგირის მიუცემლობის გამო

პეკინი, 23 ივნისი. იაპონიის ოფიციოზი „მანჯურია დეილი ნიუს" იტყობინება, რომ სამხრეთიდან მოვიდა და წავიდა ხარბინში 30 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი. ისინი ეკუთვნოდენ ჩან-ძუ-ჩანის არმიას. მათ სამსახური მიატოვეს ჯამაგირის მიუცემლობის გამო (ადს).

პროცესები ტატარ-ბაზარჯიკში.

ვენა, 23 ივნისი. ტატარ ბაზარჯიკში (ბულგარეთი) სწარმოებს ორი პროცესი. პირველი (40 ბრალდებულის) მიმართულია ბულგარეთის არალეგალურ კომკავშირის წინააღმდეგ. პროკურორი მოითხოვს ყველა ბრალდებულის სიკვდილით დასჯას. მეორე პროცესი მიმართულია ბულგარეთის არალეგალურ კომპარტიის წინააღმდეგ. პროკურორი მოითხოვს 23 ბრალდებულის სიკვდილით დასჯას. საბრალმდებლო ოქმი ემყარება პოლიციის მიერ დაპატიმრებულთაგან წამებით და ცემით მიღებულ „ჩვენებებს".

ოპოზიციის წინააღმდეგ

ბალტა, 23 ივნისი. უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბ) მოლდავიის საოლქო კომიტეტის პლენუმი შეუერთდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის ყველა დადგენილებებს და სასტიკად ჰკიცხავს ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას (ადს).

ახალგაზრდათა კომ. ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 23 ივნისი. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის პლენუმის სხდომაზე (21 ივნისს) წარმოებდა კამათი შილერის და ბიუს მოხსენებების გარშემო ომის საფრთხისა და ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ. 22 ივნისს დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა შილერის საბოლოო სიტყვა. შემდეგ იანგმა გააკეთა მოხსენება „რაციონალიზაციასთან დაკავშირებით მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობის და პროფკავშირებში ახალგაზრდათა შორის მუშაობის ფორმების შესახებ". 22 ივნისის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი მოხსენების გარშემო; კამათი გრძელდებოდა 23 ივნისს მთელი დღის განმავლობაში (ადს).

თავდაცვისათვის

მოსკოვი. 23 ივნისი. რ. ს. ფ. ს. რ-ის სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ სწარმოებს შემოწირულებათა შეგროვება თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად. ჩერეპოვეცში 25 ივნისს დაიწყება თავდაცვის სამკვირეული. კოსტრომის ქალაქის საბჭომ თავდაცვის ფონდში გადასდო 7.000 მანეთი. ნიჟეგოროდის რკინის გზელები ზედმეტ საათებს მუშაობენ ორთქმავლების და ვაგონების შესაკეთებლად და მთელი ზედმეტი საათების ნამუშევარს სწირავენ თავდაცვის ფონდს (ადს).

პროფ. ტარასევიჩის დასაფლავება

მოსკოვი, 23 ვნისი. 23 ივნისს ექსპერიმენტალური ტერაპიის ინსტიტუტში გადახდილ იქნა დრეზდენში გარდაცვლილ პროფ. ტარასევიჩის სამოქალაქო პანაშვიდი. გამოსული ორატორები ეხებოდენ ტარასევიჩის დამსახურებას სახალხო ჯანმრთელობის საქმეში, აღნიშნავდენ მის, როგორც ადამიანის და მეცნიერის თვისებებს. შემდეგ გარდაცვალებულის ცხედარი ხელით გაასვენეს „ნოვოდევიჩის" მონასტრის ძველ სასაფლაოზე, სადაც მოხდა დასაფლავება

ამხ. ბარანოვის ჩამოსვლა

23 ივნისს, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სამმართველოს უფროსი ამხ. ბარანოვი.

ვარშავის სასამართლოს კომედია
ამხ. როზენგოლცი კავერდას პროცესის შესახებ

მოსკოვი, 23 ივნისი. მოსკოვში დაბრუნებულმა ამხ. **როზენგოლცმა** საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილება კავერდას გასამართლების შესახებ:

„კავერდას პროცესი—განაცხადა ამხ. როზენგოლცმა—გვაოცებს თავისი ტენდენციურობით. პირველი, აშკარად გამოსახული ტენდენცია სჩანს იმ ფაქტში, რომ **სასამართლო სრულებით არ სცდილა მთლიანად გამოერკვია მომხდარი მკვლელობის ნამდვილი გარემოებანი,** რომ კავერდას გარდა პასუხისგებაში არ მიეცა სხვა მონაწილენიც. ასეთი ტენდენციურობის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტი, რომ **სასამართლომ არ გამოარკვია, თუ საიდან მიიღო მეტის-მეტად შევიწროვებულმა და თითქმის სრულიად ლატაკმა კავერდამ ფული ძვირად ღირებულ რევოლვერის შესაძენად.** არის ცნობები, რომ ვარშავაში ჩამოსვლისას, კავერდას ადრევე დაეხმარენ ოთახის შოვნაში. ვინ იყვნენ ის პირები, რომლებმაც ხელი შეუწყეს კავერდას? სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას.

პროცესმა არ გააშუქა აგრეთვე, თუ ვინ იყო კავერდას გარდა მკვლელობის მონაწილე და ორგანიზატორი, ვინაიდან პასუხისგებაში მიცემული იყო მხოლოდ კავერდა, თითონ **გასამართლებაში აშკარად სჩანდა მკვლელობის მორალური გამართლებისა და განაჩენის მაქსიმალურად შემსუბუქების ტენდენცია.** განსაკუთრებული სიძლიერე ამ ტენდენციამ თავი იჩინა პროკურორის სიტყვაში.

გაუგონარი და განსაცვიფრებელი ფაქტია, რომ **ამ პროცესში სახელმწიფო ბრალმდებელი გამოდიოდა არა ბრალმდებელის, არამედ დამცველის როლში.**

პროკურორმა თავის სიტყვაში სრულებითაც არ გაკიცხა, საძაგელი ბოროტმოქმედება და თითონ ბოროტმომქმედი. პირიქით, მან აღნიშნა თითქოს კავერდას ამოქმედებდა კეთილშობილური მოტივი: სამშობლოს სიყვარული.

საზიზღარი დამნაშავის დასახასიათებლად პროკურორმა გამონახა მხოლოდ ის გამოთქმა, რომ კავერდა არის „გულუბრყვილო ბავში, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო".

კავერდას დამცველებმა ნება მისცეს თავს მოეხდინათ მთელი რიგი აღმაშფოთებელი გამოსვლებისა იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც პოლონეთი ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობაში იმყოფება.

და ეს მოხდა საბჭოთა ელჩის მოკვლიდან რამოდენიმე დღის განვლის შემდეგ. **სასამართლოს თავმჯდომარე თავის მხრივ ხელს უწყობდა ასეთ შეურაცხმყოფელ გამოსვლებს.**

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის, რომ მიუხედავათ გამოტანილ განაჩენისა, პროცესზე სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელნი ცდილობდენ შეექმნათ ბოროტმოქმედისათვის „სამშობლოსათვის მებრძოლი გმირის" მდგომარეობა.

ამრიგად, პროცესი პოლიტიკურად ხელს უწყობს პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ მონარქისტულ ორგანიზაციების ტერორისტულ მუშაობას.

პროკურორმა თავის სიტყვაში მოიყვანა ჩემი განცხადება იმის შესახებ, რომ წინად მე შეუძლებლად მიმაჩნდა საბჭოთა წარმომადგენლის მოკვლა ვარშავაში. პროკურორი ცდილობდა ყალბათ განემარტა ეს განცხადება, რის გამო მე უნდა შევჩერდე ამ მუხლზე.

მე ვარშავაში ჩავედი ინგლისიდან, სადაც, მიუხედავათ მტრული დამოკიდებულებისა საბჭ. კავშირის მიმართ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა უშიშროება სავსებით დაცული იყო. თუმცა პოლონეთი ახალგაზრდა სახელმწიფოა, მაგრამ მე არ შემეძლო მეფიქრა, რომ ჩემი ვარშავაში ყოფნის დროს მოხდებოდა საბჭოთა წარმომადგენელზე თავდასხმა და მკვლელობა, რომ არ შეიძლებოდა იმედი გვქონოდა უშიშროების ნორმალური დაცვის და ამიტომ საჭირო იყო პირადათ ვყოფილიყავით შეიარაღებული. მაგრამ ახლახან დასრულებული პროცესი, მისი აღმაშფოთებელი ტენდენციური ხასიათით ამტკიცებს, რომ სამწუხაროდ, მოვსტყუვდი. აღმოჩნდა, რომ **პოლონეთის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი არ არის თვით იმ სახელმწიფოს წარმომადგენლის სიცოცხლეც კი, რომელთანაც პოლონეთი მეგობრულ განწყობილებაში იმყოფება".** (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

პეკინის მთავრობის მდგომარეობა

პეკინი, 22 ივნისი. „ჟურნალ დე პეკინი" პეკინის ახალი მთავრობის მდგომარეობას სერიოზულად სთვლის. გაზეთის ცნობებით, ენ-სი-შენი, ტან-შენ-ჩისთან შეთანხმებით ემუქრება პეკინ-ხანკოუს რკინის-გზას და საბოლოო მიზნად აქვს პეკინის დაკავება.

იგივე მიზანი დასახული აქვს სუიიუანის ძუძინუს შან-ჩენს, რომელიც პეკინისკენ გალაშქრებას ფიქრობს კალგანის რკინის-გზით, და ჩან-კაი-შისაც, რომელიც მიისწრაფვის პეკინის ასაღებად. (ადს).

„არა — ოფიციალური" მოგზაურობა

ნიუ-იორკი, 22 ივნისი. „ასოშიედ-პრესის" შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთში არაოფიციალურად მოგზაურობს შეერთებულ შტატების სამი სენატორი: უილერი— პროგრესისტი, ჰოფი — და ბინხამი — კონსერვატორები. კორესპონდენტის ცნობით, სენატორი უილერი გაემგზავრა ნანკინში. სადაც მოხდება შეხვედრა ჩან-კაი-შისთან. (ადს)

კაპიტალის შემოტევა
ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატებში

ნიუ-იორკი. 22 ივნის. შესდგა ცენტრალურ პენსილვანიის ნახშირის მრეწველობის წარმომწყებათა და პროფკავშირების წარმომადგენელთა კონფერენცია. მრეწველები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის შემცირებას და იმუქრებიან წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენონ ის მუშები, რომლებიც პროფკავშირებში არ ირიცხებიან. ამავე დროს ასეთივე კონფერენცია ხდება ილინოისის შტატში, სადაც მაღაროს მუშები უკვე გაიფიცენ. შეთანხმების შესაძლებლობა, თუ გაფიცული მუშები ხელფასის შემცირებაზე არ დათანხმდენ საეჭვოდ მიაჩნიათ.

მუშათა პარტიის დევნა ბულგარეთში

ვენა, 22 ივნისი. სოფიის პოლიცია იუწყება, რომ უკანასკნელ კვირაში მესამეჯერ მოხდა თავდასხმა ხელისუფლების წარმომადგენლებზე. თითქოს სამი უცნობი თავს დაესხა პოლიტიკური პოლიციის მდივან ათანზოვს. ამ ცნობების მიზანია შექმნას სათანადო ატმოსფერო და მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი მუშათა პარტიის ახალი დევნისათვის, რათა აიძულოს უკანასკნელი არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლაზე. (ადს)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაჰესის გახსნისათვის

საკ. ს. მ. უ. ს. მისალმება

მოსკოვი, 23 ივნისი. „ზაჰესის" მომავალი გახსნის გამო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. რუხიმოვიჩის ხელმოწერით ზაჰესკომის თავმჯდომარის ამხ. ელიავას სახელზე გაგზავნილია შემდეგი დეპეშა:

„ზემო - ავჭალის ჰიდრო - ელსადგურის გახსნა არის ამიერ - კავკასიის მშრომელთა დიდი გამარჯვება. ამ ხუთი წლის წინად თბილისის პროლეტარიატის მიერ მოწყობილ კვირეულით დაიწყო ზემო - ავჭალის სადგურის შენება. ამჟამად ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ენერგეტიული ბაზის შემადგენლობაში შედის ახალი მძლავრი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ამიერ-კავკასიის მომავალ ელექტრო-სადგურების ჯაჭვის ძირითად რგოლს. ზემო - ავჭალის ჰიდრო - სადგური შლის ახალ ფურცელს ამიერ - კავკასიის ს. ფ. რესპუბლიკის ელექტროფიკაციის და ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ზაჰესს, რომელიც წარმოადგენს მრეწველობის და ტრანსპორტის განვითარების ენერგეტიულ ცენტრს, სახელმძღვანელო ამოცანად უნდა ექნეს დასახული სადგურის პერსპექტიული გაფართოება და მისი ენერგიის მაქსიმალური გაიაფება. ჰიდრო-სადგურის მუშაკების მიერ ეს ამოცანა შესრულებული იქნება. ამის საწინდარია ზაჰესის ასაშენებლად წარმოებული საერთო შეთანხმებული მუშაობა.

ზაჰესის მუშაობის დაწყების დღეს მუშებს, ტეხნიკურ პერსონალს და სადგურის მშენებლობის ხელმძღვანელთ ვუგზავნი მხურვალე სალამს". (ადს).

ამერიკის პრეტენზიები

ნიუ-იორკი, 22 ივნისი. გერმანია-ამერიკის შერეულმა კომისიამ, რომელიც იხილავს გერმანიისადმი წარდგენილ მოთხოვნილებებს იმპერიალისტური ომის დროს მიყენებულ ზარალის ანაზღაურების შესახებ, გამოაქვეყნა ცნობა, რომლის მიხედვით **გერმანიამ ამერიკას უნდა აუნაზღაუროს ზარალი 212 მილ. დოლარის რაოდენობით. ამ თანხიდან 150 მილ. ერგება ამერიკის მოქალაქეებს, ხოლო დანარჩენი მთავრობას. (ადს).**

ფეიქართა გაფიცვა

ტოკიო, 22 ივნისი. ტოკიოში იაპონიის საფეიქრო კამპანიის ფაბრიკაში **დაიწყო გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 3.000 მუშა.** ფეიქარებმა წარადგინეს მოთხოვნილება შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ. ფიქრობენ, რომ გაფიცვას შეუერთდებიან ტოკიოს ზოგიერთ სხვა წარმოებების მუშებიც. (ადს.

ევროპის ეროვნულ უმცირესობათა ყრილობა

ბერლინი, 22 ივნისი. ევროპის ნაციონალურ უმცირესობათა მესამე ყრილობა შესდგება ჟენევაში 22 აგვისტოს.

ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის პარლამენტების ნაციონალურ უმცირესობათა დეპუტატები.

დღის წესრიგში, სხვათა შორის, შეტანილია საკითხები: ომის საფრთხე ევროპაში, სახელმწიფოთა სუვერენობა და ნაციონალურ უმცირესობათა უფლებები. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახალი ქალაქი სახალინზე

ალექსანდროვსკი, 23 ივნისი. სახალინის ნავთიანი რაიონის ცენტრში სწარმოებს ახალი ქალაქის დაგეგმვა. ქალაქს სახელად დაერქმევა ოხა. (ადს).

ქვეყნის თავდაცვისათვის

მოსკოვი, 23 ივნისი. მთელ რიგ ქალაქებიდან მოდის ცნობები ქვეყნის თავდაცვისათვის შემოწირულობათა შეგროვების შესახებ.

ამ დღეებში მთელ კარელიაში ჩატარდა თავდაცვის კვირეული.

შემოწირულებათა შეგროვება სწარმოებს კავშირის სულ მიყრუებულ ადგილებშიც კი, კერძოდ ჩრდილოეთ სახალინზე. (ადს).

ნიაღვრები ბაიკალის იქითა მხარეში

ვერხნეუდინსკი, 23 ივნისი. რამდენიმე დღეა მოდის არაჩვეულებრივი წვიმა, რის გამოც ადიდდა მდინარეები; ნიაღვრებმა საშიში ხასიათი მიიღეს.

ნიაღვარმა რამდენიმე ადგილას წალეკა ბაიკალის იქითა მხარის რკინის გზის ზოლი, დაანგრია ერთი ხიდი და დააზიანა სადგურები, ზოგიერთ სადგურებს ნიაღვარმა მთლიანად გამოაცალა ძირი. შეწყვეტილია სატელეგრაფო კავშირი. შეჩერებულია რკინის გზის მოძრაობა, ეხლაც წვიმს, წყალი მატულობს. ზარალი დიდია. (ადს).

დიდ გადაფრენის მონაწილეთა საპატივცემო საღამო

მოსკოვი, 23 ივნისი. გაიმართა საბჭოთა დიდი გადაფრენის მონაწილეთა საპატივცემო ამხანაგური საღამო.

საღამოს დაესწრნენ ქიმიური თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. რიკოვი და რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კამენევი.

ამხ. რიკოვმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც შეეხო რა საბჭოთა გადაფრენის შედეგებს, აღნიშნა, რომ ეს შედეგები ადასტურებენ ჩვენს სერიოზულ მიღწევებს საავიაციო ტეხნიკის დარგში.

კამენევმა აღნიშნა გადაფრენის ბრწყინვალე მიღწევები. „სინამდვილემ,—სთქვა ამხ. კამენევმა,—ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა".

მფრინავების მხრივ საპასუხო სიტყვით გამოვიდა მოხალისე მფრინავი კაგანი. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ფასების დაკლება

ბაქო, 23 ივნისი. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმმა, მოისმინა რა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის და კოოპერაციის მოხსენებები ფასების დაკლების შესახებ, აღნიშნა, რომ შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივა სამრეწველო საქონელზე ფასების 10 პროც. დაკლების შესახებ მთლიანად გატარებული არ არის (5 ექვსი მერვედი პროც. —8,35 პროც.).

პლენუმმა აგრეთვე აღნიშნა ზოგიერთ სამრეწველო საქონლის თვისების გაუარესება და აუცილებლად ჩასთვალა კოოპერატიული ქსელის რაციონალიზაციის გატარება დანართი ხარჯების შესამცირებლად.

საჭიროდ იქნა ცნობილი ეკონომიური და ადმინისტრატიულ ზეგავლენის გაძლიერება იმ პირების მიმართ, რომლებიც აბრკოლებენ ფასების დაკლების კამპანიას (ადს).

მინდვრის სამუშაოები

განჯა, 22 ივნისი. გლეხობა ათავებს ქერის ახალი მოსავლის აკრეფას და იწყებს ხორბლის მოსავლის აკრეფას. ამინდი ხელს უწყობს მინდვრის სამუშაოებს. (ადს).

„კონკორდიაში" გაფიცვა აცილებულია

განჯა, 22 ივნისი. „კონკორდიის" წარმოებაში გაფიცვა აცილებულია. გემოკვების კავშირის მიერ წარდგენილ ვადის, 48 საათის სისრულის შემდეგ „კონკორდია"-ს გამგეობამ განაცხადა თანხმობა გადასცეს სამედიატორო სასამართლოს სადავო საკითხები, რომლებიც წამოიჭრა კოლექტიურ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. გემოკვების კავშირის განჯის განყოფილების სურვილის თანახმად სამედიატორო სასამართლო შესდგება ბაქოში (ადს).

სომხეთი

საფლავების გათხრა ერევნის მაზრაში

ერევანი, 23 ივნისი. სომხეთის სახელმწიფო მუზეუმი ამიერ-კავკასიის სამეცნიერო ასოციაციის ხარჯზე აწყობს ერევნის მაზრაში ეილარში და ბაშგიუხში ძველი საფლავების გათხრას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ნეოლიტურ და ბრინჯაოს ხანის შესასწავლად სომხეთში. გათხრა გაგრძელდება 2 თვემდე. ექსპედიცია უკვე გაემგზავრა ადგილობრივ (ადს).

ეჩმიაძინის სასელექციო სადგური

ერევანი, 22 ივნისი. სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ფიქრობს 1928 წლის გაზაფხულის დასაწყისიდან ვაგარშაპატში გახსნას სასელექციო სადგური. სადგურის ხარჯთაღრიცხვა—39.635 მან. შეტანილია 1927-28 წლის ბიუჯეტში.

კარაკლისის ჰიდროელსადგური

ერევანი, 22 ივნისი. სომხეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ელექტრომექანიკური ტრესტის მიერ წარმოდგენილი პროექტი კარაკლისში საშუალო სიმძლავრის ჰიდროელსადგურის აგების შესახებ.

კარაკლისის სამაზრო აღმასკომს წინადადება მიეცა გამოძებნოს საშუალებები სადგურის ასაგებად (ადს).

ნორ - ბაიაზეთის ჰიდრო - ელსადგური

ერევანი, 22 ივნისი. ნორ - ბაიაზეთის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ჰიდროელსადგურის შესაკეთებლად 17.000 მანეთის მიცემის შესახებ. სახალხო მეურნეობის საბჭო შეუდგა ბინის, სადგურის ბინის და ქსელის გამოკვლევას (ადს).

საბინაო კრიზისი ერევანში

ერევანი, 22 ივნისი. სომხ. კომპარტიის ერევნის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა ქალაქის საბჭოს საამშენებლო სექციის თავმჯდომარის ამხ. ფარზიანის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნა შემდეგი მომენტები:

ნორმალურ საბინაო სივრცეთ ითვლება 15 კვად. არშინი სულზე. ერევანი კი იმდენად მჭიდროთაა დასახლებული, რომ სულზე მოდის მხოლოდ 4,6 კვ. არშ. მწვავე საბინაო კრიზისის ლიკვიდაციისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს უახლოეს სამ წელიწადში საბინაო სივრცის მინიმუმის 10 კვ. არშინამდე აყვანა, რისთვისაც უნდა შეკეთდეს ქალაქის ყველა სახლები გრძელვადიანი კრედიტების გამოყენების საშუალებით, ყოველწლიურად აშენდეს ახალი საბინაო სივრცე არა უმცირეს 37-40 ათას კვ. არშინისა, გატარდეს პრინციპი, რომლის მიხედვითაც სახლმა უნდა აანაზღაუროს აუცილებელი, რემონტისთვის საჭირო ხარჯები, ყურადღება მიექცეს ბინის ქირის თავის დროზე გადახდას, დაეშენოს მეორე და მესამე სართულები ყველა სახლებს, სადაც ეს შესაძლებელია, წინადადება მიეცეს ქალაქის საბჭოს გამოიმუშაოს მრავალსართულიანი ფუნდამენტალურ სახლების გაიაფებული ტიპები და მიღებულ იქნეს ზომები მშენებლობის მექანიზაციისა და სტანდარტიზაციისათვის. პლენუმმა ერთხელ კიდევ დაადასტურა რომ ერევნის მთელი მშენებლობა აუცილებლად უნდა სწარმოებდეს ქალაქის ახალი გეგმის მიხედვით, რომელიც დაამუშავა სახალხო არქიტექტორმა, აკადემიკოსმა **ა. ი. ტამანიანმა**. ქალაქის საბჭოს წინადადება მიეცა შეიმუშაოს სამიზნე საბინაო გადასახადის პროექტი. ამას გარდა აუცილებლად იქნა ცნობილი კოოპერატიულ საბინაო მშენებლობისათვის ყოველმხრივი ხელის შეწყობა და საბინაო მშენებლობაში კერძო კაპიტალის მოზიდვა.

პლენუმმა აღნიშნა, რომ ერევანში საბინაო კრიზისის ლიკვიდაცია წარმოადგენს სარესპუბლიკო მნიშვნელობის საკითხს (ადს).

ა.-კ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისართა თათბირი

გუშინ დილით ამიერ-კავკასიის ცაკთანაა გახსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისართა თათბირი. თათბირი გახსნა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **ქასიანმა**, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა თათბირის მიზნები და ამოცანები.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) წყლების საკითხი; 2) ვეტერინარიის საკითხები და საქონლის ჭირი; 3) მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება და ფილოქსერა, 4) მებამბეობის საკითხები, 5) საცდელ-გამოკვლევითი და სასელექციო საქმე; 6) მთაბარეობის საკითხი; 7) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხები და 8) სასოფლო-სამეურნეო კრედიტი.

თათბირის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ვეტერინალური დახმარების ორგანიზაციის შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა ა.-კ. რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა მოხსენები მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ მევენახეობა და მეღვინეობა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, კერძოდ, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განსავითარებლად შედგენილია პერსპექტიული გეგმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვენახების სივრცე საქართველოში ომის წინა ხანებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა. ზოგიერთ რაიონებში, მაგალითად, გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთში თითქმის აღარ არის ვენახები.

საქართველოს ვენახების მტერია ფილოქსერა, რომელთანაც ბრძოლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დაიწყო.

ფილოქსერასთან საბრძოლველად მოწყობილია სანერგეები, მევენახეობა-მეღვინეობის სადგურები, სათბურები ნერგების დასამზადებლად და სხვა. მიღებული ღონისძიებების წყალობით უკვე აღდგენილია 2.000 ჰექტარი ვენახი. მიღებული გეგმის მიხედვით ყოველწლიურად განზრახულია 4.600 ჰექტარის აღდგენა.

საინტერესო მოხსენებები გააკეთეს აზერბეიჯანის და სომხეთის მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობაზე აღნიშნული რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებმა. მომხსენებლებმა დაახასიათეს ვენახების მდგომარეობა, აღნიშნეს მევენახეობის განვითარების გზები და დაწვრილებით შეჩერდენ ღვინის გასაღების საკითხზე.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის აღმასკომის პლენუმის მეორე სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ინჟ. ბონგაძის მოხსენება

თბილისის მაზრის კეთილმოწყობის შესახებ

მიმდინარე წელს თბილისის მაზრის მთელ რიგ სოფლებში განზრახული იყო ახალი წყალსადენების გაყვანა, მაგრამ ამ ამოცანის სავსებით შესრულება აუცილებელი მასალების (საწყალსადენო მილების) უქონლობის გამო ვერ მოხერხდა, ზოგ სოფლებში კი წყალსადენების გაყვანა დამთავრებულია.

თბილისის აღმასკომის გამგებლობაში თბილისის მაზრაში იმყოფება 191 ვერსი გზატკეცილები და 65 ვერსი საურმე შარა გზა. მთელი რიგ შარა გზებზე ამ ჟამად მიმდინარეობს შესაკეთებელი მუშაობა, რომელშიდაც სავალდებულო ბეგარის წესით მონაწილეობას იღებს ადგილობრივი მოსახლეობა. გლეხობა უმთავრესად ეზიდება საამშენებლო მასალას—ქვას სამუშაო ადგილებზე.

მიმდინარე წლისათვის გზების შესაკეთებლად გადადებული იყო 100 ათასი მანეთი. ამ თანხაში არ შედის ის შრომა, რომელსაც ნატურალური ბეგარის სახით იღებს ადგილობრივი გლეხობა. მომავალი სამეურნეო წლისათვის განზრახულია ალბულაღის, წალკის და სიღნაღის გზატკეცილების შეკეთება.

გარდა ამისა, თბილისის მაზრაში სწარმოებს მშენებლობა განათლების და ჯანმრთელობის განყოფილებათა ხარჯზე. ამ საამშენებლო მუშაობიდან აღსანიშნავია საავადმყოფოს შენობის აგება საგარეჯოში, საავადმყოფოს შეკეთება თონეთში და დამწვარი სასკოლო შენობის აღდგენა ალბულაღში და აგრეთვე მთელ რიგ სასკოლო შენობათა აღდგენა.

დაწყებულია აგრეთვე მუშაობა მაზრის ელექტროფიკაციოდ. უკვე გადაგზავნილია ელექტრო-მოტორები ალბულაღსა და მანგლისში.

მომავალი წლისათვის მთელ რიგ სოფლებში განზრახულია აბანოების აგება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აღმასკომის პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ საჭიროა მაზრის კეთილმოწყობის მუშაობას მიეცეს უფრო გეგმიანი ხასიათი და უფრო მეტად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის შრომა ადგილობრივ აღმშენებლობაში.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **დარახველიძის** მოხსენება და ამხ. **გვალიას** თანამოხსენება

მანგლისის თემაღმასკომის მუშაობის შესახებ

ამხ. დარახველიძე (მანგლისის თემაღმასკომის თავმჯდომარე) აღნიშნავს, რომ გასულ წელთან შედარებით, როგორც თემაღმასკომის, ისე საბჭოს მუშაობა გაცხოველდა. საბჭოს წევრები ეხლა უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საბჭოთა ორგანოების მუშაობაში. მეტს უნარს იჩენენ აგრეთვე სექციები—განსაკუთრებით ჯანმრთელობის და აღმშენებლობის სექციები. მანგლისის თემაღმასკომის ბიუჯეტი უდრის 53 ათას მანეთს. ბიუჯეტის შესრულება ნორმალურად მიმდინარეობს. თემაღმასკომის [illegible] უმთავრესად ხმარდებოდა გზების შეკეთებას, ხიდების აგებას, სასკოლო შენობათა შეკეთებას, საავადმყოფოს და სხვა. თბ. აღმასკომისაგან მიღებული სესხით მანგლისში შენდება ელსადგური და გაჰყავთ წყალსადენი, რომლებიც დამთავრდება პირველ აგვისტოსათვის. ნაკლებ ზრუნავს მანგლისის კეთილმოწყობაზე ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სექცია, რომელიც უფრო ზრუნავს მანგლისის საგარაკოების ექსპლოატაციას. განათლების დარგში მანგლისის რაიონი ჩამორჩენილია. თუმც სწავლა-განათლების საქმე წინსვლას მიდის—რაიონში არსებობს სულ 29 სკოლა, სადაც სწავლობს 10.500 [illegible]. სახალხო ჯანმრთელობის დაცვას აბრკოლებს სპეციალისტ-ექიმების უქონლობა.

ამხ. გვალია თავის თანამოხსენებაში ადასტურებს რა მანგლისის თემაღმასკომის მიღწევებს მშენებლობის დარგში, აღნიშნავს ზოგიერთ ნაკლოვანებებს.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, სადაც იგი მანგლისის თემაღმასკომის მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს და საჭიროდ სთვლის მუშაობის გაძლიერებას გლეხობის აქტივობის გამოსაცოცხლებლად.

დასასრულ პლენუმმა თბილისის აღმასკომში გარდაცვლილი ამხანაგის ლ. ქავთარაძის ნაცვლად შეიყვანა პირველი კანდიდატი ამხ. **ზ. მართელი.**

გერმანულ სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

მეორე სხდომა

მეორე სხდომაზე მოხსენებას მასალის გეგმის და აღრიცხვის შესახებ აკეთებს ამხ. **ზუბურიშვილი.** მომხსენებელი ვრცლად შეეხო საბავშვო ბაღების სასწავლო მასალების აგეგმისა და აღრიცხვის საქმეს და დაასურათა თუ როგორ უნდა ხდებოდეს მისი გატარება ცხოვრებაში. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ განსხვავებას, რომელიც არის დღევანდელ კოლოკვიუმების და ძველ „გამოცდების" შორის: მეტადრე ოთხწლედებში. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილე მასწავლებლებმა ამცნეს, თუ როგორ ჩატარდა მათ სკოლებში წლიური ანგარიშები.

მესამე სხდომა

ივნისის დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ბ. კანდელაკმა** მასწავლებელთა თვითგანვითარების შესახებ, საღამოს სხდომაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. **პრონცენკო** მოწაფეთა თვითმართველობის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

სადელეგატო კრებების ტკივილები

სადელეგატო კრებების მუშაობაში შარშანდელთან შედარებით გაუმჯობესებას უთუოდ აქვს ადგილი. — თუ შარშან მეცადინეობა ხდებოდა უგეგმოთ, წელს მეცადინეობას ცენტრის მიერ დამუშავებული პროგრამა დაედო საფუძვლათ. ერთგვარი სისტემა მაინც იყო მუშაობაში.

დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ სადელ. კრ. სოციალური შემადგენლობა ერთობ გაუმჯობესდა. 10.196 დელეგატში 4.672 ღარიბი გლეხი ქალია.

მაგრამ ნაკლი სად. კრ. უფრო მეტი აქვს. მათ ჯერ-ჯერობით ვერ მიიღეს სრული „იურიდიული" და „ფაქტიური" „ცნობა", როგორც ერთ ერთეულმა პოლიტიკურ აღმზრდელობის სისტემაში.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეცადინეობა სად. კრ. დაიწყო დეკემბერში, ზოგან იანვარში და, ცხადია, პროგრამა ვერ იქნა გავლილი. ამით აიხსნება, რომ სად. კრ. ხელმძღვანელთა კადრები ძლიერ მოიკოჭლებდა, როგორც მეთოდიური გამოცდილების, ისე თეორეტიულ მომზადების მხრივ.

ცოცხალი - გაშლილი მასსა, რომელსაც მხოლოდ შეუძლია პოლიტიკურად ჩამორჩენილ, ჯერ კიდევ გაუწვრთნელ ქალთა მასის გაღვიძება, ამოძრავება თითქმის არ არსებობდა. მის ადგილად გაბატონებული იყო მშრალი, ერთფეროვანი ლექციები. ცხადია, ასეთი მეთოდით ინდივიდუალობა ადუნებდა მსმენელთა ინტერესს და აქტივობას.

მეორე მოთხოვნილება, რომ პროგრამაში აღნიშნული მასალები უკავშირდებოდეს თანამედროვეობას, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებებს, არ იყო ჩატარებული. ექსკურსიია დათვალიერება, გამოკვლევა ადგილობრივ ორგანიზაციების — დაწესებულებების და სხვა არ სწარმოებდა.

არ იყო კავშირი თეორეტიულ, საპროგრამო მეცადინეობასა და დელეგატთა პრაქტიკულ მუშაობას შორის.

გასაოცარია ასეთ პირობებში როგორი სურვილი უნდა ქონოდა დელეგატ - ქალებს, რომ დასწრებოდენ კრებებს. დასწრება კი უდრიდა 25—98 პროცენტს.

რამოდენიმე სიტყვა დელეგ. კრ. პრაქტიკულ მუშაობის შესახებ. დელეგატები ჩაბმული არიან პრაქტიკულ მუშაობაში მხოლოდ 31 პროცენტით, მაგრამ ეს ჩაბმაც ჰკარგავს თავის აზრს. დაწესებულებათა ხელმძღვანელნი არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მიმაგრებულთა აღზრდის საქმეში, არ აბამენ მათ მუშაობაში, არ იწვევენ თათბირებზე — ასე რომ, ხელმძღვანელთა დაუდევრობის და არაამხანაგური მოპყრობის გამო (რა თქვენი საქმეაო) მიმაგრებას ხშირად ჰქონდა ფორმალური ხასიათი. რაც გულს უტეხდა დელეგატ ქალებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი დიდი ნაკლი. — ესაა დელეგატ - ქალების სუსტი კავშირი ამომრჩეველთა მასებთან. ანგარიშების ჩაბარების პრაქტიკა მხოლოდ ეხლა ხან შედის სისტემაში, მაგრამ ეს ანგარიშები ვერ აკმაყოფილებენ თავის შინაარსით და ფორმით ამომრჩეველთ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მუშაობის სისუსტე, ასე რომ მასალა ანგარიშისათვის ხშირად არც კი არის, მეორე, ზოგჯერ გლეხი ქალისათვის საერთო კრებაზე ანგარიშის გაკეთება, ერთობ ძნელია. ცხადია აქ ხელმძღვანელი უნდა დაეხმაროს მას. მან უნდა დაამუშავებინოს მოხსენების გეგმა, საკითხები, უნდა გააკეთებინოს, ეს მოხსენება ჯერ სადელ. კრებაზე და შემდეგ გადაიტანოს ქალთა საერთო კრებაზე.

საჭიროა კიდევ უფრო მარტივი ფორმა გამონახოს დელეგატების დასაკავშირებლად მასებთან. — ბაზა დელეგატ. ქალების ბინებზე, როგორც ეს არის რუსეთში.

სადელეგატო კრებების სოციალურ შემადგენლობის განხილვა გვიჩვენებს, რომ მიღწევა არის კრებებში ღარიბთა ჩაბმის მხრივ, მაგრამ ძლიერ მოიკოჭლებს საშუალო გლეხ-ქალთა ჩაბმა სადელ. კრებების მუშაობაში. 10.000 დელეგ. ქალთა შორის 1.200 საშუალო გლეხი ქალი ირიცხება. ცხადია, ეს მცირე რიცხვად უნდა ჩაითვალოს.

სადელეგატო კრ. მუშაობას ხელს უშლის კიდევ კრებების ფერადი შემადგენლობა კულტურულ განვითარების დონის მხრივ. — მაგალითად, იქ თქვენ ნახავთ წერა - კითხვის უცოდინარს, მის გვერდით საშუალო და უმაღლესი განათლების ქალს. ცხადია ასეთ პირობებში რაიმე სწორი, გეგმიანი მეცადინეობა, რომ ყველა მსმენელი დააკმაყოფილოს, შეუძლებელია ეს ნაკლიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

ბული არ არის.

ი. რ—ძე.

უჯრედი ლოთობასთან ბრძოლაში

ლოთობა მშრომელ მასისათვის ერთ-ერთ დიდ ბოროტებას წარმოადგენს. აქ არ შევუდგებით ამის გამორკვევას თუ რა იწვევს ლოთობას და როგორია მისი სოციალური ფესვები. საჭიროა აღინიშნოს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ლოთობა გავრცელებულია არა თუ უპარტიო მასაში, არამედ პარტიის რიგებშიაც კი.

იმისათვის, რომ ჩვენ ვებრძოლოთ ამ სენს, საჭიროა ლოთობა აღმოვფხვრათ პარტიის წევრთა შორის. რასაკვირველია, მარტო ადმინისტრატიული საშუალებით აქ ჩვენ ბევრს ვერაფერს გავხდებით. ამ ღონისძიებებთან ერთად საჭიროა იდეურ - კულტურული ხასიათის საშუალებით ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ.

პირველი სიტყვა ამ შემთხვევაში ეკუთვნის ჩვენს კულტურულ - განმანათლებელ ორგანოებს. მიკიტანი და დუქანი - ზურნა ხშირათ იმიტომ უფრო იზიდავს მუშა - მოსამსახურეს, რომ პროფკავშირების საკლუბო მუშაობა არაა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ის ვერ აკმაყოფილებს მასის დღევანდელ კულტურულ მოთხოვნილებას.

პარტია ამ სენთან ბრძოლის საქმეში პირველ რიგებში უნდა მიდიოდეს. ამ მიზნით პარტუჯრედებმა უნდა აიღონ ინიციატივა ლოთობასთან ბრძოლაში. ისინი სხვადასხვა მასიური ორგანიზაციების საშუალებით უნდა აწყობდენ ლოთის საჯარო გასამართლებას, უნდა მართავდენ ლექციებს, ავრცელებდენ სათანადო ლიტერატურას და სხვა. ამ მუშაობაში უნდა ჩაბმულ იქნას მუშა და მუშაკების ქალებიც, რომელნიც როგორც ეს გამოცდილებიდან ვიცით, მხურვალეთ ეხმაურებიან ლოთობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას.

ლოთობა პროლეტარიატის კლასიური მტერის მოკავშირეა. ის აჩლუნგებს მშრომელთა გონებას, ხელს უშლის კოლექტიურ თვითშეგნების განვითარებას, აძაბუნებს მშრომელებს ფიზიკურად და ეკონომიურად; აფერხებს ჩვენი, სოციალისტური წარმოების ნორმალურ მუშაობას და სხვ.

ამიტომ პარტუჯრედებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ პროფკავშირების, საბჭოების, კოოპერაციის და სხვა მასიურ ორგანიზაციათა გამოსაცოცხლებლად ლოთობის წინააღმდეგ. ლოთობა თან და თან უფრო იკიდებს ფეხს მუშებისა და გლეხების შორის. დროა ამ სენს სისტემატიური და მიზანშეწონილი ბრძოლა გამოეცხადოს.

ვ. გ—ა.

პარტაღწერის გარეშე დარჩენილთა შესახებ

პარტაღწერა დაიწყო 1927 წლის 10 იანვარს და უნდა დამთავრებულიყო ქალაქში 10 დღეში, მაზრაში კი 20 დღეში, მაგრამ საკავშირო კომპარტიის ცეკამ, მიიღო რა მხედველობაში, რომ დაწესებული ვადისათვის, სხვადასხვა მიზეზების გამო, შეუძლებელი იყო აღწერის დასრულება, ვადა გააგრძელა 1-ლ ივნისამდე. მიუხედავათ ასეთი დიდი ვადისა დღემდე ზოგიერთი ამხანაგებს პარტიული აღწერა არ გაუვლიათ. მაგ., თბილისის ორგანიზაციაში პარტაღწერის გარეშე დარჩა 184 ამხანაგი.

საპატიო მიზეზის გამო არ გაუვლიათ აღწერა 74 ამხანაგს. საპატიო მიზეზთა შორის აღნიშნულია, უმთავრესათ, ავადმყოფობა, გრძელ ვადიანი მივლინება.

როგორც ციფრებიდან სჩანს, არა საპატიო მიზეზების გამო არ გაუვლია აღწერა ამხანაგების საკმაო რიცხვს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გარემოება უმთავრესად აიხსნება უჯრედების მდივნების არა საკმაო ყურადღებით ამ საკითხისადმი.

საქმე იმაშია, რომ პარტაღწერის ჩატარების დროს უჯრედების მდივანმა ვერ აწარმოვეს სათანადო [illegible] წევრთა შორის ამ მიმართულებით. [illegible] იყო შემთხვევები, როდესაც ზოგი ამხანაგი [illegible] და მდივანმა ასეთ ამხანაგებს არ გამოუძახა და არ გამოარკვია დაუსწრებლობის მიზეზი.

ამის გამო, ბევრი ამხანაგი, მათ შორის, უმთავრესად მუშები, დარჩენ პარტაღწერის გარეშე.

როდესაც 1-ლ რაიკომში ასეთი მუშებს გამოჰკითხეს, ამხანაგურათ ესაუბრენ, მათ განაცხადეს, რომ ისინი მზათ არიან პარტიული აღწერა გაიარონ და საწევრო დავალიანების ანგარიშიც გაასწორონ. აქედან ცხადია, რომ ამხანაგური მიდგომა, ახსნა - განმარტება ბევრ შედეგს მოგვცემდა.

თანახმად საკავშირო კომპარტიის ცეკას განმარტებისა, დამატებითი, 1-ლი ივნისის შემდეგ პარტაღწერა, შეჩერებულია. ცენტრალური კომიტეტი მხოლოთ მოითხოვს ცნობებს პარტიის აღწერის გარეშე დარჩენილთა რაოდენობის შესახებ აღწერაში გაუტარებლობის მიზეზების აღნიშვნით. შესაძლებელია, რომ ამის შესახებ იქნეს რაიმე სპეციალური დირექტივა. ყოველ შემთხვევაში, ყველა ის ამხანაგები, რომლებიც თავიანთი დაუდევრობის გამო დარჩენ აღწერის გარეშე და მათ არ ჰქონდათ საპატიო მიზეზი, ვალდებული არიან ეხლავე დააყენონ საკითხი თავის შესახებ ან რაიკომში, ან თბილისის კომიტეტში. რაც შეეხება იმ ამხანაგებს, რომლებიც პარტიაში ირიცხებიან და კრებებს არ ესწრებიან 1 და 2 წელიწადი და არც დღემდე ცხადდებიან აღრიცხვაზე, ისინი, თავის თავათ ცხადია, იქნებიან გარიცხული პარტიიდან მექანიკურად.

სპეციალურად განხილული იქნება იმ ამხანაგების საკითხი, რომლებიც აღწერის დროს გარიცხული იყვნენ პარტიიდან და რომელთა გარიცხვა საკონტროლო კომისიის მიერ დამტკიცებული არ არის.

ი. რ—ძე.

ბაქოს პარტაქტივი ოპოზიციის გამოსვლის შესახებ

ბაქო, 22 ივნისი. აზერბ. კომ. პარ. (ბ) ბაქოს პარტაქტივი, კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელი პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, ადასტურებს, რომ მიუხედავათ არაჩვეულებრივი გამწვავებული საერთაშორისო მდგომარეობისა (ჩინეთის რევოლუციის ახალი ფაზა, ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ომის მზადება). ოპოზიციური ბლოკი განაგრძობს თავისი, განმანადგურებელი მუშაობის წარმოებას.

ბაქოს პარტაქტივი აცხადებს, რომ კომინტერნის აღმასკომის პლენუმმა სწორად, ბოლშევიკურად გააშუქა მის წინაშე წამოჭრილი ყველა საკითხები და გამოიტანა მათზე ჭეშმარიტად ლენინური გადაწყვეტილებები.

სასტიკად ჰკიცხავს რა ოპოზიციის გამოსვლას კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე, ბაქოს ორგანიზაციის აქტივი მოითხოვს: პირველი — კატეგორიული და უკანასკნელი წინადადების მიცემას ოპოზიციონერებისათვის, რომ ისინი დაემორჩილონ პარტიის ყველა გადაწყვეტილებებს და შესწყვიტონ ფრაქციული მუშაობა, რომელიც ასუსტებს პარტიას და კომინტერნს, მეორე — ოპოზიციის ბელადების გამორიცხვას საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკასი და კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობიდან იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაემორჩილებიან პარტიის გადაწყვეტილებებს და არ შესწყვეტენ ფრაქციულ მუშაობას (ადს).

კომკავშირში

სუსტი უჯრედი

(ცხუნკურის თემი, ქუთ. მ.)

ხსენებული თემის (ქუთ. მ.) კომკავშირი 1923 წლიდგან არსებობს. ის დღეს 60 წევრს და კანდიდატს აერთიანებს, ამათ შორის 8 ქალია. უჯრედის მუშაობა ძლიერ მოისუსტებს, რაიც გამოიხატება შემდეგში: უჯრედს არა აქვს არც კედლის გაზეთი, არც სხვა და სხვა წრეები, არც პიონერთა ორგანიზაცია. უჯრედში არაა გამოწერილი არც ერთი ჟურნალ-გაზეთი. საჭიროა სამაზრკომმა მიაქციოს ყურადღება ამას.

ოკილავ.

ინგლისის ბატონობა საქართველოში

ჩვენს წინ დევს სტენოგრამები იმ მოლაპარაკების, რომელსაც 1919 წლის თებერვლიდან სექტემბრამდი აწარმოებდენ ბრიტანეთის მთავრობის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ა.-კავკასიაში საქართველოს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები, უმთავრესად კი თვით ამ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

ამაზე უფრო საგულისხმო წასაკითხი მასალის პოვნა ახლანდელ დროში ძნელია.

საქართველოს, როგორც ცნობილია, „სჩაგრავენ" ბოლშევიკები. მთელ განათლებულ მსოფლიოს, და პირველ რიგში ამ მსოფლიოს მშვენებასა და სიამაყეს ინგლისელ კონსერვატორებს... ინგლისელ პურიშკევიჩებს სწყურიათ გაანთავისუფლონ ის ამ ჩაგვრისგან.

მაგრამ უფრო არის ცნობილი ის, რომ ინგლისის მემამულეებისათვის საქართველო სრულიადაც არ არის უცნობი ქვეყანა, რომლის აღმოჩენასაც ეს მემამულეები აპირებენ. ჩერჩილის თანამოძმეები უკვე იყვენ სტუმრად თითქმის ერთი წელიწადი, დასტოვეს თავის შემდეგ მოგონებანი და დოკუმენტები. ზოგიერთი მათგანიდან ჩვენ განზრახვა გვაქვს ციტატების მოყვანა. ეს იყო დიდი ხნის წინად,—1919 წ. „შვიდმა წელმა განვლო, როგორც შვიდმა საუკუნემ!"—სთქვა განსვენებულმა ბრიუსოვმა. არასოდეს მისი სიტყვები არ ყოფილა ისე სწორი, როგორც ჩვენს დღეებში. ამ შვიდი წლის წინადროინდელ ამბების მოწმეთა პოვნა არც ისე ადვილია, და მრავალისთვის საბჭოთა კავშირში ინგლისის ბატონობის ისტორია საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ახალი იქნება.

ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკური მუშების დახვრეტისა და სამარცხვინო ბრესტის ზავის „არ ცნობის" შემდეგ, მენშევიკურმა მთავრობამ, როგორც ვიცით, მიიწვია **გერმანიის** ჯარები. ეს რასაკვირველია, დიდი დანაშაული იყო **ანტანტის** წინაშე,—მენშევიკებს ეს კარგად ესმოდათ. „ყველაზე უფრო მნიშვნელოვან არგუმენტად საქართველოს წინააღმდეგ,—ეუბნებოდა გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი ინგლისის წარმომადგენელს უორდროპს,—მოჰყავდათ გერმანიის ჯარების ყოფნა ჩვენს ქვეყანაში, და ეს ხელს უშლიდა სასურველ განწყობილების შექმნას". ყველაზე უფრო ცუდი ის არის, რომ მენშევიკურ მთავრობას უხდებოდა თავის მართლება ყოველი ახალი ინგლისელი ჯარისკაცის წინაშე, რომლის ჩექმა სთელავდა „თავისუფალ" საქართველოს მიწას. „როცა,—განაგრძობს გეგეჭკორი,—დაბოლოს ჩვენ ვახერხებდით ასეთ უნდობლობის გაქარწყლებას, ჯარების უფროსი სტოვებდა საქართველოს და მის ნაცვლად მოდიოდენ ახლები; და მთავრობას კვლავ უხდებოდა იმავე მუშაობის განმეორება".

საწყალი მთავრობა! სტენოგრამები გვიმოწმებენ, რომ მისი მეთაური არაფერს არ ზოგავდა, რომ ნდობა დაემსახურებია. „მე თვით ანტანტის მომხრე ვარ და როგორც პუბლიცისტი პროფესიით (!), ომამდისაც და ომის დროსაც ყოველთვის ვიცავდი ინგლისს და საფრანგეთს",—დიდის ამბით არწმუნებდა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია პირველსავე ინგლისელ ჯარისკაცს, (რომელმაც გააბედნიერა თბილისი თავისი ჩამობრძანებით)— გენერალ ფორესტიერ უოკერს. ჩვენ არაფერს ვიტყვით პუბლიცისტის მოვალეობის თავისებურ გაგებაზე, რომლის მიხედვით ის უნდა იცავდეს ამა თუ იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოს. იყვენ კიდევ ოდესღაც სოციალისტური მიმართულების პუბლიცისტები, რომლებიც იცავდენ არა ბანკირთა და მრეწველთა ამა თუ იმ კომბინაციას, არამედ მუშათა კლასის ინტერესებს. მაგრამ ამას თავი დავანებოთ,—სულ ერთია ნოე ნიკოლოზის ძეს მაინც არაფერი გამოუვიდა. უოკერმა პასუხის მაგიერ ზრდილობიანი დუმილი არჩია, ხოლო მისმა „უფროსმა" ინგლისის წარმომადგენელმა დენიკინთან ცნობილ გენერალმა მილნმა, სრულებით არ მიიღო საქართველოს მთავრობის წევრები, როცა მათ მოისურვეს მისი ნახვა მილნის თბილისში ყოფნის დროს. და ისევ,—ვინაიდან მილნს ფიზიკურად არ შეეძლო ჟორდანიას ახსნა-განმარტების მოსმენა —უკანასკნელი იძულებული იყო მიემართა ერთ-ერთ მის ხელქვეით გენერალ კორისთვის: „მე პირადათ და ბევრი ეხლანდელ მთავრობის წევრებს შორის 25 წლის განმავლობაში ვეწეოდით პროპაგანდას ინგლისელების სასარგებლოდ, მაგრამ მე ეხლა უნდა განვაცხადო, რომ ასეთი მოპყრობა ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრივ აფერხებს ჩვენს მუშაობას".

საბრალონი! 25 წელს ემსახურებოდენ ერთგულად და რა გამოვიდა? კარებთანაც კი აღარ უშვებენ მათ.

ჟორდანია, თითქმის ტირილით სჩიოდა: „ჩვენ არ ვართ შეჩვეული ასეთ მოპყრობას"-ო! და კორიმ გადასწყვიტა ცოტათი მოფერებოდა მას. „გენ. მილნი, ეჭვს გარეშეა, შემდეგში ინახულებს ბატონ მთავრობის თავმჯდომარეს. რამდენადაც მე ვიცი, მთავრობის თავმჯდომარე ნამყოფია ინგლისში, ლაპარაკობს ინგლისურად და ძლიერ სასიამოვნო იქნება, თუ ის კვლავ გვინახულებს ჩვენ".

ჟორდანია რამდენიმედ დამშვიდდა და მადლობა გამოუცხადა გენერალს, მაგრამ ამგვარი ანეკდოტები, როგორც სჩანს, არა ერთხელ განმეორდა, და გეგეჭკორის უორდროპთან საუბრის მომენტში მენშევიკებმა უკვე კარგად იცოდენ, რომ უწინდელ სამსახურისთვის ინგლისელებისაგან ველარაფერს მიიღებდენ. ინგლისელები—პრაქტიკული ხალხია, მათ ესაჭიროებათ არა გრძნობები, არამედ მოქმედება, ხოლო რა გრძნობები სდევს თან ამ მოქმედებას, ეს სულ ერთია.

და აი, როცა საქართველოდან ერთი მეორეზე უკან გაბრუნდა ინგლისში სამი გენერალი, რომლებიც „ეჭვს გარეშეა ინგლისში უარყოფითად იხსენიებდენ ჩვენს ქვეყანას", როგორც გერმანიის ყოფილ მოკავშირეს, გეგეჭკორმა გადასწყვიტა ხელი ჩაეჭიდა მეოთხე გენერლისათვის და გაეცნო მისთვის მენშევიკური მთავრობის საქმიანი პროგრამა. დროც ცოტა რჩებოდა: ეს იყო 1919 წლის სექტემბერში, ინგლისელები წასვლას აპირებდენ და მენშევიკებმა კიდევ ერთხელ სცადეს გამოეთქვათ თავისი სიყვარული „ზღვათა მფლობელისათვის".

მენშევიკების „საქმიანი პროგრამა" უნდა გაგაცნოთ მათივე საკუთარი სიტყვებით. გეგეჭკორი ეუბნებოდა უორდროპს: „ეხლა მე ნებას მივსცემ ჩემს თავს გაგაცნოთ ჩემი მთავრობის თვალსაზრისი. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ ძლიერი მოკავშირის გარეშე საქართველო ვერ მიაღწევს თავისი დამოუკიდებლობის ცნობას, ვინაიდან არამც თუ ჩვენ. არამედ შედარებით უფრო დიდ ევროპიულ სახელმწიფოებსაც კი, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილი არიან ფინანსიურად, არ შეუძლიათ ამჟამად იარსებონ გარედან დაუხმარებლად. საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაეყრდნოს რომელიმე მტკიცე სახელმწიფო ორგანიზმს და ეს გადაწყვეტილება გვიკარნახებს ჩვენ მივილოთ ინგლისის ორიენტაცია. რასაკვირველია, ჩვენ ვიცით, რომ ასეთ დახმარებისათვის დიდმა ბრიტანეთმა ჩვენგან უნდა მიიღოს რაიმე კომპენსაცია. სამწუხაროდ, აქამდის ჩვენ არ მიგვიღია პასუხი ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. მე ჯამს უკეთებ ჩემ მიერ თქმულს: შექმნილ პირობებში საქართველოს არ შეუძლია დაუხმარებლად დააღწიოს თავი გაჭირვებებს, ის დახმარებას სთხოვს ინგლისს და სურს იცოდეს, თუ რას მოითხოვს სამაგიეროთ ინგლისი. ჩემ მიერ გამოთქმული დებულება არის მთავრობის თათბირის შედეგი და უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში ჩვენ შორის არავითარ უთანხმოებას არ ჰქონია ადგილი".

და ეს ხალხი ლაპარაკობდა და ლაპარაკობს საქართველოს „დამოუკიდებლობაზე"! ეს ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ 1919 წელს ვერ წარმოედგინა პატარა ქვეყნები სხვანაირად, თუ არა იმპერიალისტური ვეშაპების „ლოცმანებად"*), ხალხი, რომელიც ნორმალურად და ბუნებრივად სთვლიდა ასეთ ლაქიურ, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მდგომარეობას იმპერიალისტებთან და რომლებიც ამისთვის არ ზოგავდენ ფულებს,—ასეთი ხალხი დღეს ლაპარაკობს ჩაგვრაზე და ემზადება „ჩაგრული" ერის „განთავისუფლებისათვის". დარწმუნებული იყავით, რომ ესენი „გაანთავისუფლებენ"...

რადგან ინგლისელები არ მოითხოვდენ „კომპენსაციას", საფიქრებელი გახდა ის, თუ მაინც რა უნდოდათ მათ? ამაშია პოლიტიკური ლაქიის სავალალო განსხვავება ჩვეულებრივი ლაქიისაგან: ჩვეულებრივი ლაქია იმაზე ფიქრობს, თუ რა მოითხოვოს; პოლიტიკური ლაქია კი იმაზე, თუ რას მოითხოვენ მისგან. პირველ ყოვლისა, „რასაკვირველია, ჩვენი ჯარები იქნება თქვენს (ინგლისელების) განკარგულებაში, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი". გეგეჭკორის ბუნდოვან—ან სტენოგრაფისტკის მიერ დამახინჯებულ—შემდეგ ფრაზიდან სჩანს, რომ ის ოდნავ საკმარისად სთვლიდა ქართულ არმიას „წესრიგის დასაცავად" მარტო ერთ სომხეთში. ისტორიამ დაამტკიცა, რომ ის ამაშიც სცდებოდა. მაგრამ ასეა თუ ისე, „დამოუკიდებელ" საქართველოს სუსტი თუ ძლიერი არმია გადაცემულ იქნება ინგლისის იმპერიალიზმის განკარგულებაში. მაგრამ მენშევიკურ მთავრობას აწუხებდა ერთი აზრი: ვაი თუ ინგლისელები არ დაკმაყოფილდენ ამით? მით უმეტეს, რომ ბათუმში ხელებ ჩაჭერილმა ინგლისის ხარმა, გაურკვეველი ღმუილის გარდა, არაფრით არ უპასუხა მენშევიკების წინადადებაზე.

მაშინ მენშევიკებმა გადასწყვიტეს შვილდიდან უკანასკნელი ისრის გასროლა, ამასთან რატომღაც გეგეჭკორს უცბად ჩაუვარდა ენა (დაიღალა თუ?) და „უკანასკნელი" მენშევიკური წინადადება გამოსთქვა მისმა ამხანაგმა საბახტარაშვილმა. „ჩვენი წინადადება ასეთია: საქართველოს გადაეცემა ბათუმის ოლქი, სადაც ის ამყარებს ფართე ხალხურ მასაზე დაყრდნობილ ძალა-უფლებას. ქალაქის მუნიციპალური მმართველობა წესდება საარჩევნო საფუძველზე. ნავთსადგური გადაეცემა ინგლისელებს, როგორც სამხედრო ბაზა და საქვანახშირო სადგური შავ ზღვაზე".

ეს—არაჩვეულებრივი მნიშვნელობისა და აქტუალობის საკითხია. უდავოა, აგრეთვე, რომ ის საფუძვლად აქვს დადებული ინგლის-მენშევიკების დღევანდელ მოლაპარაკებას. ბათუმის გადაცემა ინგლისელებისათვის ნიშნავდა ამიერ-კავკასიის გადაცემას ინგლისის იმპერიალიზმისათვის. აი რა ფასით უნდოდათ ეყიდნათ თბილისის მენშევიკებს ინგლისის დახმარება ოსმალებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ: გეგეჭკორი ლაპარაკობდა „გართულებაზე სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან". აი რატომ ჰქონდა მას იმედი, რომ საქართველო, ეს გზა წინა აზიისაკენ, აუცილებლივ დააინტერესებდა დიდ ბრიტანეთს, და უკანასკნელი, რასაკვირველია გაუწვდიდა დახმარების ხელს ქართველ ხალხს, რომელმაც მთელ რიგ საუკუნეებზე გადაატარა კულტურისა და ცივილიზაციის ჩირაღდანი" (!). რადგან ლაპარაკი დაიწყო იმპერიალიზმის ნადავლზედ, აქ, რასაკვირველია, აუცილებლად წამოიჭრება „კულტურა და ცივილიზაცია".

ჩვენ შეიძლება დაგვაბრალონ, რომ თითქოს ეს ნაწყვეტები ჩვენ განგებ შევთხზეთ,—როგორც ერთ დროს გერცენი და პავლოდინი სთხზავდენ ნაწყვეტებს პავლოდინის დღიურიდან, და რომლებიც სხვათა შორის, დღიურის დედნის გამოქვეყნების შემდეგ, არაჩვეულებრივად სწორი აღმოჩნდა. მაგრამ არა—ეს სტენოგრამა მთელ რიგ სხვა სტენოგრამებთან ერთად, ეკუთვნის იმავე მოლაპარაკებას. მასში მრავალია საქმიანი წვრილმანები, რომლებიც სპობენ „შეთხზვის" ყოველგვარ შესაძლებლობას,—მკითხველები დაინახავენ ამას, როდესაც ჩვენ გამოვაქვეყნებთ სრულ ტექსტს „წითელ არქივში".

საკვირველი არაა, რომ უორდროპი არ დაინტერესდა სამხედრო კავშირით, რომელიც მენშევიკებმა შესთავაზეს. საქართველოს ბურჟუაზიული არმია, რომელიც გამუდმებით „აწყნარებდა" თავის მუშებს და გლეხებს, ბევრად ვერ გაზრდიდა ინგლისის იმპერიალიზმის სამხედრო ძლიერებას წინა აზიაში. მაგრამ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, რომ ისეთი მსუქანი ლუკმის ხსენებაზე, როგორიცაა ბათუმი, ინგლისელმა ყურიც კი არ გაიბარტყუნა. მაგრამ აქ სულ უბრალოდ აიხსნება საქმე: ინგლისელები ბათუმს ისედაც თავის საკუთრებათ სთვლიდენ. წაართვეს რა ოსმალებს მას აღარ გადასცეს ქართველებს, ხოლო თუ როგორ მოაწყეს მმართველობა, ამის დასურათება საკმაოა თვით გეგეჭკორის სიტყვა: „ინგლისელებმა დაიჭირეს ქალაქი, და რადგან ჩვენ არ გვენდობოდენ არ იცოდენ, თუ ვის დაყრდნობოდენ, ამიტომ ბათუმის ოლქის მმართვა დაავალეს დარჩენილ რუს მოხელეებს. თუ იყვენ ეს ვაჟბატონები და როგორი იყო მათი პოლიტიკური ფიზიონომია, თქვენ შეიძლება დაინახოთ იმ ფაქტიდან, რომ ისინი პირველნი მიესალმნენ ოსმალებს და აღმოჩნდენ გზის მაჩვენებლები ბათუმის აღების დროს. მათ მიერ შექმნილი საბჭო, რომელიც განაგებდა ბათუმის ოლქის საქმეებს, მალე ინგლისის სარდლობამ სრული უწესრიგობის [illegible] გამო [illegible]. ეხლა იქ სრული უუფლებობა სუფევს, ცხადია, რომ ჩვენი ურთიერთობები გვიკარნახებენ ერთგვარ წესრიგის დამყარებას ბათუმის ოლქში".

მაგრამ „უფლებრივ წყობილებაზე" ინგლისელები ნაკლებად ზრუნავდენ, ხოლო თუ ეს ცნება შემთხვევით მათ ტვინში შეიჭრებოდა, უფლებრივი წყობილებისათვის მეფის რუსეთის წყობილებას [illegible]. მეტად საინტერესო მემუარში, რომელიც საქართველოს სოც. დელეგაციამ ციურიხის კონფერენციაზე წარუდგინა თემთა პალატის მუშათა ფრაქციას ვკითხულობთ: „ქალაქი ბათუმი და მთი ბათუმის ოლქი დროებით ოკუპირებულია ბრიტანეთის ჯარების მიერ ოსმალეთთან დროებითი ზავის საფუძველზე. რას შვება ბრიტანეთის გენერალ-გუბერნატორი იქ? მან ბათუმის მუნიციპალიტეტის მმართველობა გადასცა ეგრედწოდებულ დროებით ცხრათა კრას, რომელიც მთლიანად პირადი გაგულებით დანიშნულ რუს რეაქციონერებისაგან შესდგება. როცა ქართველ, ამ უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს, ბრიტანეთის გალმა მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობით დაუშვა მათი მონაწილეობა ქალ. თვითმართველობაში. რაც შეეხება ქალაქის თვითმართველობის ახალი დემოკრატიული არჩევნების მოწყობას, რასაც ქართველები მოითხოვდენ, ბრიტანეთის გენერალ-გუბერნატორმა კატეგორიულად უარი უთხრა მათ ამაში. გარდა, ქალაქის მოსახლეობა მოკლეულია იმ ელემენტარულ უფლებასაც კი, რომლითაც ის სარგებლობდა ცარიზმის დროს, როცა ქალაქის მთელი თვითმმართველობა, მიუხედავად რუსეთის მთავრობის ნაციონალისტური პოლიტიკისა, ნაწილობრივ ქართველების ხელში იყო. კიდევ უფრო უარესადაა საქმე პროვინციაში, სადაც უბნებისა და მაზრების უფროსებად—ერთი სიტყვით მოხელეებად—ბრიტანეთის გენერალ-გუბერნატორის მიერ ინიშნება განსაკუთრებით რეაქციონერები, რომლებიც გადიან მის სამსახურში გენ. დენიკინისა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბათუმის ქ-ის მეფის ძველი გენერალ-გუბერნატორი რომანოვსკი - რომანკო აღადგინა თავის წინანდელ თანამდებობაზე".

მაგრამ ინგლისელების ლტოლვა „რუსულ სტილში" მარტო რომელიმე გეოგრაფიული საზღვრებით როდი განისაზღვრება და არ ვრცელდებოდა მხოლოდ იმაზე. თითქმის ნახევარი ჩვენი სტენოგრამების უჭირავს საქართველოს ალმდეგ დენიკინის გალაშქრებას, რომელიც შეიჭრა ეხლანდელ აფხაზეთის რესპუბლიკაში, დაიკავა გაგრა — „საქართველოს სტრატეგიული გასაღები" და ინგლისელების მიერ მის განკარგულებაში გადაცემულ ტანკებისა, აეროპლანებისა და კრეისერების წყალობით ემზადებოდა შეტევის გაგრძელებისათვის. დენიკინი ინგლისელებს თავის მოქმედებას უხსნიდა იმ საბაბით, რომ ქართველებმა გაგრა დაიკავეს „გერმანელების წაქეზებით" და, როგორც სჩანს ინგლისელებსაც, ყოველ შემთხვევაში, იმათ, რომლებიც დენიკინთან ახლოს იდგენ, ეს სჯეროდათ. ამ გარემოებამ ნოე ჟორდანია, მწარედ აყვირა, რასაც ინგლისელი გენერლები ისე უწევდენ ანგარიშს, როგორც ქირვეული ბავშვის ყვირილს. ხანდახან ეს დამოკიდებულება ღებულობდა აშკარა დაცინვის ხასიათს.—განსაკუთრებით ამაში თავი ისახელა გენერალმა უოკერმა. ქართველებს უნდოდათ დესანტის გადასხმა ფოთიდან; პორტის ადმინისტრაცია ინგლისელების შიშით, უარს ამბობდა ამაზე, თუ ეს უკანასკნელნი ნებას არ დართავდენ; ინგლისელები კი უარს ამბობდენ ნებართვის გაცემაზე იმ მოსაზრებით, რომ მათ „არა აქვთ უფლება ჩაერიონ საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში". დესანტის გადასხმა არ მოხერხდა.

დაბოლოს ჟორდანია უკვე თანხმდებოდა იმაზე, რომ „სრულიად უდავო საქართველოს ტერიტორია (ნამდვილად, უდავო აფხაზეთის ტერიტორია) გამოცხადებულიყო ნეიტრალურ ზონად და „დაეკავებიათ ინგლისის ან იტალიის ჯარებს". მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესეც ცოტაა: ინგლისელები წინადადებას იძლეოდენ მთელი სოხუმის ოლქი გამხდარიყო ნეიტრალურ ზონად. ამან უკვე ჟორდანია უკიდურეს სიბრაზემდე მიიყვანა; მაგრამ მის გააფთრებულ რეპლიკებზე მისმა თანამესაუბრემ (ამ შემთხვევაში გენ. ბიჩმა) გულგრილად შენიშნა: „სოხუმის ოლქი — მეორეხარისხოვანი საკითხია"-ო. ხოლო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის განცხადებაზე, რომ დენიკინის სამსახურში მყოფი გენერალი ბრიგსი—ინგლისელი ამ საქმეში გამოხატავს არა ბრიტანეთის, არამედ დენიკინის ინტერესებსო, იყო არანაკლები გულგრილი პასუხი: „გენერალ ბრიგსს ძალიან უყვარს დენიკინი, ხოლო დენიკინს—ბრიგსი".

ამასთანავე დენიკინი სცნობს საქართველოს „ავტონომიას" (!),—რაღაა სამწუხარო? და ინგლისელები დამშვიდებით უგზავნიდენ საქართველოს რკინისგზებით დენიკინს, რომელიც საქართველოს ემტრებოდა, არტილერიას და ყუმბარებს ამიერ-კავკასიის ყოფილ რუსეთის სიმაგრეებიდან, რომლებიც მათ დარჩათ ვერსალის ზავით.

ამ რეგვენობისა და თავხედობის კედლის შენგრევა სრულიად შეუძლებელი იყო და ჟორდანიას ის ღა დარჩენოდა, რომ თავის დასამშვიდებლად ელაპარაკნა ინგლისელებისათვის ბევრი რამ არა სასიამოვნო. „მოკავშირეების მოსვლამდე ჩვენში,—ლაპარაკობდა ის,—ჩვენ არავის არ ვეომებოდით და არსად არ გვყავდა მტრები. ერთად-ერთ საფრთხეს ჩვენი კეთილდღეობისათვის წარმოადგენდენ ბოლშევიკები; მაგრამ ჩვენ ისინი გავრეკეთ სოჭის იქეთ და ჩვენმა სახელმწიფომ თავი დააღწია ამ საფრთხეს. ვიმეორებ, რომ ყველა მეზობლებთან ჩვენ ვცხოვრობდით მშვიდობიანად. მოკავშირეების მოსვლის შემდეგ სურათი დიდათ შეიცვალა: ჩვენ სულ ვომობთ. პირველყოვლისა, სომხეთის მუხანათური თავდასხმა, შემდეგ მოხალისეთა შემოტევა და, დაბოლოს, ოსმალო-თათრების ურდოების შემოსევა ჩვენს ქვეყანაში არდაგანისა და ახალციხის მხრიდან".

აქ, რა თქმა უნდა, ფანტაზიაც იყო: ბოლშევიკების დახვრეტასა და ქართველ გლეხობასთან ომზე რო არ ვილაპარაკოთ, მენშევიკური მთავრობა ეომებოდა ოსმალებს. და სწორედ ამ ომის ცუდათ მსვლელობამ აიძულა ის მოეწვია საქართველოში გერმანელები. მაგრამ მოკავშირეების მოსვლის შემდეგ მდგომარეობა რომ ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა უდავო ფაქტია, და უეჭველად ამ გარემოებას უნდა დაეფიქრებია ისინიც კი, რომლებიც მენშევიკებს თანაუგრძნობდენ. „ყოველივე ჩემ მიერ თქმულის შემდეგ,—ამბობდა ჟორდანია,—თვითეულ ქართველს არ სცილდება აბეზარი აზრი. რატომ ხდება ყოველივე ეს მოკავშირეების მოსვლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში?"

ყოველივე ამაზე იყო ერთი პასუხი, მკაფიო და გარკვეული. რას დავეძებთ თქვენ ეროვნულ ინტერესებს და სხვა „მეორეხარისხოვან საკითხებს", როცა საქართველო ჩვენ უმთავრესად გვჭირდება, როგორც პლაცდარმი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის,—ეს აზრი გამოსჭვივოდა ინგლისის გენერლების თითქმის ყველა სიტყვებში. გენ. ბიჩი ლაპარაკობდა: „დენიკინთან შეთანხმება დიდათ ასწევდა საქართველოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი განათლებულ მსოფლიოს თვალში. ევროპაში იტყოდენ, რომ პატარა საქართველომ, რომელმაც ასე ბევრი დაჰკარგა სოჭის საკითხში, იმდენი სახელმწიფოებრივი სიბრძნე გამოიჩინა, რომ ბოლშევიზმთან ბრძოლის მიზნით, გაიღო მსხვერპლი, შეთანხმდა რა მოხალისეთა არმიას და მით შესაძლებლობა მისცა დენიკინს გადაესროლა დიდი ძალები შავი ზღვიდან ბოლშევიკურ ფრონტზე. ეკონომიური თვალსაზრისითაც კი (თუმცა მე სოციალისტი არა ვარ), ვფიქრობ, რომ ეს შეთანხმება ითამაშებდა დიდ როლს საზღვრების გახსნის საკითხში, ქვეყნის პურით მომარაგების საქმეში, საქონლის გაცვლაში და სხ.".

გენ. ბიჩი, რა თქმა უნდა, სოციალისტი არ ყოფილა. ის მხოლოდ სამხედრო კაცი იყო. და რაკი ომია, ისეც უნდა მოიქცე, როგორც ომს შეეფერის. და პლაცდარმსაც ისე ექცევიან, როგორც პლაცდარმს შეეფერება. ქართველ რკინისგზელ მუშებს არა მარტო აიძულებდენ გადაეზიდათ იარაღი დენიკინისათვის, რომელიც ეომებოდა საქართველოს და საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, არამედ მათ კიდევ ისე ექცეოდენ, რომ ეს აღინიშნა ინგლისის ინტერესების 25 წლის დამცველმა და ინგლისის სარკინიგზო წესების დიდმა თაყვანისმცემელმა ჟორდანიამ (იხ. ინგლისის რკინისგზების გენ. ბროუდთან საუბრის სტენოგრამა 1919 წ. 6 თებერვლის თარიღით). „სამწუხაროდ ადგილი აქვს ბევრ ექსცესებს ინგლისის მატარებლებისათვის სამსახურის გაწევის ნიადაგზე და დამნაშავენი არიან ინგლისის მატარებლების მოსამსახურენი. საქმე შენ თვით აგენტებსაც კი და მოსამსახურეები იქამდე მიიყვანეს, რომ უკანასკნელნი გაფიცვით იმუქრებიან".

პლაცდარმი ხომ პლაცდარმია. ვერაფერს ვერ გააწყობთ მაგრამ რადგან პლაცდარმი იჩენდა სიფიცხეს, ამიტომ მის წინააღმდეგ მიმართავდენ სათანადო ზომებს. მკითხველი უკვე შენიშნავდა და ზევით გენ. ბიჩის სიტყვებში მეტყველ ფრაზას იმის შესახებ, რომ ქართველების დაზავება დენიკინის მიმართ „დიდ როლს ითამაშებს საზღვრების გახსნაში". ეს ცარიელი ფრაზა როდია. დიდათ განათლებულ მფარველს შვიდი თვე ჰყავდა საქართველო ნამდვილ ბლოკადაში. მაგრამ ამის მოთხრობა აჯობია თვით ინგლისის მოკავშირეთა სიტყვებით. კორისთან პირველად შეხვედრის დროს (მესამე შეხვედრა ინგლისის გენერალთან): გეგეჭკორი ამბობდა: „ჩვენთან არ უშვებენ არც ერთ გემს ტვირთით საზღვარ-გარეთიდან, იმ დროს, როცა კონსტანტინოპოლში დგოვდა ყოველნაირი საქონელი დიდძალი რაოდენობით. არ შეიძლება მოიხსნას ბლოკადა [illegible] და გამოიგზავნოს რაიმე? ამითი, ასე ვთქვათ, აღინიშნებოდა თქვენი (კორი) მოსვლა და დიდ როლს ითამაშებდა ჩვენ ურთიერთობაში. ჩემს განკარგულებაში არსებულ სარწმუნო ცნობების თანახმად, ერთ-ერთი ოდესისაკენ მიმავალი გემი არ მოხვდა იქ მისი (ოდესის) ბოლშევიკების მიერ დაკავების გამო. ამ გემის ნახევარი ტვირთი დატოვებულია კონსტანტინოპოლში. არ შეიძლება, რომ მეორე ნახევარი გამოიგზავნოს საქართველოში? გუშინ თქვენ გთხოვდით, გენერალო, გველაპარაკა გულწრფელად ყველაფერზე, და აი მე ვიტყვი, რომ 7 თვის განმავლობაში, რაც რომ ინგლისის ძალები იმყოფება ჩვენს ქვეყანაში, ინგლისიდან ჩვენ არ მიგვიღია არც ერთი ნივთი, არც ერთი მარცვალი".

შვიდი თვის განმავლობაში გაიგზავნა 3 გენერალი, ბევრი მუჯლუგუნი მოხვდა ქართველ რკინისგზელებს, კიდევ უფრო მეტი ყუმბარები გაეგზავნა დენიკინს და არც ერთი პურის მარცვალი ქართველ მოსახლეობას. ოღონდაც,—აკი მიზანს შეადგენდა არა ამ მოსახლეობის ინტერესები, არამედ ბრძოლა ბოლშევიკებთან. ხოლო ამ დიადი მიზნისათვის კი პლაცდარმის მოსახლეობას შეეძლო ეშიმშილა. მათთვის დენიკინი უფრო საჭირო იყო.

ჟორდანია ბრიტანეთის იმპერიალიზმისათვის 25 წლის ერთგული სამსახურის განმავლობაში არასოდეს ასე არ ამაღლებულა. ყოველ მოსულ ინგლისელ გენერალს ის ხვდებოდა იმ იმედით, რომ „ჩვენ ერთად თანხმობით ვიმუშავებთ" (!!) და შემდეგ უხდებოდა თვითეულისთვის მწარე სიტყვების თქმა, იქამდე ისიც კი, რომ „საქართველოს დიდმა ბრიტანეთმა იმედი გაუცრუა"—იმედი გაუცრუვდა თუ არა, მაგრამ მუშაობით კი მაინც ამუშავებდენ და ჩვენ მიერ მოყვანილი „საქმიანი" საუბარი გეგეჭკორსა და ჟორდანიას შორის ინგლისელების მიერ ქართველ მენშევიკების დაქირავების პირობების შესახებ, ქრონოლოგიურად აგვირგვინებს ჩვენ მიერ ამონაწერ სტენოგრამებს.

ამ უკანასკნელთა ყველა მარგალიტები ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მოგვიყვანია. ვისაც II ინტერნაციონალის კლასიკური პროზის ნიმუშები აინტერესებს, წაიკითხოს მთლიანად „კრასნი არხივ"-ში. ერთში კი უნდა გამოვტყდე. მე დიდხანს მეგონა, რომ „ანტანტის ლაქიები",—ეს სამიტინგო ფრაზა იყო. მაგრამ როცა სტენოგრამები წავიკითხე, მე შემრცხვა ჩემი სკეპტიციზმის გამო. ძვირფასო მკითხველო: ეს ფრაზა როდია, ეს მხოლოდ მოკლე ისტორიული დახასიათებაა 1919 წ. ქართველი მენშევიკებისა.

პროფ. მ. პოკროვსკი

---

*) „ლოცმანი" ჰქვია პატარა თევზებს, რომლებიც მუდმივ თან დაჰყვებიან ვეშაპებს, ემსახურებიან მას და იკვებებიან მისი ნადავლის ნამცეცებით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ოქროს მადანი

ქუთაისი, 22 ივნისი. საქ. სახ. მ. უ. ს. სამთო-ქიმიური ტრესტის ქუთაისის განყოფილების საგამომძიებლო კომისიამ სოფელ ბანოჯაში აღმოაჩინა ოქროს მადანი. აღნიშნული მადანი დიდ იმედებს იძლევა და უკვე დაიწყო მისი ექსპლოატაცია. (ადს).

ზაჰესში

ქუთაისი, 22 ივნისი. სამაზრო პროფბიურო 26 ივნისისათვის აწყობს ექსკურსიას ზაჰესში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს თითოეული კავშირის ორ-ორი წევრი (ადს).

რიონჰესის სამუშაოზე

ქუთაისი, 22 ივნისი. რიონჰესის სამუშაოთა დაწყების გამო საშუამავლო ბიუროს მოაწყდა უმუშევართა დიდი რიცხვი სხვა მაზრებიდან

ახალი საექიმო პუნქტი

ქუთაისი, 22 ივნისი. ქუთაისის წითელმა ჯვარმა სოფ. ნახახულევში გახსნა ახალი საექიმო პუნქტი (ადს).

კულტურულ - განმანათლებელ ფრონტზე

გორი, 22 ივნისი. გასულ წელს გორის მაზრაში მოქმედებდა 187 სკოლა; მათგან 155 პირველი საფეხურის, 16 მეორე საფეხურის, 4 საგლეხო ახალგაზრდობის, 5 პროფესიონალური სკოლა, 2 ტეხნიკუმი, 2 საბავშვო სახლი და 3 საბავშვო ბაღი. მოსწავლეთა საერთო რიცხვი აღწევდა 17.166-ს. წელს საშუალო სასწავლებელი დაამთავრა 1.885 მოწაფემ (ადს).

მიწისძვრა

თელავი, 22 ივნისი. ღამით, 20 ივნისს, თელავში მოხდა სუსტი მიწისძვრა. ბიძგების მიმართულება ვერტიკალური იყო — ქვევიდან ზემოთ (ადს).

საწამლო მასალის ნაკლებობა

თელავი, 22 ივნისი. სიღნაღისა და თელავის მაზრაში საგრძნობია შაბიამნისა და გოგირდის ნაკლებობა. ამ გარემოებას შეუძლია ცუდი გავლენა იქონიოს ფილოქსერით დაავადებულ ვენახების წამლობის საქმეზე (ადს).

სანიტარული განათლების კურსები

თელავი, 22 ივნისი. თელავში პროფკავშირის წევრებისათვის გაიხსნა სანიტარული განათლების კურსები. კურსებზე ჩაეწერა 45 კაცი. (ადს).

ანტირელიგიური პროპაგანდა

ლიუქსემბურგი, 22 ივნისი. თურქული სამღვდელოებრივი დღესასწაულის „შახსეი - ვახსეის" მოახლოვების გამო, ბორჩალოს სამაზრო აღმასკომი შეუდგა ანტირელიგიური კამპანიის გატარებას. ქოხ - სამკითხველოებში და სხვა კულტურულ - განმანათლებელ დაწესებულებებში გაკეთებული იქნება „შახსეი - ვახსეის" დღესასწაულის შინაარსის განმმარტებელი მოხსენებები (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

საგზაო მშენებლობა

ცხინვალი, 22 ივნისი. მთელ ოლქში დაიწყო გაცხოველებული საგზაო მშენებლობა, შენდება და კეთდება უმთავრესად ადგილობრივი და მთავარი მაგისტრალის ცხინვალ-როკის მისასვლელი გზები. მუშაობა სწარმოებს საგზაო ბეგარის წესით. (ადს).

მიზნობრივი საბინაო გადასახადი

ცხინვალი, 22 ივნისი. ცხინვალში საბინაო მშენებლობის განვითარების მიზნით, სამხრეთ-ოსეთის ცაკმა დაადგინა დააწესოს მიზნობრივი საბინაო გადასახადი. (ადს).

წერილები

რა ბრალი მიგვიძღვის

[redacted] (ს. კ. პ. (ბ) ზუგდიდის სამაზრკომის საყურად ღებად)

ს. ჭკადუაში (ზუგდიდის მაზრა). 1923 წლიდან არსებობს მომხმარებელი საზოგადოება. მცხოვრებთა 85 პროც. ითვლება ჩვენი სამომხ. საზოგ. წევრად. არა გვგონია, რომ რომელიმე სხვა კოოპერატივის ირგვლივ იყოს დარაზმული მცხოვრებთა მეტი პროცენტი. არ არის ისეთი არა წევრი, რომელსაც არ უნდოდეს წევრობა და არ ემზადებოდეს საწევროს შესატანად. ეპოს ადგილობრივი განყოფილება ხუთიოდე დღის უკან სამაზრო გამგეობისაგან ღებულობს მოწერილობას 20 ივნისიდან განყოფილების მოხსნის შესახებ. მიზეზი? ბრუნვის სიმცირე, ასეთი უნდა იყოს ზუგდიდის გამგეობის მოტივი! მართალია, ჩვენი კოოპერატივის წევრთა რიცხვი არ აღემატებოდა 300-ს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთოდ ზუგდიდის მაზრაში და განსაკუთრებით ჩვენს სოფელში მცხოვრებთა ოჯახები საგრძნობლად დაშორებული არიან ერთ მანეთისაგან. ამას მიუმატეთ უგზოობა. ვიმეორებ, ყველა ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ მცხოვრებთა 85 პროც. გაერთიანებულია ჭკადუაშის ეპოს გარშემო.

სწორეთ დიდი აღშფოთება გამოიწვია კოოპერატივის წევრთა შორის განყოფილების მოხსნის გაგონებამ.

ირგვლივ გესმისთ. „ორ-ორი პაი შევიტანოთ, ვსთხოვოთ ხელისუფლებას, რომ დაგვიტოვონ კოოპერატივი, ურომლისოდ არსებობა ვერ ძალგვიძს". წმინდა მოგების თვალსაზრისით არ უნდა მივუდგეთ გლეხობის შემაკავშირებელ დაწესებულებას. მით უფრო ჭკადუაშის ეპო არამც თუ დეფიციტს, არამედ მოგებას იძლევა. კორცხელის თემში არსებობს განყოფილება, რომელიც დაშორებულია 8-9 ვერსით. ამასთან უნდა აღინიშნოს საერთოდ მაზრის ფარგლებში გზის უვარგისობა, ჩვენი სოფელი კი ამ მხრივ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება.

საჭიროა და აუცილებელიც, რომ სათანადო ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ჭკადუაშის ეპოს წევრების დახსნას ჩარჩების კლანჭებისაგან.

ელენეშვილი.

სოფლის ცხოვრებიდან

(რაჭა)

საღამო მოახლოვებული იყო, რომ დაუახლოვდი ონს და პატარა ნიგვზნარის აღმართს შეუდექი. იქვე ჩემს წინ მიდიოდა ორი მგზავრი, ორივე ხანში შესული, ორივე ძალზე მოქანცული იყვნენ. ორივეს ეტყობოდათ სახის გამომეტყველებით, რომ რაღაცა ფიქრს იყვნენ მიცემულნი.

მე მათ ავემგზავრე და ვკითხე თუ რა აწუხებდათ, სად მიდიოდენ და რა საქმეზე.

— სამართალი უნდა მოვძებნოთო იყო პასუხი, და ერთმა მათგანმა ამოიღო გულის უბიდან დახეულ ცხვირსახოცში გახვეული სუფთა ქაღალდის თაბახი, რომლის ოთხივე გვერდი დაწერილი იყო და ქვეშ ხელს აწერდა 163 კაცი.

საქმის მდგომარეობა შემდეგში იყო: ჩემი თანამგზავრები იყვნენ სოფ. კაჩაეთიდან ორ. დოხნაძეები. ისინი იყვნენ მთელი სოფლის მიერ გამოგზავნილი მაზრის ცენტრში, როგორც ისინი აცხადებდენ სამართლის მოსაძებნათ. დოხნაძეების გადმოცემით, საქმე შემდეგში მდგომარეობდა: კაჩაეთი შედის სოფ. ნიკორწმინდის თემში და არის მასთან ადმინისტრატიულ დამოკიდებულებაში. მათ აერთიანებს გზა, რომელიც გვერდზე ჩაუდის სოფ. კაჩაეთს და ამ გზას აქვს მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მნიშვნელობა და ისიც უმთავრესად თვით სოფელ კაჩაეთისათვის. მოინდომეს ახალი გზის გაყვანა. არც აციეს არც აცხელეს, არც დაინტერესებულ სოფელ კაჩაეთს დაკითხეს, მოიწვიეს გზის ოსტატი, რომელსაც აალებიეს ორი წერტილი ნიკორწმინდის და ბოლოს კაჩაეთის მცხოვრებნიო, დაადვეს სახაზავი და ლარივით აიღეს ახალი გზის მიმართულება ამ გზის გაყვანით. ახლად შედგენილ გეგმის მიხედვით ბევრ მცხოვრებლებს ეჭრებათ ეზო, სამოსახლო, ბოსტანი, მე მხედველობაში არა მაქვს ნათესი ადგილები და სწორეთ ის 163 მცხოვრები, რომელიც ხელს აწერს პეტიციას, კატეგორიულ უარზე არიან, რომ ეხლა ამ ზაფხულის პერიოდში ამ ალოს თავზე იქმნეს გაყვანილი გზა, რადგან დააქვეითებს და ხელს შეუშლის მათ მეურნეობას. 163-ზე მეტი მცხოვრებლებისა სოფ. კაჩაეთში არც კი არის, რადგან სოფელი პატარაა. საინტერესოა, როგორ მოხდა სოფლის მცხოვრებლების დაუდასტურებლათ, მათ დაუკითხავად მათი ბედ-იღბლის გადაწყვეტა კანცელარიის საშუალებით. ასეთ თვითნებობას, ასეთ უპასუხისმგებლო მოქმედებას უნდა შევებრძოლოთ და აღმოვფხვრათ.

სამართლიანი მოთხოვნილება კი ყოველ მხრივ დავაკმაყოფილოთ.

ნამგალი.

წერილებიდან

— ამერიკული სიდამპლე ფუტკარში. (საგარეჯო, გარე-კახეთი). საგარეჯოში საკმაოდ ვრცელებულია მეფუტკრეობა, როგორც შარშან, ისე წელსაც ფუტკარს აქ გაუჩნდა ავადმყოფობა ეგრედ-წოდებული ამერიკული სიდამპლე. მოწვეულ იქნა მეფუტკრეთა საერთო კრება, სადაც აგრონომ ოუმიანცევმა—მეფუტკრეობის სპეციალისტმა მოხსენება გააკეთა ამ ავადმყოფობის შესახებ, რომელსაც შეუძლია მთელი საგარეჯოს ფუტკრის ამოწყვეტა. უკვე მიღებულია ზომები ავადმყოფობის წინააღმდეგ სიდამპლის მოსასპობათ საჭიროა „ფორმალინი". გარდა ამისა მეფუტკრეებს დაევალათ „დადანბლაცის" სკების შეძენა, ვისაც არ აქვს. ამერიკული სიდამპლე აღმოჩენილ იქნა სართიჭალაშიც.

გ. გარხიაშვილი.

— კიდევ გლეხკომის მუშაობის შესახებ. ერთი წელიწადია ჩვენი გლეხკომის მუშაობა შესუსტდა. ამას მიაქცია ყურადღება მაზრამ. ივნისის პირველ რიცხვებში ცენტრიდან ჩამოვიდენ სამაზრო გლეხკომის თავმჯდომარე და ინსტრუქტორი. შესდგა გლეხკომის სხდომა. გადახალისებული იქნა პრეზიდიუმი. პლენუმმა ცალკე სოფლებში გამოყო ამხანაგები, რომლებიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ. შესდგა გლეხკომების წევრთა კრებები, სადაც გამოტანილი იქნა დადგენილება, რომ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ გლეხკომს. საჭიროა, რომ მაზრამ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს გლეხკომს ცოცხალი კავშირის საშუალებით.

ვალ—ია.

სოფლის ქრონიკა

— ექიმის დანიშვნა. სენაკის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა სოფ. ნახუნოვოში დანიშნოს ექიმი.

— თვითდაბეგვრა. ხაშურის ნოზელის უბანის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს თავიანთი ხარჯით შეაკეთონ ამ უბნის ქუჩები.

— შაბიამანი. ქვემო აკეთის (ოზურ.მაზრა) კოოპერატივების გამგეობამ გადასწყვიტა თემისათვის შეიძინოს შაბიამანი.

— ფუტკრის ავადმყოფობა. საგარეჯოში თავი იჩინა ფუტკრის ავადმყოფობამ „სიმყაყები".

— აბრეშუმის მოსავალი. კახეთში წელს აბრეშუმის კარგ მოსავალს ელიან.

— წვიმები. ახალქალაქსა და ჯავახეთში უკანასკნელ დღეებში დიდი—წვიმები მოვიდა.

— წითელი სასადილო. განზრახულია მარტყოფში (გარეკახეთი) გაიხსნას წითელი სასადილო.

— საძირკვლის ჩაყრა. ოზურგეთში მოხდა აბრეშუმის სახვევი ახალი ქარხნის საძირკვლის ჩაყრა.

— ორი წლის თავი. 26 ივნისს ორი წელიწადი სრულდება, რაც სოფ. საგარეჯოში გამოდის კედლის გაზეთი „სინათლე".

— გლეხკორთა კრება. 26 ივნისს, სად. 6 საათზე შესდგება სოფ. საგარეჯოს გლეხკორთა კრება. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) გლეხკორთა ამოცანები, 2) გლეხკორთა ბიუროს მოხსენება, 3) კედლის გაზეთის შესახებ, 4) ბიუროს და სარედ. კოლეგიის არჩევნები.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მუშკორების საყურადღებოთ

„კომუნისტი"-ს მუშკორთა ექსკურსია „ზაჰესში", ქუთაისის და ტყიბულის მუშკორებთან ერთად შესდგება კვირას 26 ივნისს.

ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების მსურველი მუშკორი ვალდებულია ჩაეწეროს წინასწარ, ჩვენი გაზეთის „მუშათა ცხოვრების" განყოფილებაში. ჩაწერა იწარმოებს 25 ივნისს, პირველ საათამდის.

რედაქცია.

გრძელვადიანი კრედიტი რკინისგზელებისათვის

გუშინ რკინის გზის პროფკავშირთა საუბნო კომიტეტთან შესდგა რკინის გზის ადგილკომების თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ა.-კ. სატრანსპ. მომხმარებელ საზოგადოების უფროს ინსტრუქტორ ამხ. ბერკოვის მოხსენება იმ გრძელვადიანი კრედიტის გეგმის შესახებ, რომელიც შეიმუშავა სატრანსპორტო კოოპერაციამ.

ამ გეგმის თანახმად კრედიტი ვრცელდება რკინის გზის იმ მუდმივ მომუშავეებზე, რომლებიც ირიცხებიან ა.-კ. სატრ. მომხ. საზ-ბის სრულუფლებიან წევრებად. კრედიტი გაიცემა თვიური ხელფასის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 100 მანეთისა. კრედიტის ვადა უნდა იქნეს არა უმეტესი 5 თვის.

გრძელვადიანი კრედიტით გაცემული საქონლის ასორტიმენტი განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ ფართლეულობით, ფეხსაცმელებით, გალანტერეით, ჭურჭლეულობით, საოჯახო საჭიროების ნივთებით, მზა ტანისამოსით და თეთრეულით.

ის პირები, რომლებიც გრძელვადიანი კრედიტით ისარგებლებენ, არც წვრილი სადუქნო კრედიტით სარგებლობის უფლებას კარგავენ.

გრძელვადიანი კრედიტის ჩეკების გამოწერის დროს მხედველობაში მიიღება თითოეული მუშა-მოსამსახურის კრედიტუნარიანობა: თვიური დავალიანების საერთო ჯამმა არ უნდა გადააჭარბოს თვიური ხელფასის 80 პროცენტს.

ადგილკომების თათბირმა მისაღებად სცნო მუშა-მოსამსახურეთათვის აღნიშნული გეგმა. ახლო მომავალში შეუდგებიან მის განხორციელებას.

მუშათა კონფერენცია

(სამტრედია)

8 ივნისს, მოწვეულ იქნა რკინის-გზელ და ქალაქის მუშა-კორესპონდენტთა კონფერენცია.

კონფერენცია გაიხსნა ქალაქის მუშათა კლუბში; დაესწრო 38 მუშკორ-ახკორი და 35 პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისა მისი მუშაობის შესახებ, 2) მუშკორთა ბიუროების მუშაობის მომავალი ამოცანები და 3) ქალაქის ფარგლებში მუშკორთა ბიუროს ჩამოყალიბების შესახებ.

რედკოლეგიების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ რკინის-გზის ხაზზე (სამტრედიაში) გამოდის სამი კედლის გაზეთი, ამდენივე ქალაქის ფარგლებში. კედლის გაზეთების გამოცემას ყველგან არ აქვს სისტემატიური ხასიათი; მასში მონაწილეობს უმნიშვნელო ნაწილი მუშა-მოსამსახურეებისა; მოთავსებულ შენიშვნებს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, რაიც ცუდ გავლენას ახდენს მუშა-კორესპონდენტებზე,—უკარგავს შემდგომ მუშაობის ხალისს და სხვა. კედლის გაზეთები შინაარსით, ტეხნიკური და მხატვრული მხარეებით არაა მთლიანად დამაკმაყოფილებელი... ზოგან კიდევ სწერენ გრძელ, უშინაარსო წერილებს და საკმაოდ არ აშუქებენ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას.

ქალაქის მუშათა კლუბთან არსებულ კედლის გაზეთის ერთი ნომერი ჯდება 15-20 მანეთი იმის გამო, რომ დაქირავებული ყავთ მხატვარი. კონფერენციამ ეს მოვლენა სცნო დაუშვებლად და გამოიტანა დადგენილება მუშათა წრიდან მხატვართა შესაფერი კადრის მომზადების შესახებ.

კონფერენციამ დაუშვებლად სცნო აგრეთვე, წარმოება დაწესებულებებთან არსებულ კედლის გაზეთებთან პარალელურად ა. ლ. კ. კ. უჯრედის ცალკე ორგანოების არსებობა.

მუშკორთა ბიუროს მომავალი მუშაობის საკითხს ვრცლად შეეხო პარტიულ კომიტეტის აგიტპროპის გამგე, ამხ. ამბრ. შალამბერიძე. მან, აგრეთვე, ჯამი გაუკეთა იმ მუშაობას, რომელიც დღემდე მიმდინარეობდა და აღნუსხა ყველა დეფექტები, რასაც ადგილი ქონდა, როგორც ბიუროების, ისე რედკოლეგიების მუშაობაში.

კონფერენციამ საჭიროდ სცნო რკინის-გზელ და ქალაქის მუშკორთა შორის შესაფერი კავშირის გაბმა, სამ თვეში ერთხელ კონფერენციების მოწვევა, ბიუროების სხდომებზე რედკოლეგიების მუშაობის შესახებ მოხსენების მოსმენა და, რაც დიდმნიშვნელოვანია, ცენტრალურ პრესის სათანადო ორგანოებთან დაახლოვება, როგორც მუშკორ-ახკორების გაზეთებში მონაწილეობის მიღებით, ისე სხვა სახით.

შემდეგ ქალაქის ფარგლებში შემავალ მუშკორ-ახკორებიდან არჩეულ იქნა ქალაქის მუშკორთა ბიურო შვიდი წევრის შემადგენლობით.

ქალაქის ფარგლებში—ეს პირველი ბიუროა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის შესძლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

ამჟამად ქალაქის პროფ-კავშირები აერთიანებენ ორი ათასამდე მუშა-მოსამსახურეს; კავშირებს მართებთ ხელი შეუწყონ ახალ ბიუროს მუშკორთა კადრის მომზადებაში და ახალ ძალების წამოყენებაში.

პარტ. კომიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯი —ის დიდი ნაბიჯია და, ვფიქრობთ, ის შემდგომ მუშაობაშიც არ მოგვაკლებს თავის ხელმძღვანელობას.

ს. ახ—ელი.

ახალ საბჭოების მუშაობა

(წერილი სიღნაღის მაზრიდან)

საბჭოების გადარჩევის დასრულებისთანავე სამაზრო აღმასკომმა პირველი ნაბიჯი გადადგა ახლად არჩეულ საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

ამ მიზნით, ყველა სათემო სასოფლო საბჭოებს მიეცათ ამომწურავი დირექტივები სექციების ასამოქმედებლად. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სექციების მუშაობის ახალი დებულება სათანადო ხელმძღვანელ ორგანოებიდან დღემდე არა აქვთ ადგილებს და სიღნაღის სამაზრო აღმასკომსაც მოუხდა სექციების ინსტრუქცია დაემუშავებინა ძველი დებულების საფუძველზე ადგილობრივი პრაქტიკის და გამოცდილების მიხედვით.

როგორც სექციებისათვის, ისე ყველა დარგში საბჭოებზე წერილობითი დირექტივების მიცემის შემდეგ, სამაზრო აღმასკომმა გააძლიერა ცოცხალი კავშირი ადგილებთან. ასე მაგალითად: სამაღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკების და ინსტრუქტორების მიერ მთელს მაზრაში დათვალიერებული და შესწავლილია საბჭოების და აღმასკომების მუშაობა. გარდა საინსტრუქტორო ხელმძღვანელობისა სამაღმასკომმა ფართედ შემოიღო სოფლის-თემის საბჭოების და სექციების თავმჯდომარეთა მაზრაღმასკომის პრეზიდიუმზე და საორგანიზაციო განყოფილების თათბირზე მოხსენებებით გამოძახების პრაქტიკა. დღემდე სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმზე გამოძახებული იქნა 11 თემაღმასკომის თავმჯდომარე. უკანასკნელები აღმასკომის პრეზიდიუმზე აკეთებდნენ მოხსენებებს თავიანთ მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც სამაღმასკომის პრეზიდიუმს გამოჰქონდა კონკრეტული დადგენილებები ხსენებულ აღმასკომების მუშაობაში შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებლად.

ზემოხსენებულ გამოკვლევებმა ნათელჰყო, რომ ახლად არჩეულ საბჭოებს ეტყობათ არაჩვეულებრივი გამოცოცხლება. თუ წინათ სოფლის ყველა საჭირ-ბოროტო რთულ კითხვებს აღმ. თავმჯდომარე სწყვეტდა და ატარებდა, ამჟამად ეს მდგომარეობა სავსებით აღმოფხვრილია. დღეს ყველა კითხვები, რომელიც იჭრება სოფლის სინამდვილეში არჩევა საბჭოების მიერ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ საბჭოები გადაეჩვივნენ კარჩაკეტილ მუშაობას. ადგილობრივ საბჭოების მუშაობაში ხშირია მაგალითები, როდესაც უკანასკნელნი სექციების გარდა აარსებენ სხვადასხვა დროებით კომისიებს ამა თუ იმ სპეციალურ დანიშნულებისათვის და ამ კომისიების მუშაობაში აბამენ არა საბჭოს წევრ გლეხებს, მასწავლებლებს ექიმებს, აგრონომებს და სხვებს.

საბჭოების მუშაობაში მიღწევათა შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე მორიგი სამთვიური ანგარიშის ჩაბარება ამომრჩევლებისათვის. სამაზრო დირექტივები სამაღმასკომმა თავის დროზე მიაწოდა ადგილებს. ასეთი ანგარიშის ჩაბარება დაიწყო 1 ივნისიდან და დამთავრდა 15 ივნისში. კრებები იმართებოდა უბნებში, რაც ამ დროს, როდესაც მიმდინარეობს გაცხოველებული სეზონური მინდვრების მუშაობა, აადვილებდა ამომრჩეველთა დასწრებას საანგარიშო კრებებზე.

სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში არის საინტერესო მასალები იმის შესახებ, თუ რა აქტივობას იჩენდნენ ამომრჩევლები საბჭოების საანგარიშო მოხსენებების გარშემო. ამომრჩევლნი კატეგორიულად მოითხოვდნენ ცნობებს საარჩევნო კრებების მიერ საბჭოებისთვის მიცემულ ნაკაზების განხორციელების შესახებ.

გარდა ამისა ჩვენს მაზრაში გატარდა საბჭოების ისეთი წევრების გაწვევა საბჭოებიდან რომლებიც არ გრძნობენ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე, არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს, ბოროტად იყენებენ საბჭოს წევრობას და სხვ. ასეთი გაწვევის ფაქტი მაზრაში მცირეა, მაგრამ ის საკმაოდ ახასიათებს ამომრჩეველთა აქტივობას.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

— როდის გველირსება?! თბილისის სალის და სახალხო სადგურის მუშებს, რამოდენიმე თვეა გვპირდებიან კრედიტის მოცემას. შედგა სიები და გადაეცა სადაც ჯერ არს. მაგრამ ჩვენს ლოდინს საზღვარი არ უჩანს. ნეტავ იქნება კრედიტი როდისმე თუ არა? კარგს იზამს „კაზპოგრუზის" გამგეობა ამ საქმეს, რომ ჩქარებით მოაგვარებდეს.

მუშა მტვირთველთაგანი.

მუშათა ქრონიკა

— 1927 წლის სახელმწიფო მოგებიანი სესხზე ხელის მოწერით შეგროვდა— მთავარ სახელოსნოებში 18.000 მან., საყუდსა და საშემოსავლო სამსახურში—10.000 მან. მთელს თბილისის უბანში კი—50.000 მანეთზე მეტი.

— თავის დროზე. შემჩნეული იყო, რომ რკინის გზის აფთიაქში დაკვეთილ წამლების მიცემა დაგვიანებით სწარმოებდა, ამის გამო თბილისის უბკავშირმა გასცა განკარგულება დაკვეთილი წამალი გაიცეს არა უგვიანეს 3 საათისა დაკვეთის წუთიდან.

— გორის ქსენონში უბ. კავშირის დახმარებით გორის ქსენონში მოეწყო 2 საწოლი

— გასტრონომიული მაღაზია. ახლო მომავალში ზესტაფონში „ზაკტპო" გახსნის გასტრონომიულ მაღაზიას.

შრომის კოლექტივები

შრომის კომისარიატი ამ დღეებში შეუდგება თბილისში არსებულ შრომის კოლექტივების გამოკვლევას. გამოკვლეული იქნება შრომის კოლექტივების მუშაობის ყოველი დარგი, მათი სარგებლიანობა და მომგებიანობა. კოლექტივების გამოსაკვლევად გამოყოფილია განსაკუთრებული კომისია, რომელიც მუშაობის დამთავრების შემდეგ შრომის კომისარიატს წარუდგენს თავის მოსაზრებებს კოლექტივების მუშაობის გაჯანსაღებისა, ან ამა თუ იმ კოლექტივის გაუქმების ან გაფართოების შესახებ.

პროფკავშირებ[illegible]

წევრთა რაოდენობის ზრდა

ფეიქართა კავშირის ცენტრალურ გამგეობის ცნობით ამ უკანასკნელ ხანებში კავშირის წევრთა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. 1[illegible] წელში 1 აპრილისათვის ითვლებოდა [illegible] წევრი, 1927 წელში 1 აპრილისათვის იყო 3.062 კაცი. ამ რიგად ერთი წლის განმავლობაში წევრთა რაოდენობა გაიზარდა 2.000-ით. კავშირის წევრთა ასეთ სწრაფ ზრდას ხელი შეუწყო სეზონურ სამუშაოებმა და აბრეშუმის ძაფ-საღებ ფაბრიკებში ორწყებათ მუშაობის დაწესებამ.

კვალიფიციური მუშა ხელის [illegible]

ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად შეუდგა მოსკოვში, თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის სათანადო მუშა - ხელის [illegible]ბის მიზნით გასაგზავნ მუშების შერჩევას. ამ საქმისათვის გამოყოფილი იყო კომისია, რომელმაც მუშაობა უკვე დაამთავრა. მოსკოვში [illegible] 55 მუშა - ფეიქარი ამ დარგში კვალიფიკაციის მისაღებათ.

ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ უკვე დასდო ზემოაღნიშნულ მუშებთან ხელშეკრულება ს. მ. უ. ს-თან. [illegible]ლების მიხედვით გასაგზავნ მუშებს [illegible] შემდეგი შეღავათები: თვიური ხელფასი [illegible] მანეთი, დღიური მგზავრობის დროს 2 [illegible] კაპ. უფასო მგზავრობა და სხვა. მუშები მოსკოვში დაჰყოფენ ერთ წელიწადს.

პროფსკოლის გამოშვება

კომუნალურ მეურნეობის კავშირის [illegible] გამგეობა ამ ახლო მომავალში გამოუშვებს პროფსკოლას. პროფსკოლას ამთავრებს სულ [illegible]ცი.

პროფსკოლის გამოშვება კავშირის ცენტრალურ გამგეობას განზრახული აქვს [illegible] მოხსენებით პროფმოძრაობის საკითხზე, რომელსაც საჯაროთ წაიკითხავს პროფ[illegible] მოწაფე და მოხსენების ირგვლივ გაიმართება კამათი.

ოქტომბრის რევოლიუციის [illegible] თავზე

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ რევოლიუციის 10 წლის თავზე დღესასწაულის ჩასატარებლად გამოყო ხუთი კაცისაგან [illegible] კომისია.

აღნიშნულ კომისიას დავალებული აქვს [illegible] მუშაოს დღესასწაულის ჩასატარებლად [illegible] გეგმა.

გემო-კვების კავშირ[illegible]

გემო-კვების მუშაკთა კავშირის [illegible]ბოების უკანასკნელ სხდომაზე გამოირკვა [illegible] კერძო მეპურეები ითხოვენ თავიანთ მ[illegible] თვითონ კი აწყობენ საარტელო [illegible]ებურ „შრომის არტელებს", და სამრ[illegible] კოოპერაციის ფირმით ღებულობენ [illegible] საკმაო რაოდენობას იმ ორგანიზაციებ[illegible]ლთაც ფქვილი შემოაქვთ. თავის მხრივ [illegible]რატიული ორგანიზაციების წარმომად[illegible] გამო-კვების მუშაკთა კავშირში შე[illegible]ცხადება სადაც ისინი აღნიშნავენ, რ[illegible]მის არტელები ფქვილს ღებულობენ [illegible]განიზაციებიდან, არამედ თითონ შემ[illegible]ქართველის სამხედრო გზა - ტკეცილ[illegible]

გემო-კვების მუშაკთა კავშირ[illegible]ობამ ამ საკითხის შესასწავლად გამოჰყ[illegible]ა, რომელშიაც შედიან მუშკოოპის, [illegible]რანსპორტო მომხმარებელი კოოპერაცი[illegible]რეწველო კოოპერაციის და გემო-კვების [illegible]ა კავშირის წარმომადგენლები.

პატარა ფელეტონი

რომის პაპა, ივანიცკი, რამიშვილი და „იშკილი"

„ჩვენ ინგლისში ელჩის საშუალებით დაკავშირებული ვართ კენტერბერიის-ეპისკოპოსთან, ხოლო რომში პაპთან გვყავს განსაკუთრებული წარმომადგენელი—ივანიცკი (რ. ინგილო), ხმები მოდის საქართველოდან, რომ ჩვენი ეკლესიის მეთაურები ფიქრობენ რომთან უნიას".

(ნ. რამიშვილის წერილიდან).

იყო რომი, იყო პაპი.
იყო კიდევ ეკლესია...
მას „საცანცლიც" ბევრი ჰქონდა
როგორც რიგი და წესია...
ლოცულობდა...: შიგა და შიგ
ქონებასაც ხვამდა პაპი,
და აღმოჩნდა ერთ დღეს რომა...
ყველა „საცანცლს" უქნა ყლაპი.
შეძრწუნდა ძლიერ „მწყემსი",
მოიწვია დიდი კრება
და ამ კრებას დაავალა
რამ ზომების მოფიქრება.
„—შვილნო ჩემნო, უთხრა „მოყვასთ":
თავს გვადგია გასაჭირი,
სული ჩვენი როგორ ცხონდეს,
თუ გაგვიშრა ხოლმე პირი.
მოიფიქრეთ, მოისაზრეთ
ვნიშნავ მეტად მაღალ ჯილდოს:
ვინც გზას ნახავ, მამა ღმერთმა
ყველა ცოდვა მყის შეგინდოს".
იფიქრეს და მოიფიქრეს,
ვიცხლად გეგმაც გამოაწყვეს,
და პროექტი მშვენიერი
იმავე დღეს გამოაცხვეს.
პაპი „ცოდვის ახსნისათვის"
მიიღებდა „ცოტა" ფულებს,
აცხონებდა, მოკლედ რომ ვსთქვათ,
თავისსაც და სხვისაც სულებს.
დაამზადეს „ხარტიები",
პაპმა ხელი მოაწერა
მოიხსენა სულიწმინდა,
თანაც ჯვარი გადასერა,
და გაგზავნა მოგზაურად
ხალხში არა ერთი ბერი,
დაიბარა: ფულს ვინც მოგცემთ
აპატიეთ ყველაფერი.
ძველი ცოდვა მანეთია,
ძველ-ახალი ორჯერ მეტი
მომავალის პატიება
სამძიმოა მეტის მეტი,
მაგრამ თუ კი ათჯერ ძვირად
გასაღოთ პატიება,
აპატიეთ მომავალიც...
ასეთია პაპის ნება.
და „წარვიდენ მონაზონნი,
ჟამი იგი იყო ცოდვის",
ლოლობს პაპი: ხალხიც „ცხონდა"
და ფულებიც ბლომად მოსდის.

—:—

ერთხელ (უკვე ხაზინაში,
დაუგროვდა ფული ბლომად,
ეყოფოდა პაპასაც, სხვებსაც
ცოდვილ მუცლის გასაძღომად)
ხაზინადარს სალაროში
ყაჩაღებმა მიაკითხა:
—ცოდვები გვაქვს, გვსურს ვინანოთ
თქვენ მოგმართოდ?—ერთმა ჰკითხა
—რა ცოდვები, მამა—შვილო!
ძველებია თუ ახალი?
—არა მამა, უპასუხეს:
ჩვენ გვაწუხებს მომავალი.
ვინ რა იცის ძეხორციელს
ცხოვრებაში რა შეხვდება,
ცოდვა თუ ვერ მოვინანეთ
ჯოჯოხეთი წილად გვხვდება,
გვაპატიეთ ძველი ცოდვა,
გვაპატიეთ ახალიცა,
მომავალიც შეგვინდეთ და...
ძღვნად აიღეთ ეს ხალიჩა
გაუხარდა ხაზინადარს
(ის მსუნაგი იყო ბერი
მოეწონა მეტისმეტად
მას ხალიჩის ჭრელი ფერი)
მიაწოდა მან ხარტია,
პაპის მიერ ნაბოძები,
და შეუნდო ძველ-ახალი
მომავალიც, მყის ცოდვები.
შეეკითხა მოკრძალებით
ბერს კვლავა ერთი ავაზაკი
—ეს მიბრძანეთ, ხომ ვცხონდებით
ეს ხარტია ხელთ გვაქვს რაკი?
ვსთქვათ, კვლავაც მოიხდა რამე ცოდვა
მისთვის ხომ არ დავისჯებით?
აგვიხსენით, კვლავ მადლს გეტყვით
თუ ამაზეც გაისჯებით!
—შვილნო ჩემო, მომავალი,
ისე როგორც ცოდვა ძველი,
მოგხსნათ პაპმა თქვენ წინასწარ,
ხელთ გაქვთ ამის საფუძველი.
ხარტიაში ნათქვამია:
რაც არ უნდა ჩაიდინოთ,
ცოდვა ცოდვათ არ გეთვლებათ
შეგიძლიათ მოილხინოთ...
—სთქვა ეს ბერმა და სალაროს
კარი სურდა მოეხურა,
მაგრამ „თურმე არ მოიტანს
წყალს მუდამ ჟამს ერთი სურა"
ყაჩაღებმა ბერის თოლებს
იმ წუთშივე სტაცეს ხელი,
სთქვეს: ბერო-ჯან, რაც გაქვს მიგვ
დაბრუნებას ნუღარ ელი.
— ყაჩაღებო! რას ჩადიხართ,
ბერმა მწარედ იღრიალა;
ჯოჯოხეთში თქვენი ტანი,
შამფურებზე იტრიალა.
მოუბრუნდა ავაზაკი
და ბერს ასე მოახსენა:
— ბერო, ტყვილად ნუ ირჯები
მოასვენე შენი ენა.
თითონ პაპმა გვაპატია
წინ-წინ ცოდვა ყოველგვარი.
არ გაგივა აწი ღმერთთან,
არც წყევლა, არც საჩივარი.
ცოდვა ცოდვათ არ გვეთვლება.
შენ არ გვითხრა ახე განა?
შაქარსავით შეგვერგება,
აწ ცოდვები ამისთანა.

—:—

ვისაც ერთხელ წაუკითხავს
ხალხთა ძველი ისტორია,
დამიმოწმებს, რაც მოვყევი
ყველაფერი ის სწორია.
დღეს ამბავი გამახსენდა
მე იმიტომ ესე, რომა
„დემოკრატებს" დაუწყიათ
რომპაპასთან თურმე ძრომა.
ალბად ფული შემოაკლდათ
ივანიცკი - რამიშვილებს,
სადეს ქსოვენ, ქსელს აწყობენ
აკეთებენ დიდ „იშკილებს".
მაგრამ პაპის სალაროშიც
ხომ თაგვების თამაშია?!
ავს რა არგოს, როცა პაპსაც
ასჯერ-ასჯერ თვითონ შია.
პაპიც ფიქრობს რამ „დაცანცლოს",
მათ „სამწ[illegible]ს„ თუ იშვილებს.
ვნახოთ აბა „დაცანცლვაში"
ვის რომელი წააცილებს
ივანიცკი - რამიშვილი
ინანიებს ეხლა ცოდვებს
იმედი აქვთ „მამა ღმერთი"
ბოლოს მაინც შეიცოდებს.
რომის პაპას (თვით უკბილოს)
„ზეგარდმოთ"დან" შთააგონებს,
ხომ სჭირდება „დახმარება"
მენშევიკებს - ქრისტეს მონებს
რომის პაპს კი სხვაგვარი აქვს
ანგარიში ხასიათში:
სურს ძმა-ბიძებს აწლევინოს
ერთში ათი, ასი ათში.
სურს გელათის სამკაული,
სამკაული კიდევ სხვები,
უცხოეთში „გახიზნული"
ოქრო-ზურმუხტი და სხვა ქვები
ხელთ ჩაიგდოს „წმინდა მამამ",
„ცხოვართ" ცოდვა შეუნანოს
და ამგვარათ ცოდვილები
სამოთხეში შეიყვანოს.
გეგმები აქვს რომის პაპას
გეგმები აქვთ რამიშვილებს,
ვნახოთ აბა, ვნახოთ ერთი
ვინ რომელი წააცილებს.

—:—

ევროპიდან ცნობა მოდის
ემისარით მეტად სწრაფი:
სწყალობს თურმე, სწყალობს თურმე...
„დემოკრატებს" რომის პაპი
ტყვილათ ცდილობს რამიშვილი,
ტყვილად ცდილობს რომის პაპი,
ჩქარა ტალღა აზღვავდება
ტალღა მათი გადამყლაპი.

ხოზიკა.

გერმანიის ფირმების წარმომადგენლები თბილისში

თბილისში ჩამოვიდნენ გერმანიის უდიდესი ფირმების „ფელტენ და გილიომ", „ოტტო ვოლფ"-„ალფრედ ვირკ"-ის წარმომადგენლები კარლფლერი და ფოლკი. პირველი ფირმა ამზადებს მავთულებს, მეორე — ნავთის მილებს და სხვადასხვა რკინეულობას, მესამე— [illegible]ისათვის; ფირმა „ოტტო ვოლფ" გერმანიის ფოლადის სინდიკატის ერთ-ერთი აქციონერია.

ფირმის მუშაობის შესახებ მოქ. გაიბლერმა და [illegible]მა განაცხადეს შემდეგი:

—ჩვენ ვიყავით გროზნოში და ბაქოში, სადაც დავდეთ შეკვეთები ნავთის მილებზე და მავთულზე გროზნოს და აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობისათვის. ეს პირველი შეკვეთა არის. ჩვენ უკვე მესამე წელიწადია მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა გვაქვს აღნიშნულ ტრესტებთან. უკანასკნელად ჩვენ მივიღეთ შეკვეთა 20.000 ტონა მავთულზე.

ჩვენ მივემგზავრებით ხარკოვში, სადაც მოლაპარაკება გვექნება ლითონის ტრესტთან ახალ შეკვეთების შესახებ. წინეთ ეს ტრესტი კანატის საჭირო მავთულებს ყიდულობდა ინგლისში, მაგრამ ეხლა, ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, შეკვეთები გადადის გერმანიაში.

ფირმები, რომელთა წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ, დიდი ხანია მუშაობენ საბჭოთა კავშირში. მაგალითად, თბილისის ფუნიკულიორის კაბელი დამზადებულია ფირმა „ფელტენ და გილიომ"-ის მიერ 1902 წელს; ამ კაბელმა გაძლო [illegible] წელიწადი. ორი წლის წინად თბილისის [illegible]მა იმავე ამ ფირმას შეუკვეთა ახალი კაბელი, რომლებიც უკვე ჩაბარებულია.

ფირმა კანატების გარდა ამზადებს ტელეგრაფის კაბელებსაც.

მაგალითად, გერმანიის ფოსტა - ტელეგრაფის [illegible] საბჭოთა კავშირის ფოსტა - ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით ამ ფირმამ შეუკვეთა კაბელები კენიგსბერგ-ლენინგრადისათვის. ამავე ფირმის მიერ გაყვანილია წყალქვეშა სატელეგრაფო კაბელი პოლანდიასა და ინგლისს შორის და გერმანიასა და ამერიკას შორის. ამას გარდა ამავე ფირმის მიერ არის მოწყობილი საკანატო გზა ჭიათურაში და ურალზე.

რაც შეეხება ფირმა „ოტტო ვოლფ"-ს, მას განზრახვა აქვს ფართო ნიადაგზე დააყენოს თავისი მუშაობა საბჭოთა კავშირში. ამერიკის ფირმებთან შეთანხმებით იგი მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირის სათანადო ორგანიზაციებთან დონის აუზის ქარხნების აღდგენის შესახებ; პირველ რიგში აღდგენილი და გაფართოებული იქნება მაკეევის ქარხანა. ამ საქმეზე ფირმას გრძელვადიანი კრედიტის სახით განზრახული აქვს დახარჯოს 36.000.000 დოლარი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, — ამბობს მოქ. ფოლკი, — რომ ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტას სრულებით არ უმოქმედია გერმანიაზე. ეს უკანასკნელი პირიქით, სცდილობს გააფართოვოს და გააცხოველოს ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ამ მხრივ გარდა ჩვენი ფირმებისა აღსანიშნავია გერმანიის უდიდესი საავტომობილო ფირმა „ოპელ"-ი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს მთავარ საკონცესიო კომიტეტთან მისთვის ველოსიპედების დამზადების კონცესიის გადაცემის შესახებ. ამავე ფირმას განზრახული აქვს გადმოიტანოს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი თავისი საავტომობილო ქარხანა. ეს ფირმა კი ერთად-ერთი ფირმაა გერმანიაში, რომელსაც ფორდის პრინციპებზე აქვს აგებული წარმოება.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დავათვალიერეთ აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს ქარხნები, რომლებმაც ჩვენზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა.

რიონჰესის სამუშაოთა დაწყება

[illegible] ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო [illegible]ქტში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს სა[illegible]ს ახაგებ სამუშაოთა საზეიმო გახსნისა და [illegible]რის საფუძვლის ჩაყრის გეგმა:

[illegible]მუშაოთა საზეიმო გახსნა მოხდება 28 ივ[illegible] საღამოს 4 საათზე. მთავარი კაშხალისა და [illegible]რი არხის გასაყვანი ადგილები აღნიშნული [illegible] წითელი დროშებით და შეღებილი ნიშ[illegible] გვირაბის თავში და ბოლოში ჩამოკრილი [illegible] ფერდობის კალთა და სალებავებით აღ[illegible]ვენ გვირაბის მოცულობას. გარდა ამისა [illegible]ბის თავსა და ბოლოში წინასწარ ჩაამზა[illegible] ლაღუმებს და ნაშუადღევის 4 საათზე [illegible] მხრიდან ააფეთქებენ გვირაბის სამუშაო [illegible]ასაწყებ ადგილებს.

[illegible] იქნება ფაქტიურად სამუშაოთა დაწყება. [illegible]ნერატორო შენობის ადგილი მონახული იქნება და ამ ადგილას ჩასდებენ პერგამენტის ქაღალდზე დაწერილ ტექსტს. სამუშაოთა ახსნის დროს სამუშაოთა დაწყების ადგილებზე გადმოტვირთავენ ზაჰესიდან წაღებულ მოწყობილობებს, გეოდეზიურ ხელსაწყოებს და საბარგო ავტომობილებს.

სამუშაოთა საზეიმო გახსნას დაესწრებიან მოსკოვიდან ზაჰესის გახსნაზე მოპატიჟებული სტუმრები, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, მუშათა ექსკურსიები, სომხეთისა და აზერბეიჯანის მთავრობების წარმომადგენლები, ქუთაისის მუშა-მოსამსახურენი, მახლობელი სოფლების გლეხები და სხ.

სამუშაოთა გახსნის ზეიმის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ერ. ლეჟიჩავას.

[illegible]ლაპარაკება საზ-ბა „საქართველოს მარგანეცთან"

[illegible]ქართველოს ტრანსპორტის მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში შემდეგი აცნობეს [illegible] შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება საზ-ბა „საქართველოს მარგანეც"-თან [illegible]ექტიური ხელშეკრულების განახლების შესახებ.

[illegible]კონცესიონერმა უარყო კავშირის წინადადება [illegible]რათა კონცესიის ტერიტორიაზე მომუშავე ტრანსპორტელებს გადიდებოდათ ხელფასი 1-ლ კატეგორიისათვის 21 მან. 50 კ.-დან 22 მან. 80 კ.-მდე.

კონცესიონერმა აგრეთვე უარი განაცხადა კავშირის წინადადებაზე, რომ ტრანსპორტის მუშებს გადიდებოდათ გასასვლელი დახმარება მათი დათხოვნის დროს ქალ. ფოთში დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმის მექანიზაციის გამო.

კონცესიონერი ხელფასის პირდაპირი გადიდების ნაცვლად წინადადებას იძლევა შემოღებულ იქნას პრემიალური სისტემა; დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოზე ერთი მუშის გამომუშავების ნორმას საზოგადოება ამცირებს 372 ფუთიდან 310 ფუთამდე.

ცენტრალურმა გამგეობამ შეუძლებლად სცნო დასთანხმებოდა საზოგადოების წინადადებას პროგრესიულ სანარდო სისტემის შემოღების შესახებ, ვინაიდან ეს საზარალოა მუშებისათვის.

ნორმის გამომუშავება დამოკიდებულია არა მუშათა შრომის ინტენსივობაზე, არამედ მარგანეცის იმ რაოდენობაზე, რომელსაც საზოგადოება მისცემს მათ დასამუშავებლად; ამასთანავე საზოგადოება ვერ უზრუნველყოფს ტვირთბრუნვას.

მუშფაკის მსმენელთა გამოშვება

[illegible]რთული მუშფაკი დაასრულა 113 კაცმა.—მუშები სწავლაში დიდ უნარიანობას იჩენდენ.—მუშფაკელები ექსკურსიებზე.—მუშფაკის მომავალი პერსპექტივები

[illegible] დღეს, საღამოს, ამხ. მ. კახიანის სახელობის [illegible]რთულ მუშფაკში შესდგება მუშფაკის კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვება. სულ [illegible]ლს მუშფაკი დაასრულა 113 კაცმა. მათ შორის უმრავლესობას შეადგენენ წარმოებებიდან [illegible]ღებული მუშები და რკინისგზელები.

მუშფაკში ჩატარებულ საქმიანობის შესახებ [illegible]კანმა ამხ. ლ. რუხაძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ამხ. მიხ. კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტი დაარსებულია 4 წლის წინეთ. სულ დღემდე მუშფაკმა გამოუშვა 160 კაცი. მათგან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 120 კაცი.

წელს კი ფაქტიურათ მოხდა მუშფაკის მსმენელთა პირველი გამოშვება. კურსდამთავრებულები სწავლობენ ჩვენს მუშფაკზე 1-ლი კურსიდან. გამოსაშვები კოლოკვიუმები დაიწყო 4 ივნისს და დამთავრდა 21 ვნისს. სულ გამოცდებზე გამოცხადდა 140 მსმენელი. აღსანიშნავია, რომ მუშფაკზე შემოსული მუშები დიდ უნარიანობას და სურვილს იჩენენ სწავლის შეძენაში. კურსდამთავრებულთა შორის 9 ქალია, 86 ფიზიკური მუშა, 17 გლეხი და ათი გონებრივი მუშაკი.

ამას წინედ ჩვენ გავაგზავნეთ მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო რაიონებში მუშფაკის უფროსი კურსების მსმენელთა ექსკურსიები ორ ჯგუფად. ორივე ჯგუფში შედის 90 მსმენელი. ექსკურსიებს თან გავაყოლეთ ხელმძღვანელი მასწავლებლები.

მომავალში გადაწყვეტილი გვაქვს ფაკულტეტის მსმენელთა რიცხვი განვსაზღვროთ 1000 კაცით (შარშან იყო 1300-მდე), შემოდგომაზე კვლავ მივიღებთ 150 კაცს, გარდა ამისა მომავალი სასწავლო წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სწავლის მეთოდების გაუმჯობესებას—გადავალთ ლაბორატორიული მუშაობის მეთოდებზე და შემოვიღებთ ე. წ. განხრებს.

გარდა ამისა მომავალი სამოსწავლო წლიდან განზრახვა გვაქვს უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნათ მუშებს სწავლისათვის. ხშირათ ხდება, რომ წარმოებაში დაღლილ-დაქანცულ მუშას ქარხნიდან მოსვლისთანავე, უხდება სასწავლებელში მოსვლა და ეს გარემოება გავლენას ახდენს მათ სწავლის უნარიანობაზე. ჩვენ ვფიქრობთ სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით მოვაგვაროთ ეს მდგომარეობა.

ქირურგების საკავშირო ყრილობა

საუბარი პროფესორ მუხაძესთან

ქირურგების სრულიად საკავშირო მეცხრამეტე ყრილობის შესახებ პროფ. გ. მუხაძემ, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა ლენინგრადიდან, განაცხადა შემდეგი:

„ლენინგრადში ჩემი გამგზავრების მიზანი იყო მონაწილეობის მიღება სრულიად საკავშირო ქირურგების მე-19 და უროლოგების მე-2 ყრილობებზე. ქირურგების ყრილობა გაიმართა 24—28 მაისს. ყრილობას დაესწრო 1424 კაციმდე, აქედან ჩამოსულთა რიცხვი უდრიდა 955-ს ყრილობის საპროგრამო საკითხები იყო: 1) ნაწლავების გაუვალობა, 2) ენდოკრინოლოგია (შინაგან სეკრეციის შესახებ) და 3) ადამიანის ორგანიზმის კონსტიტუცია. ყრილობის სხდომები იმართებოდა ფილარმონიის დარბაზში მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორ **მარტინოვის** თავმჯდომარეობით. მოსმენილი იყო სულ 78 მოხსენება. გაცხოველებული კამათი გამოიწვია მოხსენებებმა ენდოკრინოლოგიის შესახებ, შინაგან სეკრეციის ორგანოების როლის და მნიშვნელობის საკითხით დიდი ხანია დაინტერესებული არიან ფიზიოლოგები და ექიმები. მაგრამ ამჟამად ამ საკითხით გატაცებული არიან ქირურგებიც, რომლებიც ამა თუ იმ ოპერაციით (ამა თუ იმ ჯირკვლის ამოკვეთით ან გადანერგვით) სცდილობენ ადამიანის ორგანიზმის ფუნქციების მოშლის და დაავადებათა შესწავლას. ცნობილია, რომ გაახალგაზრდავების მიზნით გადანერგავენ სათესლე ჯირკვლებს, ან აკეთებენ შტეინახის ოპერაციას—ამავე ჯირკვლის გამომტან მილების გადაკვანძვას. ქვედა კიდურების განგრენის (მოკვდინების) დროს პროფ. ოპელის წინადადებით ამოკვეთავენ თირკმელ ზედა ჯირკვლებს. ბაზედოვის ავადმყოფობის დროს ნაწილობრივ ამოაცლიან ფარისებრ ჯირკვლებს, მოსმენილ მოხსენებებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ ენდოკრინოლოგიაში გამოსარკვევია და შესასწავლი.

ნაწლავთა გაუვალობის საკითხში ახალი თითქმის არაფერი არ თქმულა. ეს ავადმყოფობა ყველგან ერთნაირადაა გავრცელებული და ხშირია გლეხებს შორის მძიმე მუშაობის დროს (ზაფხულობით) და, განსაკუთრებით, ხიმშილობისას. ავადმყოფობა ყველგან იძლევა სიკვდილიანობის დიდ პროცენტს და მისი მკურნალობა მხოლოდ ოპერაციულია.

ორგანიზმის კონსტიტუციის საკითხებზე რამდენიმე მოხსენება იყო მოსმენილი. მომხსენებლები სცდილობდენ გაერკვიათ ორგანიზმის შეძენილ, ან თანდაყოლილ თვისებების გავლენა ავადმყოფობის მიმდინარეობაზე, წამოყენებული საკითხების გადასაჭრელად საჭიროა ჯერ კიდევ ხანგრძლივი დაკვირვებანი.

არასაპროგრამო საკითხებიდან გაცხოველებული კამათი გამოიწვია მოხსენებამ კუჭის წყლულის მკურნალობის შესახებ. ქირურგები ამ საკითხში ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი ურჩევენ წყლულის ამოკვეთას, მეორენი (უმრავლესობა) უპირატესობას აძლევენ კუჭსა და ნაწლავს შორის ახალი შესართავის გაკეთებას. ეს ოპერაცია უფრო ნაკლებ საშიშია და კარგ შედეგსაც იძლევა. დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე ჭიაყელა ნაწლავის ანთების საკითხმა.

ყრილობამ უკანასკნელი დღე მოანდომა ქირურგიულ ტუბერკულოზის (ხერხემლის, ძვლების და სახსრების) მკურნალობის საკითხს.

შემდეგი ყრილობის მოწვევა განზრახულია მომავალ წელს მოსკოვში.

ყრილობამ საპატიო წევრებათ ერთხმად აირჩია პროფესორები **გრეკოვი** და **ფედოროვი**.

ყრილობის მუშაობის დროს პროფ. **მარტინოვმა** ოპერაცია გაუკეთა ცნობილ ფიზიოლოგს **ი. პავლოვს**, რომელსაც აღმოაჩნდა ნაღვლის სადინარის კენჭი. მიუხედავათ მოხუცებულობისა, პროფ. პავლოვმა ოპერაცია კარგად გადაიტანა.

ყრილობის სხდომების დროსვე გაიმართა ამიერ და ჩრდილოეთ კავკასიის ქირურგ-წარმომადგენელთა თათბირი საოლქო ყრილობის მოწვევის შესახებ. გადაწყდა 1928 წლ. სექტემბერში თბილისში მოწვეული იქნას ჩრდილოეთ-ამიერ-კავკასიის ქირურგთა მე-4 გაერთიანებული ყრილობა. საჭიროა ეხლავე შეუდგეთ მზადებას ამ ყრილობისათვის.

ქირურგთა ყრილობის შემდეგ გაიმართა უროლოგების ყრილობა, რომელსაც დაესწრო 400-დე წარმომადგენელი. ამ ყრილობაზედაც ბევრი მნიშვნელოვანი საკითხები იყო განხილული.

სამკურნალო დაწესებულებები ლენინგრადში

„საქართველოს სახ. ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ, განაცხადა პროფესორმა გ. მუხაძემ, მე დავალებული მქონდა დეტალურად გავცნობოდი ლენინგრადის ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებებს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ქირურგიულმა დაწესებულებებმა. ქირურგიული განყოფილება 200-300 საწოლით, მშვენიერად მოწყობილი, სავსებით უზრუნველყოფილი, შრომის მტკიცე დისციპლინა, როგორც მაღალ, ისე დაბალ მოსამსახურეებს შორის—საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს.

რევოლიუციის შემდეგ ლენინგრადში შექმნილია მრავალი ახალი სამკურნალო დაწესებულება. ძველი დაწესებულებები საფუძვლიანად შეკეთებულია, გადაკეთებულია და გაფართოებულია. საწოლების რიცხვი ზოგიერთ საავადმყოფოებში ორჯერაა გადიდებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეჩნიკოვის სახელობის საავადმყოფო, რომლის აშენება დაიწყო ომამდე, მაგრამ იგი გახსნილ იქნა მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ. საავადმყოფოში 2000 საწოლია, აქედან მხოლოდ ქირურგ.—350 საწ. აქვე მოთავსებული ონკოლოგიური (სიმსივნეების შესასწავლი) ინსტიტუტი, რომელშიც მოიპოვება ყველა თანამედროვე ხელსაწყოები, აპარატები და პრეპარატები კიბოს მკურნალობისათვის.

საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე სახელმწიფო რენტგენო-რადიოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც მოთავსებულია უფ. ლიცეის შენობაში თავისი სიდიდით და მოწყობილობით აღნიშნული ინსტიტუტი აჭარბებს ჩემის აზრით, ევროპაში არსებულ ამდაგვარ დაწესებულებებს.

შესანიშნავადაა მოწყობილი აგრეთვე ამხ. პერმენინის სახელობის სასწრაფო დახმარების საავადმყოფო. მას უჭირავს 7 სართულიანი შენობა და აქვს 200 საწოლი. აქედან 100 ქირურგიულია. საავადმყოფოს სათავეში სდგას ქალთა საექიმო ინსტიტუტის პროფესორი **ჯანელიძე**, რომელიც ცნობილია თავისი ოპერაციებით გულზე და აგრეთვე პლასტიური ოპერაციებით (ქსოვილების გადანერგვით).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლენინგრადის ქირურგიულ ტუბერკულოზის სამკურნალო სპეციალური ინსტიტუტი. აღნიშნული ინსტიტუტი მოთავსებულია ქალაქ-გარეთ, ჯანსაღ ადგილას, ფიჭვნარ და ნაძვნარ ტყეში; ინსტიტუტს აქვს 200 საწოლი, იგი მოწყობილია მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის მიხედვით. დათვალიერების დროს პირადად დავრწმუნდი იმაში, რამდენად კარგად რჩებიან იქ ჭლექიანი ავადმყოფები. ფრიად საჭიროა ასეთივე ინსტიტუტის დაარსება ჩვენში, სადაც ჭლექიანი ავადმყოფებისათვის, განსაკუთრებით ხერხემლის, ძვლების და სახსრების ჭლექით დაავადებულთათვის არ მოიპოვება სპეციალური საავადმყოფო.

უკანასკნელად მე ვიყავი ლენინგრადში 1912 წელს; როდესაც ვადარებ იმდროინდელ არსებულ სამკურნალო დაწესებულებებს დღევანდელთან, მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ რევოლიუციის შემდეგ ლენინგრადი ძალიან წინ წაწეულა ამ მხრივ. შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციის (განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ) ლენინგრადის, როგორც კულტურული ცენტრის როლი ძალიან გაიზარდა. ახალგაზრდა ექიმების მუშაობასა და გაუმჯობესებისათვის აქ საუკეთესო პირობებია".

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის
პროლეტარიატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად **სამი მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

გრ. არუთინოვს, გ. ქურციკაშვილს, გ. ხელაშვილს, მ. მამაჯანოვს, ქ. კოხტაშვილს, მ. ანდღულაძეს, მ. კარაპეტოვს, დ. გურჯიშვილს, ნ. გოგოლაძეს, ვ. ბაქრაძეს, ი. თანდილაშვილს, გ. მელითაურს, გ. ჩეკურიშვილს, ვ. ნაცვლიშვილს, ა. მაისურაძეს, კ. ბაკურაძეს, მ. კაკაბაძეს, ი. ჭურღულაშვილს, ნ. ქაშაკაშვილს, ი. თოხაძეს, პ. როსტომაშვილს, ი. როსტომაშვილს, შ. ბერძნიშვილს, თ. შაშიაშვილს, მ. ბაკურაძეს.

გიორგი მრელაშვილი.

ამხ. ლავრენტი ქართველიშვილის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **სტეფანოვს** (დორპროფსოჟი), **გრიგოლ გუდავაძეს** (1-ლი რაიკომი), **პ. თოფურიძეს** (მთ. სახელოსნოები), **კუში-ახმედოვს** (ზაკტპო), **ქებაძეს** (ზაკტპო), **პერვუშინს** (ახ. კ. კავშირი, 1-ლი რაიკომი), **უსტიევს** (დორპროფსოჟი), **ალექსანდრე ჯაფარიძეს** (პლეხანოვის სახალხო კლუბი), **ივანე ჯიჯელავას**, **ხუბოვს** (საშემოსავლო დარგი), **ზოსიმე კალანდიას** (რკ. გზის სამმართველო), **გაბეჩკირიას** (რკ. გზ. სამმართველო), **ივანოვს** (უცდ), **გოზალოვს** (მოძრაობის დარგი) და **ბარამიძეს** (მოძრაობის დარგი).

ფანცულაია

თანახმად ამხ. ყურულაშვილის გამოწვევისა თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ინჟ. **ანდრია კაციტაძეს** (გზა-ტკეცილების სამმართველოდან), ინჟ. **ჯორჯაძეს** (ა-კ. ად. ტრანს. სამმართველოდან); ინჟ. **მელიქ-ფაშაევს** (რიონ-ჰესიდან), ამხ. **ვარლ. მარდალეიშვილს** (გზა-ტკეცილების სამმართველოდან), ინჟ. **ჩხეიძეს** (გზა-ტკეცილების სამმართველოდან), ინჟ. **კვეზერელი-კოპაძეს** (გზა-ტკეცილების სამმართველოდან), ამხ. **აზარნოვის** (ამიერ-კავკასიის ადგ. სტრან. სამმართველოდან); ამხ. **კოჩინევს** (გზათა სახ. კომისარ. რწმუნ. სამმართველოდან), ამხ. **გვარამაძეს** (გზა-ტკეცილების სამმართველოდან, ამხ. **ირემაშვილს** (საშენიდან).

ვლ. ალლაძე.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდში შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

სუნწარიას, ხამაშურიძეს და **გამსახურდიას** (მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატიდან); ამხ. **მეტაშვილს; ბოიარსკის; კრივობოკოვს; ანანოვს; შუგაროვს** (თბილისის რკინის გზის პოლიტ-სამმართველოდან); ამხ. **ლვინიაშვილს** (გორის სადგურის უფროსი); **ტატიშვილს; გუგუტეიშვილს; გძელიძეს; დაბრუნდაშვილს; კორძაიას; ბარკალაიას; საბულიანს;** სადგურ ქსანის უფროსს **მიქაბერიძეს.** (მე-2 რაიკომი): ამხ. **შარაშიძეს;** სადგურ ხაშურის უფროსს ამხ. **დავიდოვს;** და თბილისის აღმასკ. ადმინგანიდან: ამხ. **სერგო გეგიაძეს.**

ნ. გეგეჭკორი.

ამხ. ჯაფარიძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებად შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

იაკობ კოსტავას; ვოლსკის (მთავარ სახელოსნოდან); **კირილე სულავას; სიდოროვს** (წევის უფროსის თანაშ.); **კოლანდიას** (რკინის გზის გამგეობის ფინგანყ.). **ვალერიან ვაშაკიძეს; მაისუროვს** (მთავარ სახელოსნოს უფროსს); **ვარლამოვს;** (მთავარ სახელოსნოს უფროსის თანაშემწეს) **კოტრინს;** (მთავარ სახ. უფროსის თანაშემწეს) **მიხა ჩოლოყაევას; პარმენ საბაშვილს; დავით ფანცულაიას; არტაშ აგარონოვს; ნესტორ რუხაძეს; ბაგრატ გასპაროვს; გრიგოლ ქურდიანს,** (აღმასკომის მთავარ ინჟინერს) **ალექსი გორგაძეს, რუბენ მუჩაიძეს** და **ანდრო ფირცხალავას.**

ზავვა.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **გ. მათითაშვილი,** (ჭიათურის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი), **კ. ბრეგვაძეს, ვ. ლომთათიძეს, ვ. თათეიშვილს, კ. ბუხრაშვილს, ი. მეგრელიშვილს, ნიკ. ქობალიანს, მ. კვარანამეს, ბ. ლეჟავას, ალ. ს. ვაშაძეს,** ექიმ **გრიშა ამაშუკელს, გ. კიკნაძეს** (ხარაგოულის სახალხო მოსამართ.); **ლ. კალანდაძეს** (ჭიათურა); **ფ. ლომაძეს** (სამპროფ. ბიურო); და **ა. კაშიას** (შრ. ინსპექტორი).

სევ. ქურტანიძე.

თავდაცვის კვირეულისათვის

ცენტრალური კომისიის სხდომა

ამ დღეებში მოწვეულია თავდაცვის კვირეულის ჩამტარებელი ცენტრალური კომისიის მორიგი სხდომა, რომელზედაც გაირჩევა ადგილებზე კვირეულის ჩატარების დაწვრილებითი გეგმა.

თათბირი განიხილავს აგრეთვე კვირეულისათვის გამოსაშვებ მოწოდებების და ფურცლების ტექსტს და შეიმუშავებს ლოზუნგებს. კვირეულის განმავლობაში განზრახულია მოეწყოს ლოზუნგების ჩვენება ელექტრო-სინათლით და ფურცლების გადმოყრა აეროპლანებიდან.

გარდა ამისა კომისიას განზრახული აქვს შუამდგომლობა აღძრას სამხედრო საჰაერო ძალთა უწყების წინაშე, რომ რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში გაგზავნონ აეროპლანები კვირეულის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებათ.

მაზრების ჩამოვლა

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობმა საზოგადოებამ გადასწყვიტა გაგზავნოს ინსტრუქტორები რესპუბლიკის მაზრებში თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობის გამოსაკვლევათ.

პირველ რიგში ინსტრუქტორები ჩამოივლიან აღმოსავლეთ-საქართველოს მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს.

უფასო ფრენა

თავდაცვის კვირეულის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა მიმართოს შუამდგომლობით სამხედრო უწყებას გახცეს საჭირო იარაღები, მასალები და სამოქალაქო ორგანიზაციებს მიახმაროს ჯარის ნაწილები ქიმიური თავდასხმების იმიტაციის მოსაწყობათ.

გარდა ამისა გადაწყვეტილია თავდაცვის კვირეულის განმავლობაში მოეწყოს აეროპლანების ფრენა. აეროპლანებით მორიგეობით და უფასოთ იფრენენ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების წევრები.

სამხედრო პროპაგანდის საღამო

შაბათს, 25 ივნისს, საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების საზაფხულო ბაღში გაიმართება სამხედრო პროპაგანდის საღამო. საღამოს აწყობს თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება.

საღამოზე მოეწყობა აეროპლანების მოდელების შეჯიბრი და ჰაეროსტატის გაფრენა. ბაღში მოტანილი იქნება აგრეთვე აეროპლანი, რომელსაც დაათვალიერებენ დამსწრეები. დამსწრეებს ახსნა-განმარტებას მისცემს სამხედრო ავიატორი-ინსტრუქტორი.

საღამოზედ გამართული იქნება ტირი.

საავიაციო კურსების მსმენელთა კრება

24 ივნისს, საღამოს 7 საათზე საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების შენობაში მოწვეულია ავიაციის მატორისტების მოსამზადებელი კურსების მსმენელთა საერთო კრება.

კრებაზე დასმულია სამოტორო საქმის პრაქტიკულათ შესწავლის, სამხედრო ქიმიისა და აეროპლანების ნაწილების შესწავლის საკითხები.

კრებას იწვევს საავიაციო-სატეხნიკო სექცია.

სენაკის მაზრის ინტელიგენციის ხმა

18 ივნისს, სად. 6 საათზე, სენაკის მუშათა კლუბში გაიხსნა ქ. სენაკის ინტელიგენციის და მაზრის რაიონების ინტელიგენციის წარმომადგენელთა საერთო კრება. საინიციატივო ბიუროს სახელით კრება გახსნა პედაგოგიური ტეხნიკუმის გამგემ ამხ. ვ. დუმბრიამ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა:

„დღეს აქ თავს იყრის სენაკის მაზრის ინტელიგენცია; აქ ესწრებიან: ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინერ-ტეხნიკოსები და სხვა კულტურული ძალები. ჩვენი თავშეყრის მიზანია ვისაუბროთ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობაზე. ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა ვსთქვათ თუ ვისთან ვართ და ვიქნებით ყოველ გადამწყვეტ მომენტში. ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ თბილისის და სხვა რაიონების ინტელიგენციას.

მე მწამს, რომ ჩვენ მიერ გამოტანილი დასკვნა იქნება სრულიად გულწრფელი და დღევანდელ მდგომარეობასთან შეფარდებული.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ს. მამულია, ვ. დუმბრია, ექ. გ. ჯორჯიკია, იპ. ჩხეტია და ბ. კიზირია. პრეზიდიუმის არჩევისა და ამხ. ვ. დუმბრიას შესავალი სიტყვის შემდეგ ვრცელი მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე გააკეთა ამხ. ს. მამულიამ. მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: იასონ ჟორდანია, ანტონ ფირცხალავა, გრ. ხუროძე, ბესარიონ კიზირია, იპ. ჩხეტია. ყველა სიტყვებში მონაწილენი აცხადებდნენ:

„ჩვენ, მშრომელ ინტელიგენციას, არ გვინდა დავრჩეთ პოლიტიკის გარეშე, ჩვენ ვართ საბჭ. ხელისუფლებასა და კომპარტიასთან, მასთან ერთად ვეწევით და გავწევთ სოციალისტურ-აღმშენებლობას. ჩვენ ვიცით კაპიტალისტების და კერძოდ საქ. ემიგრანტ მენშევიკების ზრახვები, რომლებიც ცდილობენ საქ. მშრომელთა მოტყუებას და 1924 წ. ამბების გაასკეცებულად გამეორებას. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ომის, მაგრამ თუ ვინმე ხელს შეგვიშლის მშვიდობიან აღმშენებლობაში—საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ დიად ოქტომბრის მონაპოვრებს".

საბოლოო სიტყვაში ამხ. ს. მამულიამ მაზრის ხელისუფლების სახელით გადასცა დავალება ინტელიგენციას—დღევანდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

კრებამ მიიღო ვრცელი რეზოლიუცია, რომელშიაც ის სასტიკ პროტესტს აცხადებს კაპ. ქვეყნების უკანასკნელი გამოსვლების წინააღმდეგ და ფიცს სდებს, რომ მაზრის ინტელიგენცია ყოველ გადამწყვეტ მომენტში ხელისუფლებასა და კომპარტიასთან ერთად იბრძოლებს საბჭ. კავშირის საერთო მტრების წინააღმდეგ.

შ. ბარამია.

წითელ ჯარში

1905 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

შეღავათების გამორკვევა

1905 წელში დაბადებული ახალგაზრდები გაიწვევიან სამხედრო სამსახურის მოსახდელათ წითელი ჯარის რიგებში მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

რათა გაწვევას ჰქონოდა ორგანიზაციული ხასიათი და წითელი ჯარის რიგებში არ მოხვედრილიყვნენ ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ უფლება რაიმე შეღავათზე, ამისათვის სამხედრო უწყება ადრევე შეუდგა სათანადო მუშაობის წარმოებას.

ადგილებზე დაგზავნილ იქნა დებულებები შეღავათების შესახებ. დაიგზავნა აგრეთვე განცხადებების ფორმა, რათა ამით გაადვილებოდა გლეხობას განცხადებების შეტანა.

ქალაქად მცხოვრებნი ვალდებულნი არიან შეიტანონ განცხადება შეღავათების შესახებ. სათანადო სამილიციო რაიონებში, სადაც ასეთები არ მოიპოვება — მილიციის სამმართველოებში საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

სოფლის მცხოვრებთ შეაქვთ განცხადებები სასოფლო საბჭოში.

განცხადებებში სისწორით უნდა იქნეს აღნიშნული ოჯახის ყველა წევრი, მათი წლოვანება, შრომის უნარიანობა და ქონებრივი მდგომარეობა.

განცხადებების შეტანის უკანასკნელ ვადათ დაწესებულია 1 ივლისი, რომლის შემდეგაც განცხადებების მიღება შესწყდება.

მოწაფეების გაწვევა

რესპუბლიკის სასწავლებლების ადმინისტრაციები ვალდებულნი არიან არა უგვიანეს 1 ივლისისა წარმოადგინონ სამხედრო კომისარიატებში იმ მოწაფეთა სიები, რომლებსაც ეხებათ გაწვევა მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

თუ ასეთი სიები არ იქნება წარდგენილი დროზე, მოწაფეებს ჯარში გაწვევის ვადა არ გაუგრძელდებათ.

მუშურ - გლეხურ წითელი არმიის მთავარი სამმართველო განმარტავს მოწაფეთა საყურადღებოთ, რომ ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი და წინა გაწვევის დროს გაუგრძელდათ გაწვევის ვადა 1927 წლის შემოდგომამდე. (და თუ კი ასეთები შევიდნენ მორიგ გაწვევამდე უმაღლეს სასწავლებელში) ისარგებლებენ ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელებით საერთო წესით.

კავშირი კარგი გვაქვს

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი დიდ დახმარებას უწევდა № ქართულ მსროლელ ლეგიონს, რომელიც დაბანაკებულია გორში.

1904 წელში დაბადებულთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ გორის სამაზრო აღმასკომმა გადასცა ლეგიონს 300 მანეთი. მანვე მისცა უფასოდ ლეგიონს ორი ცხენი, ღირებული 2.000 მან.

მატერიალურ დახმარების გარდა, გორის სამაზრო აღმასკომი უწევს ლეგიონს სხვადასხვა დახმარებასაც. ყოველ შაბათობით აღმასკომის თავმჯდომარე და აღმასკომში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგები მოდიან ბანაკში და მართავენ საუბრებს წითელ არმიელებთან სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც აინტერესებენ არმიელებს.

ლეგიონს და სამაზრო აღმასკომს შორის გაბმულია მტკიცე და მეგობრული კავშირი.

გ. ი.

სურებ-ჩოხატაურის გზა

ამხ. ბარონ ბიბინეიშვილის გამოწვევის თანახმად, სურებ - ჩოხატაურის გზის ფონდში შემომაქვს 10 მან. და ვიწვევ თავიანთი ჯამაგირის არანაკლები 10 პროც-ის შემოტანით შემდეგ ამხანაგებს:

ტიტიკო გურგენიძეს (გორის სამაღმასკომიდან), სიმონ მამალაძეს (ს.-კ. პ. (ბ) ც. აგიტპროპიდან), შალვა მგალობლიშვილს (შინ. ვაჭრ. კომისარიატიდან), ალექსანდრე ჭელიძეს (წინანდალის სახ. მამულიდან. აგრონომს), გური კანდელაკს (წინანდალის სახ. მამულიდან აგრონომს), გრიშა ი. გურგენიძეს, ოქროპირ ნ. ეზიეიშვილს, ვალიკო ი. გურგენიძეს, ვანო ნ. ეზიეიშვილს, ვანო რამიშვილს (ს. მ. უ. ს-ან), ტიხონ მამალაძეს, ვალიკო რამიშვილს (კახეთიდან).

ვლასა ვ. ბარამიძე.

ამხ. ქ. ბარამიძის გამოწვევის თანახმად სურებ ჩოხატაურის გზის გასაყვანათ შემაქვს (10) ათი მანეთი და ვიწვევ ათ-ათ მანეთით შემდეგ ამხანაგებს: ალ. კობალაძეს, კ. ბერძენიშვილს, ალ. ლომაძეს, ი. ბერძენიშვილს, გრიშა მგალობლიშვილს, ვ. თენეიშვილს, გ. დოლიძეს, დ. თალაკვაძეს, ეკე კალანდაძეს, მ. ელიაძეს, იონა უშვერიძეს, კ. მამინაშვილს, გ. კალანდაძეს, ნ. გოგუშვილს, პ. კვირკველიას, ხევ. ბერძენიშვილს (ქალაქის აღმასკომი), პროკოფი ღლონტს (ოლქის სასამართლო), ნ. ღლონტს, ავ. კალანდაძეს, ე. მაისურაძეს (საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა), ბ. ჩხარტიშვილს, კ. ებრალიძეს, ლ. ჩხიკვიშვილს (საქართველოს სახკომსაბჭოდან).

დ. კოპლატაძე.

ქრონიკა

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

კოოპერაციის საერთაშორისო დღისთვის სამზადისი უკვე დაიწყო. კოოპერატივებს დაეგზავნა ინსტრუქციები და თეზისები დღის ჩატარების შესახებ, ამ დღისათვის გამოცემული იქნება ბროშიურები: 1) „კოოპერაციის საერთაშორისო დღე", 2) „საუბარი კოოპერაციაზე" და 3) „კოოპერაცია და გლეხის მეურნეობა", ბროშიურები დაურიგდება წევრებს უფასოთ. მზადდება პლაკატები და დიაგრამები. პლაკატები დაურიგდება კოოპერატივებს.

ამავე დღისთვის გამოვა სპეციალური № გაზეთისა „ჩვენი კოოპერაცია", კოოპერაციის დღის ჩამტარებელ კომისიის სხდომა მოხდება დღეს 24 ივნისს.

ცოფის მკურნალობა

გუშინ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შესდგა კომისარიატთან არსებული სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზედაც სხვა საკითხთა შორის განხილული იყო საქართველოში უკანასკნელ ხანებში გახშირებული ცოფის მკურნალობის ახალი საშუალებები.

სხდომამ დაადგინა ცოფის მკურნალობის ახალ საშუალებებთან გაცნობის მიზნით მიავლინოს საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქებში პასტერის ინსტიტუტის დირექტორი ექ. გურგენიძე.

ს. მ. უ. ს. კომისიის გამგზავრება

გუშინ ყაზბეგში გაემგზავრა ს მ. უ. ს. მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია ინჟ. ჯორჯაძის, აგრონომ ყავრიშვილის და ლ. მზარეულიშვილის შემადგენლობით. კომისიას დავალებული აქვს აირჩიოს ადგილი ყაზბეგში რძის ნაწარმოებთა ფაბრიკის ასაგებათ.

აქციზი პარფიუმერიაზე

რამდენიმე ხნის წინად თბილისში მოვიდა ცნობა სპეციალური აქციზის შემოღების შესახებ პარფიუმერიასა და კოსმეტიკაზე.

ამჟამად მიღებულია ცნობა, რომ დაგვიანდება ამ აქციზის შემოღება, ამიტომ ფინინსპექტორებმა უნდა შეაჩერონ საპარფიუმერო-კოსმეტიური საქონლის აღრიცხვა.

აქციზი არ გავრცელდება სანიტარულ - ჰიგიენურ საქონელზე.

ფილოქსერა

მიმდინარე წელს 1 ივლისიდან მიწათმოქმ. სახ. კომისარიატი შეუდგება ფილოქსერის მერ დაზიანებულ ადგილების გამოკვლევას. გამოკვლეული იქნება: კახეთის, რაჭის, ლეჩხუმის, გურიის და სამეგრელოს რაიონები. გამოკვლევა გაგრძელდება 3 თვეს.

გამოკვლევის ჩასატარებლად და ფილოქსერასთან საბრძოლველად გადაიდო 17.140 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **სახლების გეგმების** შესადგინად კომუნალურ განყოფილებამ გადასდო 500 მან.

◆ **დამსახურებულ ექიმ-სპეციალისტების** და საჯილდოებლად ჯანმრთელობის განყოფილებას გადეცა 500 მანეთი.

◆ **გლეხთა სახლი.** თბ. აღმასკომის დადგენილებით, გლეხთა ცენტრალურ სახლს ეპატია კომუნალური დავალიანება.

◆ **კერძო აბანოების რიცხვის გამრავლების** მიზნით. კომუნალურ განყოფილებას დაევალა კერძო აბანოების მეპატრონეებს შეუმციროს წყალზე არსებული ნიხრი.

◆ **სადარაბო სექციის** გამგეთ დაინიშნა მუშა ჯიოევი.

◆ **სახლთა მფლობელობის** ბიუჯეტის გამოსაკვლევად, აღმასკომმა გადასდო 3.000 მანეთი.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

◆ **ახალი ჟურნალი.** მიწსახკომი ამ დღეებში გამოსცემს სასოფლო-სამეურნეო ყოველთვიურ ჟურნალს „სოფლის მცენარეულობა"-ს,

◆ **ბამბის მავნებლები.** თბილისში მიღებულ ცნობებით, ბამბის ნათესებზე ყარაიაზის რაიონში გაჩნდა სხვადასხვა მავნებლები. მიწსახკომმა ყარაიაზში გაგზავნა მავნებლებთან მებრძოლი რაზმები.

განათლების კომისარიატში

◆ **კონფერენცია.** 25 ივნისს 1-ლ საცდელ საჩვენებელ სკოლაში, საღამოს 5 საათზე გაიხსნება რესპუბლიკის შვიდწლედების ბუნების მეტყველების მასწავლებელთა კონფერენცია.

◆ **მასწავლებელთა კურსები.** 25 ივნისს ქუთაისში გაიხსნება სოფლის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები.

შრომის კომისარიატში

◆ **შრომის ინსპექტორი.** თბილისის და დუშეთის მაზრების შრომის ინსპექტორად დაინიშნა ამხ. ამ. დუმბაძე.

◆ **მოჯამაგირეთა გამოკვლევა.** შრომის სახ. კომისარიატი ამ დღებში შეუდგება მოჯამაგირეთა მდგომარეობის გამოკვლევას აღმოსავლეთ საქართველოში.

◆ **სეზონური სამუშაოები.** შრომის კომისარიატმა შეადგინა სეზონურ სამუშაოების სია, რომელიც დაურიგდება ადგილებს

◆ **სახალხო მამულებში** სანიტარულ-ტექნიკურ პირობების გასაუმჯობესებლად, შრომის დაცვის განყოფილებამ სახალხო მამულების ტრესტთან დასდო ახალი კოლხელშეკრულება.

◆ **მენახირეთა შრომის პირობები.** შრომის კომისარიატმა გამოიმუშავა ახალი სავალდებულო დადგენილება მენახირეთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

სხვადასხვა

◆ **სახელგამმა** თელავში გახსნა თავისი განყოფილება.

◆ **მოხსენება.** 24 ივნისს, საღამოს 7 საათზე, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში შესდგება პროფესორ კ. ს. ზავრიევის მოხსენება თემაზე: „**მიწისძვრის გამძლე სახლების აგება**".

◆ **გამოფენა.** თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმის (კამოს ქ., № 70), მოსწავლეთა ნამუშევრის გამოფენა და სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში მუშაობათა დემონსტრაცია გრძელდება 26 ივნისამდე. გამოფენა ღიაა დილის 9—1 საათ. და საღამოს 5—9 საათ. შესვლა უფასოა.

◆ **სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანები.** სააქციონერო საზ-ბა „საქსელმაშმა" მიიღო სასოფლო - სამეურნეო იარაღ - მანქანების დიდი პარტია, რომელიც განაწილებული იქნება ა.-კ. რესპუბლიკებ შორის.

◆ **ძეგლის აგება.** სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა მუშფაკმა დაადგინა აუგოს ძეგლი მუშფაკის ყოფ. ლექტორს ამხ. ახმეტელს.

◆ **მატყლის დამზადება.** სას.-სამ. ბანკის დახმარებით შინამრეწველთა კავშირი წელს გადაამუშავებს 3 ათას ფუთ მატყლს.

რკინისგზაზე

მეწყერი ბაკურიანის ხაზზე

23 ივნისს დილით, ბორჯომ-დაბას შორის მეოთხე კილომეტრზე რკინისგზის ხაზზე ჩამოწვა მეწყერი. მოძრაობა შეწყდა. გზაშია დარჩენილი მატარებელი № 83.

ა.-კ. რკ. გზების შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა

გზათა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ა.-კ. რკინის გზების გამგეობის მიერ წარდგენილი 1927-28 წლის შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა 54.689.000 მანეთის რაოდენობით.

მგზავრების საერთო რიცხვი, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით, განსაზღვრულია 9.540.000 კაცით წელიწადში, ტვირთების საერთო რაოდენობა კი 5.397.000 ტონით.

1926-27 წელთან შედარებით შემოსავალი გადიდებულია დაახლოვებით 15 პროცენტით.

უბედური შემთხვევა

ქ. თბილისის სადგურზე სამანევრო მატარებლის ქვეშ მოჰყვა მეისრე აბულაძე (გორის მაზრის სოფ. კავთისხევის მცხოვრები), რომელსაც მატარებელმა გადასჭრა ფეხი. აბულაძე გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

ამერიკული წესით მოძრაობის შედეგების გამოსარკვევად

გუშინ, სამტრედიაში გაემგზავრენ გზათა გამგეობის წევრი ტექნიკურ დარგიდან ინჟ. გვერდწითელი და მოძრაობისა და წევის დარგის წარმომადგენლები. კომისიის მიზანია შესწავლა იმ შედეგებისა, რომელიც მიღებულია მოძრაობის ამერიკულ წესზე გადაყვანით.

ახალი ჩიხი

ა.-კ. რკ. გზის გამგეობამ მოაწყო ახალი ჩიხი გელათ-ხრესილს შორის, მე-24 კილომეტრზე.

ბარიტის მადნები

კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ სამთო განყოფილების უფროსი ამხ. კანდელაკი, ქუთაისის მაზრის სამთო ტრესტის გამგე ამხ. გოგოლაშვილი და ინჟ. სახელაშვილი, მოახდინა ბარიტის ბუდობების გამოკვლევა ლეჩხუმის მაზრაში. გამოკვლევის მიზანი იყო ბარიტის ბუდობის ექსპლოატაციის გაუმჯობესება და იმის გამორკვევა, შესაძლებელია თუ არა ბარიტის მსხვილი ნაჭრების მოპოება. მადნების გამოკვლევას დადებითი შედეგები მოჰყვა.

კომისიამ დაათვალიერა აგრეთვე ბარიტის ბუდობი ოსეთის სამხედრო გზა-რკინცილზე, სადაც აღმოჩენილ იქნა საუკეთესო ღირსების ბარიტი.

კომისია აღნიშნავს, რომ სოფ. ბოკერვანისა და გუგუნესის (ლეჩხუმის მაზრა) ბარიტის ბუდობებში, რომელიც წყლით იყო დაფარული და სადაც წყლის ამოსაქაჩავად დაგმული იყო დიდი სიმძლავრის საქაჩავები, ბარიტის ამოღებამ ყოველდღიურად იმატა 200-დან 500 ფუთამდე.

სარწყავი არხები

აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ ქედის მაზრაში დაამთავრა მუშაობა საწიხალი სარწყავი არხის გასაყვანად. ახლად დამთავრებული არხები რწყავენ 600 დესეტინა მიწას, რომელიც დღემდე სავსებით გამოუყენებელი იყო.

არხებში წყალი გაშვებულია და ამჟამად უკვე ირწყვება ველები, რომელიც დანაწილებულია ლატაკ და მცირე მიწის მქონე გლეხებს შორის. ამ ახლად მორწყული მიწის ნიადაგი გამოსადეგია მაღალი კულტურებისთვის. ამავე რაიონში დაიწყო გაყვანა მე-4 არხისა, რომლის სიგრძე 8 ვერსს აღწევს.

ამერიკელი ჟურნალისტი

თბილისში

გუშინწინ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. ჯუღელმა მიიღო ამჟამად თბილისში მყოფი ამერიკელი ჟურნალისტი, ეგრეთ წოდებულ „სამოქალაქო თავისუფლების კავშირის" დირექტორი და „ფედერეტედ პრესს"-ის წარმომადგენელი როჯე ბალდვინი, რომელსაც საათნახევარის განმავლობაში საუბარი ჰქონდა ამხ. **ჯუღელთან.**

სასახლიდან ბალდვინი გაემგზავრა მეტეხის გამასწორებელ სახლში, სადაც ორი საათის განმავლობაში ათვალიერებდა კამერებს, სამკითხველოს, თეატრს, სკოლას, სახელოსნოებს და სხვა განყოფილებებს.

გამასწორებელ სახლში ბალდვინმა დასტოვა წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს: „**მე, როგორც უპარტიო კაცმა, რომელიც დაინტერესებული არ არის საბჭოთა ხელისუფლების ქებაში, რომელიც ამერიკის 3 ციხეში იჯდა და რომელსაც უნახავს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების 12 მეტი ციხე, უნდა აღვნიშნო, რომ მე არსად არ მინახავს პატიმართა ისეთი თავისუფლება და ადმინისტრაციის ისეთი ჰუმანიური მოპყრობა მათდამი, როგორც მეტეხის გამასწორებელ სახლში. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მოსახდელი მაქვს 6 თვის ციხე და ჩემი სურვილი იქნებოდა ეს 6 თვე გამეტარებია მეტეხის გამასწორებელ სახლში**".

შემდეგ როჯე ბალდვინი ესტუმრა ახალგაზელებს, და საუბარი ჰქონდა ამხ. **ძამანაშვილთან, ხელაძესთან** და სხვებთან.

გუშინ დილით ბალდვინი საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა მოსკოვში.

გამგზავრების წინ ბალდვინმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ამერიკის საზოგადოება საქართველოს იცნობს მხოლოდ იმ ინფორმაციებიდან, რომლებსაც ავრცელებენ ემიგრანტები. **საქართველოდან დაბრუნებისას, სადაც მე ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი, მე კატეგორიულად განვაცხადებ, რომ ემიგრანტების მიერ გავრცელებული ცნობები ყალბია. ჩემს ამოცანაში შედის, ეხლა სრულად და მიუდგომლად გავაშუქო ყველაფერი, რაც მე აქ ვნახე**".

ნათესების მდგომარეობა

15 ივნისისათვის

ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, საზაფხულო პერიოდის დაწყებისთანავე საქართველოს ყველა რაიონებში თბილი ამინდი დადგა.

ნათესების მდგომარეობა 15 ივნისისათვის შემდეგ სურათს იძლევა: შემოდგომის ხორბალი—2,9 ნიშანი, შემოდგომის ქერი—3,0, გაზაფხულის ხორბალი—2,8, გაზაფხულის ქერი—2,7, სიმინდი—3,2 და მთავარი პურეული—3,0. წინა დროსთან შედარებით (1-ლი ივნისი) გაუარესება ეტყობა შემოდგომის ხორბალს 0,2 ნიშანით, შემოდგომის ქერს—0,3 ნიშანით და გაზაფხულის ქერს—0,1 ნიშანით; ამასთანავე შემჩნეულია სიმინდის გაუმჯობესება 0,3 ნიშანით.

გასულ წელთან შედარებით პურეულის მდგომარეობა გაუარესდა 0,6—1,0 ნიშანით, სიმინდის მდგომარეობა კი გაუარესდა 0,2 ნიშანით.

ბამბის ნათესების მდგომარეობა ცალკე მაზრებში ასეთია: ბორჩალოს მაზრაში—3,0, სიღნაღის მაზრაში—4,0 და აფხაზეთში—2,0.

ვენახების და ხეხილის ბაღების მდგომარეობა ასეთია: ვენახების—3,4 და ხე-ხეხილის ბაღების—3,0.

საერთოდ, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობა მიმდინარე წლის 15 ივნისისათვის შეიძლება დახასიათებული იქნეს, როგორც საშუალო.

საირიგაციო მუშაობა

ზემო აჭარაში

ამჟამად აჭარისტანის საწყლო ოლქის ინჟინრების ხელმძღვანელობით ზემო აჭარაში სწარმოებს შემდეგი საირიგაციო მუშაობა: სოფელ დიდ აჭარაში გაჰყავთ სარწყავი არხი—სიგრძით 8 კილომეტრი, სოფელ ოქრო-ფილაურში—სწარმოებს მუშაობა 42 კილომეტრიანი სარწყავი არხის გასაყვანად. სარწყავი არხი გაჰყავთ აგრეთვე 12 კილომეტრის სიგრძეზე სოფელ ახალ-დაბაში.

არხების გაყვანა სწარმოებს ადგილობრივი საშუალებებით; ხელოვნურ ნაგებობათა შენებას კი კისრულობს მთავრობა. მიმდინარე წელს სარწყავი არხების და წყალსადენების გაყვანა განზრახულია შემდეგ ადგილებში: ღორჯომის, რიკეთის, ხულოს, ჩვანის, ყარადირეს და უჩამპინის თემებში. ამ თემებში გასაყვანა სარწყავი არხების საერთო სიგრძე უდრის 200 კილომეტრს, ხოლო წყალსადენების—16 კილომეტრს. არხების და წყალსადენების გასაყვანად გამოთხოვილია თანხები, რომელის მიღებისთანავე ყველა ზემოხსენებულ ადგილებში დაიწყება არხების და წყალსადენების გასაყვანი მოშაობა. მუშაობაში საერთო ბეგარის წესით უსასყიდლოთ მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ადგილობრივი გლეხობა.

ნარინჯოვანი მცენარეები

საქ. საგეგმო კომისიის დასკვნით, დასავლეთ საქართველოში დიდი მომავალი აქვს ნარინჯოვანი მცენარეების გაშენების საქმეს. ნარინჯოვანი მცენარეები განსაკუთრებით ხარობენ შავი ზღვის ნაპირებზე. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა ხსენებულ მცენარეთა ფართოდ გაშენებას შავი ზღვის სანაპიროებთან მდებარე სახალხო მამულებში და კერძო გლეხურ მეურნეობებში.

რათა გლეხებს საშუალება მიეცეთ თავის დროზე და შეღავათიან პირობებში შეიძინონ ნარინჯოვან მცენარეთა ნერგები, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ადგილობრივ აგრონომიულ ორგანიზაციების საშუალებით შეუდგა ნერგების გაშენებას. ნერგები შენდება ყველა საჩვენებელ ნაკვეთებზე. მარტო აჭარისტანის საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთებზე წელს დამზადებული იქნება 100.000 მეტი მანდარინის და სხვა ნარინჯოვან მცენარეთა ნერგები.

სასამართლო

ერთ აბანოდან მეორე „აბანო"

თბილისის გარნიზონის აბანოს ჰყავდა გამგე **იაკობ ბადროვი,** გამგის თანაშემწე **არმენაკ ქუმოვი** და მოლარე **გარეგინ ადამოვი.**

ხშირად სალაროდან იწყება სასამართლოსათვის საინტერესო ამბავი და ჩვენც აქედან ვიწყებთ.

სალაროს დააკლდა ფული. ეს მოლარემ აცნობა თანაშემწეს, თანაშემწემ აცნობა გამგეს, გამგემ კი — არავის.

შეიყარნენ ერთად გამგე, თანაშემწე, და მოლარე. გამართეს ბჭობა. გასარჩევი იყო დიდმნიშვნელოვანი საკითხი: როგორ დაეფარათ დაფლანგული თანხა. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „სამხედრო აბანოს ქალთა განყოფილებაში დაშვებულ იქნენ კერძო მოქალაქენი, ორი შაურის მაგიერ შესასვლელ ბილეთისათვის დააწესეს ხუთი შაური".

რეზოლუცია მყისვე გატარდა ცხოვრებაში. შემოსავალმა იმატა დღეში 6 მანეთით. ამ მანეთიდან ერთი მანეთი მიდიოდა „დაზარალებულ" სალაროს ფონდში, დანარჩენს იყოფდნენ ძმურად.

სალაროს მაინც არაფერი ეშველა. დანაკლისის შევსება არ მოხერხდა „ანარიცხებით", რადგან სალაროს ევალებოდა ამ მანეთიან „ანარიცხების" ანგარიშში იმ გაუთვალისწინებელ ხარჯების დაფარვა, რომელიც საჭიროა ამ სამეგობრისათვის რესტორანებში საქეიფოდ.

კვლავ შეიყარნენ გამგე, თანაშემწე და მოლარე. ჰქონდათ ბჭობა და დაადგინეს: „შემოღებულ იქნეს ბილეთების გაყიდვის ახალი წესი, რომელიც გაამარტივებს საქმის წარმოებას. ხელდობრ, გაყიდულ ბილეთების საფასურის ერთი ნაწილი არ გატარდეს წიგნებში, არამედ უშუალოდ იქნეს განაწილებული „დაინტერესებულ მხარეებს" შორის".

დადგენილება მყისვე ცხოვრებაში გატარდა. დღეში უკვე 20 მანეთით იმატა შემოსავალმა. სალაროს მაინც არაფერი ეშველა. სულ უფრო ჰქრებოდა და ღრმებოდა.

შეიყარნენ გამგე, თანაშემწე და მოლარე. ჰქონდათ ბჭობა.. მიიღეს დადგენილება: „[illegible] მთლიანი საპონი თუ დღემდე 12 ნაჭრად იყოფოდა და ისე ურიგდებოდა წითელარმიელებს, ამიერიდან მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით საპონი დაჭრილ იქნეს 18—20 ნაჭრად და ისე დარიგდეს. ამასთანავე ნაყიდი საპონის წონა გამრავლებულ იქნეს ორზე და ისე იქნეს შეტანილი ანგარიშში, მაგალითად ნაყიდი 12 ფუთი საპონი წიგნში დაიწეროს 24 ფუთად".

თანაშემწე და მოლარე მოიხსნა საპატიო [illegible]რაულიდან. მოდის ახალი მოლარე ოგანეზ ოგანეზოვი.

შეიყარნენ გამგე ბადროვი და მოლარე ოგანეზოვი. ჰქონდათ ბჭობა.. დაადგინეს: „საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ მოსახლეობის ფართო მასები, აბანოს კარები ფართოდ გაიღოს ყველა მოქალაქეებისათვის".

შემოსავალმა იმატა. სალარო კი მაინც სულს ღაფავს..

გაგრძელება გადატანილია აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში, სადაც იგი ამ დღეებში გაირჩევა.

ზურ.

ს. მგალობლიშვილის საქმე

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყება მოქ. **სევერიან მგალობლიშვილის** საქმის გარჩევა.

ს. მგალობლიშვილი მსახურობდა მოლარის თანამდებობაზე საქ. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის და წითელი ჯვრის მიერ იჯარით გაცემულ „კაზინო"-ში.

გასული წლის ზაფხულზე მოქ. მგალობლიშვილმა აიღო შვებულება და გაემგზავრა დასასვენებლად. მისი შვებულებაში წასვლის შემდეგ კაზინოს სალაროში აღმოჩნდა დანაკლისი 200 მანეთი, რომელიც გაეფლანგა მგალობლიშვილს. მგალობლიშვილი დაგვიანებით დაბრუნდა შვებულებიდან.

კაზინოს ადმინისტრაციამ წინადადება მისცა მას დაეფარა გაფლანგული თანხა. მგალობლიშვილს, როგორც არა საიმედო პირს, უარი უთხრეს სამსახურში დაბრუნებაზე, გაუსწორეს ანგარიში და მასზე დარჩა მითვისებულ ფულიდან 104 მანეთი.

სამი თვის შემდეგ მგალობლიშვილმა შეიტანა საჩივარი სასამართლოში, რომ ის უმიზეზოდ იქნა დათხოვნილი სამსახურიდან. მან მოითხოვა სამსახურში აღდგენა და „კაზინო"-საგან 1000 მანეთის გადახდევინება მის სასარგებლოდ გაცდენილ დროს ხელფასის სახით.

განაჩენი მოწაფის დაჭრის საქმეზე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი მე-3-ე შრომის სკოლის მოწაფის ფრიდონ ჟორჟოლიანის საქმეზე. უკანასკნელმა [illegible], როგორც ვსწერდით, დანით დასჭრა [illegible] თავისი ამხანაგი დადიანი.

სასამართლომ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ უკანასკნელ დროს მოწაფეებს და მცირეწლოვანებს შორის ხშირად აქვს ადგილი სისხლის სამართლის ხასიათის ბოროტმოქმედებას [illegible] და ბრალდებულ ფრიდონ ჟორჟოლიანს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. [illegible] საპატიო [illegible] დადებულს, როგორც მცირეწლოვანს, ([illegible] წლისაა) სასჯელი გაუნახევრდა და ჩაეთვალა წინასწარი პატიმრობა.

შემთხვევები

ქურდების არტელის აღმოჩენა

ამ რამოდენიმე დღის წინად სისხლის სამართლის მილიციამ საბურთალოზე დააპატიმრა [illegible] მოქალაქე, რომლებიც შემჩნეული იყვნენ ცხენების ქურდობაში. სისხლის სამართლის მიერ წარმოებულმა გამოძიებამ აღმოაჩინა შემდეგი: ვარდო ბაცაცაშვილს, მიხეილ ჯალიაშვილს და [illegible]ვას. გოგინაშვილს შეუკრავთ ამხანაგობა ცხენების საქურდლათ. მათ მართლაც მოუპარავთ სხვადასხვა დროს 5 ცხენი.

შემდეგმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ 2 ცხენი ბოროტმოქმედებს მოუპარავთ მანგლისში მოქ. პავლოვისათვის და 3 ცხენი კი ბაკურიანის მახლობლათ გლეხებისათვის. ორი ცხენის პატრონი აღმოჩენილია და თვით ცხენებიც იპოვეს.

ბავშვის გასრესა

გუშინ, ნაშუადღევის 4 სათზე მე-14 მარშრუტის ტრამვაის ვაგონმა, რომელსაც მართავდა ვატმანი ივანე ავთანდილოვი გასრისა სპირდონ კობეჯიშვილის 3 წლის ბავში.

თავის მოწამლვა

გუშინ, საღამოს 5 საათზე თავი მოიწამლა 18 წლის ლიუბა სიმონის ასულ რაშკინმა.

მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა. დაზარალებული გადააგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

◆ **კაცის დაკარგვა.** 19 ივნისს ნაშუადღევის 5 საათზე სახლიდან გავიდა და დღემდის აღარ დაბრუნებულა 16 წლის **მიშა პეტრესძე ბერიძე,** მცხოვრები მეათე სამილიციო უბანში—ფეიერვერკის ქ., № 29: თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ—გთხოვთ გვაცნობოთ ზემოდაღნიშნულ მისამართით.

◆ **თავის მოწამვლა.** 22 ივნისს, მარიამ სერგის ასულ ბაუმმა (ვერის დაღმართი № 15), რომანიულ ნიადაგზე მოიწამლა თავი.

◆ **კარების შემტვრევის** საშუალებით, მირზოევის ქ., № 1, გაქურდეს ერვანდ გრიგოროვის ბინა. წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

◆ **ქურდი ქალი.** 22 ივნისს მაგისტრალის ქ., № 8, მოქ. სკროპკინის ბინის გაქურდვისათვის დააპატიმრეს პარასკევა ბერეჟნევა.

◆ **ქურდობა.** 22 ივნისს პარკოვის ქ., № 23, გაქურდეს ანა თევზაძის ბინა.

◆ **სოფ. ასურეთში** ქურდობისათვის დააპატიმრეს ნიკიფორე ბალანდინი, სპირდონ კალიტაევი, ალექსანდრე ბატურინი და იაგორ კანაშაროვი.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავენი.** 22 ივნისს, ქურდობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი გრიგოლ სიდოროვი და ვასილ ვასილიევ-დიმიტრიევი.

◆ **ჯიბგირობისათვის** 22 ივნისს შეიპყრეს ევგენი სოლომონისძე ჯაფარიძე.

◆ ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს ლევან საბასძე მოძღვრიშვილი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით იოსელიანის ქ. 2 გაქურდეს გრიგოლ ვართანოვის ბინა.

◆ **ტრამვაის რონოდაში** ვერის დაღმართზე მოქ. იოვეს ჯიბიდან ამოაცალეს 250 მანეთი.

◆ **ფანჯრის გატეხის** საშუალებით 19 ივნისს გაქურდეს იოსებ ხითაროვის ღვინის სარდაფი.

◆ ამავე დღეს კრილოვის ქ. № 40 გაქურდეს ა. ცინცაძის ბინა.

— ამავე დღეს ფოთის ქ. № 40 გაქურდეს [illegible] შავერდოვის ბინა. წაიღეს 120 მ. ნივთები.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 24 ივნისი

დღეს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი და პიონერების გამოსვლა რუსულ და ქართულ ენებზე (7—7-20).

მუშათა გაზეთი — რუსულ ენაზე (7-20—7-40).

[illegible]ცილებელია დღეების დაცვა — ლექცია რუსულ ენაზე (7-40—8).

ტექნიკური კონსულტაცია (8—8-20).

ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8-20—8-40).

კონცერტი ან და ტრანსლიაცია (8-40—11).

ხელოვნება

ანდრეი ბელის ლექციები

სამშაბათს, 28 ივნისს მწერალი ანდრეი ბელი კონსერვატორიის დარბაზში წაიკითხავს პირველ ლექციას შემდეგ თემაზე: „მწერალი და მკითხველი", ხოლო 30 ივნისს წაიკითხავს მეორე ლექციას: „ალექსანდრე ბლოკ.—პიროვნება და პოეზია".

საღამო უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ

ცაკთან არსებული უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისია თავისი ფონდის გასაძლიერებლად შაბათს, 25 ივნისს, „არტო"-ში მართავს დიდ სეირნობას. საღამო-სეირნობაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საუკეთესო არტისტიული ძალები.

◆ **ბარბალე ლა-მარის** მონაწილეობით კინო „მინიონში" დაიწყო ახალი სურათის „ქალის ძალა"-ს ჩვენება.

◆ **პროფ. მოსე თოიძის სამხატვრო** სტუდიას დახმარების სახით მიეცა 500 მანეთი.

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

გუშინ მოსკოვის „დინამო"-სთან თამაშობდა არსენალის რაიონის გუნდში („არსრაიონი") შეჯიბრს სჯიდა მოსკოვის მსაჯთა კოლეგიის წევრი ამხ. **სავოსტიანოვი.**

სტუმრებმა ამ შეჯიბრში ოთხი სათადარიგო მოთამაშე გამოიყვანეს. ეს დაეტყო მათ თამაშს. არ იყო ისეთი მოფიქრებული კომბინაციები, როგორიც ჩვენ სამშაბათს ვნახეთ.

თამაში იწყება არსაიონელების შეტევით, მაგრამ რამოდენიმე წუთის შემდეგ ინიციატივა სტუმრების ხელში გადადის. ისინი ხშირად უახლოვდებიან არსრაიონის კარებს და ერთ-ერთ ასეთ მომენტში მათ ცენტრ-ფორვარდს, რომელიც არსრაიონის ბეკის დაუდევრობის გამო ძალიან ახლო მიდის თბილისის კარებთან, ნელი დარტყმით გააქვს პირველი ბურთი.

არსრაიონი არ იმჩნევს პირველ მარცხს. ახალგაზრდა მოთამაშეები მძლავრად შეუტევენ მოსკოველ სტუმრებს და რამოდენიმე ხნის შემდეგ ახერხებენ ანგარიშის გაქვითებას.

თამაშის შემდეგ პროცესში გუნდები ვერ აღწევენ შედეგს და პირველი ტაიმი თავდება 1:1.

თამაშის მეორე განყოფილებაში თბილისელები კიდევ უფრო ანვითარებენ შეტევას და თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში ავიწროებენ „მოწინააღმდეგეს". მოსკოველებიც დროგამოშვებით ახერხებენ მათი ფრონტის გარღვევას და კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებენ მათ კარებს.

ტაიმის ბოლომდი გუნდებმა შესძლეს ორორი ბურთის გატანა და შეჯიბრი გათავდა 3:3.

არსრაიონის მცველებიდან და ნახევრად მცველებიდან ყველა ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. აღსანიშნავია მხოლოდ **ან. გონელის** მეტად მოხდენილი თამაში.

ვ—ნი.

ველოსიპედისტების კრება

შაბათს, 25 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ფიზკულტურის საბჭოს ველოდრომზე (პლეხანოვის პრ.) მოწვეულია თბილისის ყველა ველოსიპედისტების კრება.

დღის წესრიგში სდგას ველო-საზოგადოების დაარსების საკითხი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 52

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წ. ივლისის 20-ს დამტკიცებული საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების მე-8 მუხ. 17 მუხ., მე-2 ნაწ., მე-40, მე 41 და 50 მუხ. შეიცვალოს შემდეგნაირად:

8. საბჭოთა სამაზრო ყრილობის ყველა დადგენილება და ოქმი სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გაუგზავნოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

17. ნაწ. მე-2. სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა ყველა თავისი დადგენილებისა და ოქმის ასლი უნდა წარუდგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, რომელსაც უდგენს აგრეთვე ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ.

40. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და ინსპექციების სათავეში სდგანან განყოფილებათა გამგეები და ინსპექტორები, რომელთაც აირჩევს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი. საორგანიზაციო განყოფილების გამგე არჩეულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით.

სახ. კომისარიატებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილების გამგისა, ან სათანადო ინსპექტორის ჩამოცილება. უკეთუ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ამის თანახმა არ იქნება, საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

მუხ. 41. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თვითეული განყოფილება თავის გამგებლობის ფარგლებში განახორციელებს საბჭოთა მმართველობისა და მეურნეობის ცალკე დარგის მიზნებსა და ღონისძიებებს, რაც ჩამოთვლილია ამა დებულების 19—32 მუხლებში, და ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ წარუდგენს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმსა და სათანადო სახალხო კომისარიატს; ხოლო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება ანგარიშს წარუდგენს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და მათთან არსებულ დაწესებულებათა (მუხ. 39) მოქმედების ფარგლები განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნულ განსაკუთრებულ დებულებას შეიმუშავებს სათანადო სახალხო კომისარიატი და სხვა ცენტრალური ორგანო—კუთვნილებისამებრ— ამა დებულების საფუძველზე, ხოლო დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

მუხ. 50. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და ინსპექციების გაუქმება, ან შეერთება, აგრეთვე ახალი განყოფილების და ინსპექციის დაარსება შეიძლება მოხდეს, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობით და სათანადო სახალხო კომისარიატის თანხმობით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წლის ივნისის 1. ქ. თბილისი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრს (წიგნ. № 17068) კოსტა შახნაზაროვს

პასუხი

ბინის ქირას, როგორც სარდაფში მცხოვრები (თუ კი იატაკის დონე მიწის დონესთან შედარებით ნახევარ მეტრზე დაბლა მდებარეობს) თითეულ კვად. მეტრზე გადაიხდით თქვენი ხელფასის (65 მან.) მიხედვით არა უმეტეს ცხრა კაპეიკ. (9 კაპ.)

ანდერძის წერილის შესახებ

ქალ. სამტრედიის მცხ. თეიმურაზ დო-ნაძეს

პასუხი

თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 424-ისა, ახალი რედაქციის (საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 20 მაისის დადგენილება № 48 გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს № 128-1873-ში 1927 წ. 8 ივნისიდან),—ანდერძის წერილი აუცილებლად ხელმოწერილი უნდა იქნეს მოანდერძის მიერ ანდა საპატიო მიზეზების გამო მისი თხოვნით სხვა პირის მიერ და ბათილობის რიდით უნდა წარედგინოს დასამოწმებლად სახალხო ნოტარიუს, ან სახალხო სასამართლოს, ანდა ადგილობრივ აღმასკომს.

წითელ არმიიდან დათხოვნილების სამუშაოზე მიღების წესის შესახებ

სოფ. [illegible] ([illegible] მაზრა) მცხ. კ. ფაცაციას

პასუხი

თანახმად [illegible] სახკომატის 1926 წ. 29 იანვრის დადგენილება № 22—101-ისა, აღნიშნული პირები სამუშაოზე გაგზავნის და მიღების ყველა შემთხვევაში გათანასწორებული არიან პროფესიონალურ კავშირების წევრებთან. დამქირავებელი ველარ მოსთხოვს მათ პროფესიულ მომზადებას და კვალიფიკაციას საგუშაგო ან და დაცვის სამსახურზე მიღების ან შავ მუშად დაქირავების დროს ყველა წამოწყება-დაწესებულებებში დანარჩენ შემთხვევებში (ე. ი. სხვა სამუშაოებზე) საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად გამოდგება დემობილიზაციაქმნილი მისთვის მწოდებულ სამუშაოსათვის წყდება შრომის სახკომატის ადგილობრივ ორგანოების მიერ. (იხ. იქავე მუხ.. 4).

ეს წესები, ამხანაგო, უნდა იცოდეს მტკიცედ ყველა დემობილიზაციაქმნილმა ამხანაგმა, რომ არც თვითონ შეწუხდეს და არც სხვა შეაწუხოს უკანონო მოთხოვნით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია** სთხოვს შალვა ნიკურაძეს გამოცხადდეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ., 24, მესამე სართული, ოთახი № 12), 25 ივნისს დილის 8 საათზე.

— ს. კ. პ. (ბ) **ქუთაისის სამაზრო კომიტეტში** შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიაში მიღების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათი პარტიაში მიღებაზე — გთხოვთ აცნობოთ სამპარტკომს.

კაკაურიძე ბაბილინა სევერიანეს ასული, ავალიანი კატო მიხეილის ასული, კვესაძე ვერა იოსების ასული, ცეცხლაძისა სოფიო ანტონის ასული, გვენეტაძის ივლიტა ანდრიას ასული, ბუბაშვილისა ანასტასია ნიკოლოზის ასული. ქარქაშაძისა ალექსანდრა მეთოდეს ასული ქარქაშაძისა ბაბო ამბაკოს ასული, ჭეიშვილი ლუბა გერასიმეს ასული, ქარქაშაძე ოლღა ლავრენტის ასული, მიგინეიშვილი ნინა ნოეს ასული, დუნდუა ელენა ირაკლის ასული, გეწაძე ალექსანდრა სარდიონის ასული, ცირეკიძე ალისა მიხეილის ასული.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 2 დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **გოგოლაძესთან** პარტდოკუმენტების მისაღებათ.

1) სათენიკ გაბრიელის ასული ეგიაზაროვა 2) სირანუშ მიხეილის ას. მურადოვა, 3) მიხეილ მარკარის ძე დანჩენკო, 4) ბაგრატ გაბრიელის ძე კაკოევი, 5) მიხეილ იოსების ძე პროკოპ, 6) აზივ ავეტის ძე ისრაელიანი, 7) ვასილ პარსის ძე კუძიევი, 8) ვლადიმერ ალექსის ძე მაჭარაძე 9) სედრაკ სტეფანის ძე მინასიანი. 10) ეკატერინე გრიგოლის ას. კოსტიუკოვა, 11) არტაშეს ნარკარის ძე კაზაროვი, 12) აგაფონ ივანეს ძე მეჩიტოვი. 13) ალექსანდრე ბაგრატის ძე მარკარიანი, 14) ივანე აბრამის ძე ვასილიევი, 15) ივანე მინასის ძე სეტიანცი, 16) ალექსანდრე გიორგის ძე პაპუკიანცი, 17) ბარბალე კონსტანტინეს ას. ჯავადოვა, 18) დიანოს არსენის ძე კუსრიაევი, 19) სტეფანე დიმიტრის ძე ბეხტინი, 20) ნიკოლოზ პეტრეს ძე დავლიანიძე, 21) ილია სუზანის ძე სუპრუნოვი, 22) ვაგან მელიკის ძე აპრესიანი, 23) ვარდუნ სერგეის ძე ტატიანცი, 24) პავლე ივანეს ძე კობოლაძე, 25) არტაშეს არშაკის ძე დარბინიანი, 26) გაბრიელ ნიკოლოზის ძე უსოვი, 27) პეტროს არუთიუნის ძე არზუმანოვი, 28) ისაკ სამუელის ძე შმულევიჩი, 29) იგნატე გიორგის ძე თედეევი, 30) მარგარიტა გრიგოლის ას. ავეტისოვა, 31) ივანე თედორეს ძე ზაუტაშვილი, 32) ილია დარისპანის ძე გელაშვილი, 33) ნიკოლოზ კონდრატის ძე ბელი, 34) ლავრენტი ფილიპეს ძე უნაპკიშვილი, 35) მარიამ ექვთიმეს ას. ჯავადოვა, 36) გრიგოლ ავასის ძე აიგინოვი, 37) ვასილ ანდრიას ძე ტერეშკინი, 38) ოლღა ალექსანდრეს ას. არჯევანიძე, 39) ელენე ალექსანდრეს ას. კვირიკაშვილი, 40) მელიკ მელკონის ძე პეტროსიანი, 41) სტეფანე გიორგის ძე ტატულოვი, 42) არშენაკ ნერსესის ძე ავეტიკოვი, 43) რაჟდენ პავლეს ძე ლოხოვი, 44) პარუ არუთიუნის ძე მანუკიანი, 45) ალიკო ალმასხანის ძე ენუქიძე, 46) ფილიმონ ფარსადანის ძე ჭელიძე, 47) მარიამ ვასილის ას. სალორინა, 48) ალექსანდრე გიორგის ძე ოთარიკაშვილი, 49) ელენე თედორეს ას. შტორძანი. 50) ნიკოლოზ სიმონის ძე სალიმანოვი, 51) არამ კაზარის ძე შაგოიანი, 52) ილია ალექსანდრეს ძე ხანდამოვი, 53) ბარბალე გიორგის ას. სააკოვა, 54) ანასტასია ზაქარიას ას. გილაური, 55) სპირიდონ ვასილის ძე ვალიევი, 56) შმაილოვი პირი, 57) ანდრანიკ არუთინის ძე ოგახეზოვი. 58) აპოლონ გიორგის ძე გორგასლიძე, 59) ტატე ზურაბის ძე გუჩმაზაშვილი, 60) ფარნაზემ რომანის ძე მანუკიანი, 61) იოსებ ივანეს ძე ბურდული, 62) ვასილ ნიკოლოზის ძე ალიხბეგაშვილი, 63) გიორგი ნიკოლოზის ძე მესხიძე, 64) გიორგი მიხეილის ძე მანგოშვილი.

ღრმის მწუხარებაში მყოფი: მეუღლე მარგალიტა ნიკოლოზის ასული, შვილები: არეთა, ნიფა, კოწია და შალვა, რძალი ელენა, სიძე ვლადიმერი მაჭარაძე, შვილიშვილები: ნუცა, ოთარი, ნანი, გივი და თენგიზი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

კონსტანტინე ბეჟანის-ძე
ქუთათელაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში, ივან-დიდის სასაფლაოზე, 26 ივნისს, კვირას, შუადღის 4 საათზე. 3120

დამწუხრებულნი ალექსანდრე გიორგის-ძე ქუთათელაძე შვილებით, რძლებით და სიძეებით, ნინუცა, მარო, კაკო და ილიკო ქუთათელაძეები, და მაშიკო პავლეს ასული ქმრით იოსები ნაუბათოვით—აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ დაუვიწყარის—პირველის ბიძაშვილის და დანარჩენთა ბიძის

კონსტანტინე ბეჟანის-ძე
ქუთათელაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში, კვირას 26 ივნისს, შუადღის 4 საათზე ივან-დიდის სასაფლაოზე. ნ. 1359

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი დარია ივანეს ასული შვილები: თამარა ქმრით ანდრია კობიაშვილით და შვილებით, ანასტასია ქმრით სერგო ხინტკირიათი და შვილებით, ვლადიმერი, მიხეილი ცოლით და ქალიშვილით, მარიამი და ქეთევანა ქმრით რეზო კორინთელით და დები ეკატერინა და ალექსანდრა შვილებით ამით აუწყებენ, ნათესავთ-ნაცნობთ და მეგობართ, ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პეტრე ვლადიმერის-ძე
ვაშაკლევიჩი

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 24 ივნისს, კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება გარდაცვლილის ბინიდან—ბრძოლის ქუჩა (ყ. ელისაბედის) № 167, სრულ 3 საათზე. 3132

მალე საზაფხულო კინო-თეატრებში

„დარბაზი" (პირველხარისხოვანი საზაფხულო კინო ბაღში პლეხან. № 91) — „ეთერი" (სახელმწ. ოპერის ბაღში) — „აპოლო" (არტოს ბაღში)

მხატვრული შედევრი

„მოხეტიალე ვარსკვლავები"

შოლომ ალეიხემის ცნობილი რომანის მიხედვით

შემძრწუნებელი ეპიზოდი ებრაელთა ცხოვრებიდან მეფის რეჟიმის დროს, ი. ბაბელის სცენარის მიხედვით. თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს!!!

ნ. 1360

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

პირველად თბილისში! სეზონის საუკეთესო სურათი

„ბანდიტი ქალი" მთავარ როლში მილტონ სილსი

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

მერი პიკფორდი მხატვრულ შედევრში

„საპნის ქაფი"

სიმებიანი ორკესტრი გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით

ბაღში სიმშვიდეა და სიგრილე

აპოლო (არტოს ბაღში).

კონრად ვეიდტი და შიუნტცელი

მხატვრულ შედევრში

„გრაფი კალიოსტრო"

იშვიათი ანსამბლი, უაღრესად საინტერესო სიუჟეტი.

ვინც კინოში შესასვლელ ბილეთს იყიდის, ბაღში შესასვლელი ბილეთი აღარ სჭირდება.

0—19 ნ. 1289

[illegible]: მალე უკრაინის საუკეთესო სამხატვრო სურათი „მოხეტიალე ვარსკვლავები" შოლომ ალეიხემის რომანის მიხედვით.

კურორტ ბახმაროზე

დაარსდა გურიის მომხმარებელთა კოოპერატიული ამხ-ობა

„ბახმარო"

რომელიც მიაწვდის მოაგარაკეებს ყოველგვარ სურსათ სანოვაგეს. აგრეთვე მოწყობილი იქნება ჯიშიანი საქონლის სარძეო ფერმა. 3—1 3121. კოოპ. „ბახმაროს" გ-ბა.

რესპუბლიკის სოციალ. დაზღვევის კომიტეტი

აცხადებს

დაზღვევის დარგში მომუშავე ექიმების კონკურსს.

კონკურსის პირობები:

1. ექიმ კონსულტატებს უნდა ჰქონდეთ მუშაობის სტაჟი არა ნაკლები 10 წლისა.
2. ექიმ კონტროლიორებს ,, ,, ,, ,, ,, 5 წლისა.
3. ექიმ კონსულტატების ჯამაგირი თვეში 170 მან.
4. ექიმ კონტროლიორების ,, ,, 130 მან.
5. დაზღვევის დარგში მომუშავე ექიმ კონსულტატებს და ექიმ კონტროლიორებს, გარდა საექიმო სტაჟისა, უნდა ჰქონდეთ აგრეთვე საზოგადოებრივი მუშაობის სტაჟი.

მუშაობის პირობების და ინსტრუქციის დაწვრილებით გასაგებათ მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თბილისის დამზღვევ კასის ექიმ რწმუნებულს.

განცხადების შეტანის უკანასკნელ დღეთ ითვლება 1927 წ. 8 ივლისი.

1—1 ნ. 1358. რესპ. სოც. დაზღ. კომიტეტი.

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

სხივებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი დი მათი შედეგები) სპეციალისტი.

ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე.

ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანთახლო, (ყოფ. ვერონცოვის) 13—1

მიდის ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

ჟურნალზე სამეცნიერო ჟურნალ

„თანამედროვე მედიცინა"-ზე

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:

თეორ. მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული ქირურგია(?), საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.

თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჟურნ. ფასი:
1 წლით . . 10 მან.
½ წლით . . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.

რედ. მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

3062 25—1

ექიმი

მეზრაბიანცი

ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონტო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 53, ვასილი ივანეს-ძე ქილურაძის სახელზე, ჩ. გ. 3127

დაიკარგა ჯვრის-წერის მოწმობა, მოცემული შალვა და ელენე ჭუმბურიძეების სახელზე, თბილისის რკ. გზის ეკლესიიდან 1920 წლის 20 თებერვალს, ჩ. გ. 3129

დაიკარგა სასურსათო წიგნაკი № 504312, მოცემული რკ. გზ. სამმართველოდან ანასტასია ისლენტიევის სახელზე, ჩ. გ. 3130

დაიკარგა სამხედრო საარიცხო ბარათი, გაცემული გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ლეჟავას სახელზე შორაპნის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ 1926 წ. მარტში მომხდარ უფ-შეპად-გენლობის აღრიცხვის დროს, ჩ. გ. 3130

დაიკარგა ვინაობის წიგნაკი № 4037, მიღებული მილიციიდან 29 მარტს 26 წელში და საექიმო კომისიის მოწმობა № 23 შრომის უნარიანობის 30 პროც. დაკარგვის შესახებ ნიკო ხანდრავას სახელზე, ჩ. გ. 3130

დაიკარგა საწევრო წიგნაკი, განათლების მუშაკთა კავშირიდან № 23732 ისიდორე თალაკვაძის სახელზე, ჩ. გ. 3128

დაიკარგა სამხედრო მოწმობა № 11034 და პირ.დი წიგნაკი უნომროდ გაცემული ქალ. კავკავის გამასწორებელი შრომის სახლის მიერ გაცემული მოქ. ლევან ივანეს-ძე კირიკაშვილის სახელზე პატრონს შეუძლია წერილობით მიმართოს შემდეგი მისამართით ქ. დუშეთი, მაზრის მილიციის სამმართველო. 3126

დაიკარგა საწევრო წიგნაკი „ზაკტპოს" № 21837 ეფრემ დავითის-ძე ჯინორიას სახელზე, ჩ. გ. 3122

დაიკარგა მატრიკული № 1044, გაცემული ტ. სახ. უნ. პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მიერ ნიკოლოზ ნოზრევაშვილის-ძე თავხელიძის სახელზე, ჩ. გ. 3119

დაიკარგა სახელმწიფო სპირტის და კონიაკის ტრესტის ქარხანა № 1-ს ლუქის ბეჭედი, ჩ. გ. 3125

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 852, საშეფო წიგნაკი № 4708 და სამხ. საარიცხო ბარათი № 52984 კონდრატი კვირიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3124

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 73, გიორგი ჩრდილელის სახელზე, ჩ. გ. 3123

დაიკარგა საბინაო დავთარი (ნახიჩევანის შესახვ. № 15), გერასიმ ულუხანოვის სახელზე, ჩ. გ. 3131

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 7591 ქეთევან ფხაკაძის სახელზე, ჩ. გ. 3115

აღმასკომის სტამბა ქ. თბ.